Что касается Сократа, философа никогда не привлекало богатство: “Он часто ходил босиком на базаре и на площади, всё время в одной и той же одежде и зимой, и летом, и, как говорили о нём его сограждане, своими лохмотьями совершенно не отличался от рабов.” Всю свою жизнь философ прожил в страшной нищете и лишениях, и гордился этим. Даже перед смертью Сократ отказался от, соответствующей его статусу, одежды. История литературы донесла до нас факт, насколько Сократ ненавидел роскошь. Когда однажды любимый ученик – Алкивиад на праздник послал ему богатые дары, Сократ мудро заметил, с изумлением взвизгивая на них, жене: „ Давай не уступим в тщеславии Алкивиаду и откажемся от подарков.”

Как известно, и Толстой не любил одеваться в богатую одежду, он носил крестьянскую рубаху и простую обувь, чем уподоблялся своим внешним видом дворовым людям из своего поместья и подчёркивал своё преклонение перед простотой и естественностью.

Толстой не раз и устно и письменно разъяснял, что он уже давно – с 1892 года – отказался от собственности. Многократно писал он и о том, почему он не уходит из дому, - это было бы трагедией для близких, своеобразным “насилием” над ними, что противоречит его коренному убеждению в недопустимости противления злу насилием. Но к концу жизни писатель всё же попытался уйти от близких и осуществить свою многолетнюю мечту: отказаться от традиционных семейных устоев и связать свои нравственно – моральные принципы с “униженными и оскорблёнными,” вызвать сострадание к бедным, несчастным людям, которым не дано получить от жизни то, чего они по праву больше всех заслуживают своим неустанным трудом и преданностью к тем, кому они служат.

Проблема душевной трагедии Л. Толстого, начиная со дня его смерти до сегодняшнего дня, вызывает споры в литературной критике. Много говорят и о том как следует воспринимать тему летального исхода в творчестве писателя. ”Интерес представляет, видит ли писатель в человеческой кончине продолжение существования индивидуума в потусторонней жизни и, вообще, как представляется ему феномен смерти!?” Как было отмечено выше, в данной проблеме у Льва Толстого много общего с великим философом древности. Можно заключить, что Лев Толстой солидарен с мнением Сократа касательно бессмертности души человека, обретающего покой и блаженство в ирреальном мире. Но ведь существует и другое мнение философов, писателей, критиков, рассматривающих смерть как зло, бедствие, кару, обрушивающиеся заслуженно или незаслуженно на человека; часто недобрая судьба покровительствует злым и недостойным, наказывая людей достойных, добродетельных, благородных. Интерес представляет то, как следует интерпретировать отношение Л. Толстого к данной постановке проблемы. Без сомнения, ответ на этот вопрос даёт уход из жизни его любимой героини-

Анны Карениной, образ которой можно считать образом интегрированной личности. Ей присущи черты характера героинь подобной судьбы самых разных эпох. Подобно колхской

царевне – Медее она предаёт семью ради любви, изменяет мужу, как мадам Бовари Флобера, которая тоже кончает жизнь самоубийством “умиротворённая, почти успокоенная сознанием исполненного долга,” что решилась на самоубийство.

Следует отметить, что последние минуты жизни флюберовской героини напоминают подготовку к кончине мудрейшего Сократа и не менее мудро- Толстого. Мысли о смерти совершенно не пугают Эмму, наоборот она с любопытством наблюдает собственную смерть. “Ах умирать совсем не страшно! – подумала она. – Я сейчас засну, и всё будет кончено!” Ни Анна Каренина, ни Эмма Бовари, несмотря на страдания и поруганную честь, в отличие от эврипидовской Медеи, не думают мстить своим любимым. Названные литературные персонажи схожи своей любовью, готовностью к самопожертвованию с Офелией Шекспира, с Маргаритой Гётте. Это женщины, готовые искренне, вечно любить, но судьба им дарит лишь лучик надежды, лишь на миг озаряет их жизнь, словно молнией в тёмной ночи, за которой следует разлука, трагедия личности.

Отдельные герои толстовских произведений, как например из Живого трупа, усложнённость своего положения не в состоянии не только исправить, но и толком объяснить. Сочувствие вызывает положение Фёдора Протасова, который настолько захлебнулся в тяготах своего существования, что возможность выпутаться из своего положения находит в смерти, так как видит в себе препятствие, мешающее устройству счастливой жизни близких. Именно его уход из жизни является избавлением от всех страданий, что подтверждается словами умирающего : ” Как хорошо... Как хорошо...”

Особо хочется отметить проблему эстетического восприятия смерти в творчестве Л. Толстого. Прекрасным примером данного факта служит раненный Андрей Болконский под аустерлицким небом. “Оценка толстовского идеального героя Наполеоном отражает амбивалентизм писателя – Болконский с ”брошенным подле него древком знамени” является олицетворением прекрасной смерти для великого завоевателя,” такой, как считает всемирно известный классик грузинской литературы, Важа Пшавела. По его мнению, достойная смерть так прекрасна, что является украшением самой жизни. Именно таким прекрасным, сражённым такой прекрасной смертью выглядит князь Болконский, любующийся высоким небом и размышляющий о “суете сует” и безнадежности существования: “Всё пустое, всё обман, кроме этого бесконечного неба. Ничего, ничего нет, кроме него. Но и того даже нет, ничего нет, кроме тишины и успокоения. И слава богу!..” Князь Андрей настолько поглощён мыслями о бренности мира, что похвала самого Наполеона не только не интересовала его, а казалась “жужжанием мухи”, а сам “Наполеон казался ему столь маленьким, ничтожным человеком в сравнении с тем, что происходило теперь между его душой и этим высоким бесконечным небом.”

Описание красивой смерти находим в рассказе “Три смерти,” где умирают барыня, мужик и дерево. Самый красивый уход из жизни предоставляется дереву - оно умирает “красиво

потому что не лжёт, не ломается, не боится, не жалеет.” Писатель так описывает последние минуты жизни дерева, что в сознании читателя предстаёт как рисунок, выполненный кистью художника: “Оно вздрогнуло всем телом, погнулось и быстро выпрямилось.” Сама природа выражает скорбь, горя в связи со смертью соседки: ветви живых деревьев “... медленно, величаво зашевелились над мёртвым, поникшим деревом.”

Героическая смерть, отражённая в литературе с древнейших эпох, когда мать, провожая сына на войну ждала его или “со щитом или на щиту”, то есть или с победой или с достойной смертью, глубоко волновала Л. Толстого. Как известно, писатель отводит большое место в своём творчестве теме войны и связанными с ней событиями, тем самым расширяя рамки изображения действительности, где ведущая роль принадлежит действующим в ней персонажам с их позитивными и негативными чертами характера.”Позиция Л. Толстого относительно идеализации войны, укоренившаяся в традиции позитива и в то же время отрицательного отношения к ней, где господствует смерть, кровь, изувеченные тела,” отражается в рассказах, посвящённых Севастополю. Следует отметить в данном случае проблему страха перед смертью. “Автор не замечает ничего героического у офицеров, одержимых идеей мелочной эгоистичности, получения медали, продвижения по службе, и для удовлетворения этого честолюбия готовых восстать против главного закона жизни – побороть страх.” Л. Толстой с характерным для него огромным психологизмом представляет показное мужество офицеров, подвергающих риску не свою жизнь, а жизнь своих солдат, готовых без всяких колебаний подставить грудь пуле, но никаких наград не получающих от жизни, ибо они достаются лишь вышестоящим по рангу персонам. Награды получают лишь те, от которых не зависит исход войны, что не может не возмутить писателя.

### III Заключение

На конкретных примерах действий героев из творчества Льва Толстого, явно видно как стремится сам писатель к духовному совершенству и как призывает читателей не совершать ошибок, приводящих к таким трагическим последствиям, когда единственным выходом из невероятных страданий является уход из жизни.

**Литература:**

1. Apologia Socratis. Platonis opera. T.I, Oxonii, 1952, 40d
2. Ц. Гигаури. Тема летального исхода у Льва Толстого. Кавказоведение. Москва, 2005
3. Ц. Гигаури. Сократ как личность и философ у Элиана, Тбилиси ,2004
4. Т.Сухотина-Толстая. Воспоминания. М, 1976
5. Claudii Aeliani Varia Historia, ed R. Hercher, Lipsiae, MDCCCXLI,II
6. Л.Толстой. Живой труп. Собр.соч. М.,1954
7. Л. Толстой. Война и мир М.,1957
8. Л.Толстой.Полн. собр. сочинений, М, 1951
9. Флобер Г. Госпожа Бовари. Перевод Н. Любимова, М, 1558

**ცისანა გიგაური, ნინო გილაური**

**ლევ ტოლსტოის ლიტერატურული მემკვიდრეობის  
ზოგადკაცობრიული იდეალების ასახვა**

**რეზიუმე**

ლევ ტოლსტოის ექსტრაორდინალური ხასიათი, რომელმაც განაპირობა მწერლის ტრაგიკული დასასრული, აისახა მისი ლიტერატურული გმირების ბედზე, განსაკუთრებით, ანა კარენინაზე. ანა კარენინას სახე-არის მწერლის alter ego, რადგან ის ასახავს იმ სოციალურ პრობლემებს, რაც ლევ ტოლსტოის აწუხებდა. ანა კარენინას მსგავსად, რომელმაც თავისი მძიმე მდგომარეობის გამოსავალი საკუთარ სიკვდილში დაინახა, ასევე ლ. ტოლსტოი ყველა უბედურებისაგან ხსნას ხედავს ლეტალურ გამოსავალში.

მწერლის აზრები, რომლებიც მას სიკვდილის წინ აწუხებდა აახლოებს მას ფილოსოფოს სოკრატესთან. უკანასკნელი ხედავს სიკვდილში ადამიანის ფიზიკურ დასულიერ მდგომარეობათა შეცვლას.





ამრიგად, ტექსტი იწყება „და“ კავშირით, რაც ერთგვარად მოულოდნელია. მეცნიერები ლოგიკურად ფიქრობდნენ: თვით ტექსტში, ქვემოთეულე, მითითებულია, რომ ავტორს სადღაც უმსჯელია პერსონაჟის ბავშვობაზე: „მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვისით“ (3, 2). ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ იწყება თხზულება მოულოდნელად „და“ კავშირის გამოყენებით; „და“ კავშირის წინ ეწერა სწორედ ის ტექსტი, სადაც აღწერილი იყო მორწმუნის სიყმაწვილეო.

ეს ლოგიკური არგუმენტია, ოღონდ მას არ აქვს არავითარი მყარი საფუძველი. მე შევისწავლე ეს ტექსტი, ასევე, სხვა ძველი ნაშრომები და გაირკვა შემდეგი: „თვითონ „შუმანიკის წამების“ მხოლოდ პირველი აბზაცი კი არ იწყება ასე უცნაურად, არამედ შიგნიტექსტის სხვა არაერთი აბზაციც. მაგალითად, იხილეთ იმავე წიგნის მომდევნო, მესამე გვერდი, სადაც „და“ კავშირი იწყებს სრულიად ავტონომიურ სამ სხვადასხვა მონაკვეთს (გვ. 3). იგივე სურათია მე-10 გვერდზე და ა. შ.

კიდევ მეტი.

ამ თვალსაზრისით შევისწავლე „ევსტათი მცხეთელის წამება“. იქაც ბევრი ადგილი იწყება მოულოდნელად - „და“ კავშირის მეშვეობით (იხ. იმავე წიგნის გვ. 17, 28, 29 და ა. შ.). იგივე ითქმის მე-10 საუკუნეში შეთხზულ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“.

ამრიგად, გადაჭრით ვაცხადებთ: „და“ კავშირით პირველი ქართული ტექსტის დაწყება არ უკავშირდება თავდაპირველად წინ არსებულ ტექსტს.

ეს საიდუმლო რომ გავარკვიოთ, უნდა გამოვიყენოთ რომელიმე საკონტროლო უცხოური ენა. ჩემთვის ასეთია რუსული. ამავე დროს, აუცილებელია მკითხველის ყურადღება გადავიტანო ერთობ მნიშვნელოვან ენათმეცნიერულ კატეგორიაზე, რომელსაც „უზუსი“ ეწოდება. ინგლისური სიტყვა „usual“ (საწყისია ლათინური usus) ნიშნავს „ჩვეულს“, „ჩვეულებრივს“ (4, 413). აქედან მომდინარეობს მისი საენათმეცნიერო გაგება – „სამეტყველო ჩვეულება“. საზოგადოდ უნდა ითქვას: უზუსი მშრალ და მოსაწყენ გრამატიკას ხდის სახალისოსა და საინტერესოს. მისი სივრცე ფართო და მრავალფეროვანია, ხოლო საწყისი – შორეული. შესაძლოა, მას ენობრივი სისტემის ჩამოყალიბების კვირამალზეც კი დასდებოდეს საფუძველი. ამას რომ ვამბობ, მივიჩნევ, რომ უზუსის საზღვრებში შემოდის ადამიანის პირიდან უნებლიეთ აღმომხდარი შორისდებულებიცა და სხეულის ენაც – მიმიკა, შინაარსის მატარებელი სხეულებრივი მოძრაობანი. ამიტომაცაა, ბევრი მათგანი სხვადასხვა ენაში ერთნაირია. მაგალითად, მხრების აჩეჩვა ბევრი ერის წარმომადგენლისათვის აღნიშნავს გაურკვევლობას, გაუგებრობას, არცოდნას; როდესაც რუსს რაიმე ეტკინება, მყისიერად წამოსცდება „იჰ!“ ზუსტად იგივე მოსდის ქართველსაც. ამ რუსული წამოძახილის ზუსტი ეკვივალენტი და ფორმაა „ვაი!“ საქმე ისაა, რომ ქართულში „ო“ ხმოვანი ხშირად იკვეცება (ნახევრად იკვეცება) და გვამღევს „ვა“ ბგერათკომპლექსს. მაგალითად: მეგრული „თოლი“ ქართულში გვამღევს ფორმას „თვალი“; მთაში ამბობენ „ცხორი“, ბარად კი ასე – „ცხვარი“.

ახლა განვიხილოთ ამგვარი უზუსური მოვლენის სხვა მაგალითები ჩემ მიერ აღებულ საკონტროლო ენაში.

რუსულ მეტყველებაში არის ერთი ასეთი უცნაური მოვლენა. ყოველ სალაპარაკო ფრაზას წინ უძღვის თითქოსდა სრულიად ზედმეტი და არასაჭირო ნაწილაკი, უცნაური ელემენტი a.

ა ხმოვანი გვხვდება, მაგალითად, ასეთ გამოთქმაში:

а ты вчера ходила на колхозный базар?

თითქოსდა „ა“ სრულიად ზედმეტია, მაგრამ არა. ის გახლავთ სასაუბრო ელემენტი, აზრის გამოხატვის მაუწყებელი ძახილი, სიგნალი, ყურადღების მისაქცევი საშუალება. რუსულად მას შეიძლება ვუწოდოთ *позывной*.

ვნახოთ ამგვარი მოვლენის კიდევ ერთი მაგალითი. ავიღოთ ასეთი დიალოგი:

- А ты вчера ходила на колхозный базар?
- Ну ходила!
- И купила свежие картошки?
- Ну купила!

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ბგერათკომპლექსი **Ну**. ეგ „ნუ“, ერთი შეხედვით, არაფრის მაქნისია. მართლაც, შინაარსობრივად ის არაფერს იძლევა, არადსადირალია, ოღონდ, უზუსტის თვალსაზრისით, ახალისებს ენას, გამოთქმის ექსპრესიას ზრდის სწორედ ისე, როგორც „ზედმეტი“ **А**.

მამასადამე, **А** და **Ну** ძველი რუსული მეტყველების კულტურის რუდიმენტებია. მაგალითად, უზუსტური **А** გვხვდება ძველ ლიტერატურულ შედევრად მიჩნეულ ტექსტში. ეგ გახლავთ „Слово о полку Игореве“, რომელიც შექმნილია დაახლოებით იმ დროს, როცა შეითხზა „ვეფხისტყაოსანი“. მოვიყვანოთ აღნიშნულის ერთი მაგალითი: „А Игорова храброго полка не воскресить!“ (2, 49).

აქაც, როგორც ჩანს, **А** სასიგნალო ხმოვანია.

დღევანდელ ქართულ მეტყველებაში ამგვარი „პოზიციონი“ აღარ გამოიყენება, ოღონდ, როგორც ჩანს, ძველად იგი მეტყველების კულტურის აუცილებელი ნაწილი იყო.

აი, თუ რა ყოფილა ძველ ტექსტებში ესოდენ ხშირად მომარჯვებული ეს უცნაური „და“.

მამასადამე, მსგავს შემთხვევებში ის კავშირის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ – სიგნალისა.

ოღონდ ამაზე ნუ შევჩერდებით და კვლევა გავაღრმავოთ.

რუსულ ფორმანტს „ა“ ქართულად შეესატყვისება არა ერთი, არამედ სამი ეკვივალენტი. ესენია: **და, ხოლო, არამედ**.

გავსინჯოთ საამრიგო მაგალითები.

და:

а, если он не придет...

და, თუკი იგი არ მოვა...

ხოლო:

Муж поет, а жена танцует.

ქმარი მღერის, ხოლო ცოლი ცეკვავს.

არამედ:

Правильно будет не «монография академика Шалвы Амонашвили», а «монография академика Шалва Амонашвили».

მართებულია არა „მონოგრაფია აკადემიკოს შალვი ამონაშვილისა“, არამედ

„მონოგრაფია აკადემიკოს შალვა ამონაშვილისა“.

მაშასადამე, გარდა მნიშვნელობისა „და“, რუსულ ფორმანტს ა ჰქონია კიდევ ორი მნიშვნელობა. ესაა „ხოლო“ და „არამედ“.

თუ ეს ასეა, მაშინ მოსალოდნელია, რომ ძველი ქართული მეტყველების კულტურას ახასიათებდეს ფრაზის დასაწყისში სიტყვების – „ხოლო“ და „არამედ“ ისევე მომარჯვება, როგორც გამოიყენება ბგერათკომპლექსი „და“.

გაირკვა სენსაციური კულტუროლოგიური ამბავი: ძველ ქართულ ტექსტებში ახალი აზრის ჩამოყალიბებისას გამოყენებულია არა მხოლოდ „და“ სიგნალი, არამედ მისი პარადიგმებიც – „ხოლო“ და „არამედ“.

საამრიგო მაგალითებით ძველი მეტყველება გაჭედულია. იხილეთ ზემომითითებული წიგნის შემდეგი გვერდები: 7, 8, 9, 10 და ა. შ.

„შუშანიკის წამება“: „ხოლო ამის უბედურისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენის“ (გვ. 7)

„ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისად მის პიტიახშისად“ (გვ. 8).

„ხოლო მე ვიჯემენ ადრე და მივიწიე დაბასა მას“ (გვ. 9).

სათანადო ნიმუშები იხილვის მოთხრობაში „სიბრძნე ბალაჰვარისი“ (იხ. იმავე წიგნში გვ. 48, 49, 50...).

„არამედ უმჯობესად შეჰვრაცხე...“ (აზოს წამება, იგივე წიგნი, გვ. 117).

„არამედ აწ მე ვინაითგან ვერ ძალ მიც მოუკლებელად ლოცვაჲ“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 214). „არამედ აწ სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს“ (იქვე, გვ. 215).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობილი საზეპირო იწყება ასე:

„არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების...“ (გვ. 280).

**ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: გაირკვა ძველი ქართული მეტყველების კულტურის მეტად საინტერესო საკითხი; დადგინდა ძველი ტექსტების სასიგნალო სიტყვები – და, ხოლო, არამედ, რომელთაც გრამატიკულ კატეგორია კავშირთან არავითარი შეხება არა აქვთ.**

ყოველივე ამის შემდეგ გადავიდეთ ძველი მეტყველების კულტურის შემომნახველ კიდევ ერთ ძეგლზე. ეს გახლავთ რუსთველის პოემა.

„ვეფხისტყაოსანი“ მეცნიერულად შეისწავლება 1712 წლიდან. დღემდე ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, ოღონდ გაურკვეველი იყო საკითხი: რას ნიშნავს და რისთვის გამოიყენება ყოველი სტროფის მეოთხე, დამამთავრებელი, ტაეპის წინ თითქოსდა სრულიად ზედმეტი და შინაარსობრივად არაფრისმთქმელი „და“. აღნიშნულის შესახებ რაიმე სერიოზული მოსაზრება არავის გამოუთქვამს.

ჩემი აზრით, მითითებული „და“ უნდა განვიხილოთ ძველი ქართული სამეტყველო კულტურის კონტექსტში. ეგ „და“ უზუსტის სფეროს განეკუთვნება. ამგვარი საგანგებო დაგრძელება შაირისა (თექვსმეტმარცვლიანი ლექსისა) ერთი სრული ხმოვნით კიდევ უფრო აძლიერებს საგანგებო სასიგნალო ეფექტს. აქ „და“ ორმხრივ ფუნქციას ასრულებს: ა) მსმენელს ყურის საშუალებით აგებინებს, რომ სტროფი სრულდება, რომ ამჟამად ყური მოისმენს ერთი პოეტური აზრის საბოლოო ფრაზას; ბ) ხელნაწერის თვალთა აღმქმელს კი მზერის საშუალებით აჩვენებს, რომ სტროფის სამი წინარე ტაეპისაგან სიგრძით გამორჩეული მეოთხე პწკარი საბოლოო, დასკვნითი კადენციაა, რომლის წარმოთქმისთანავე უნდა გაკეთდეს ხანგრძლივი ყოვნი, პაუზა. ეს აუწყებს მკითხველს, რომ ერთი აზრობრივ-ემოციურად დამოუკიდებელი მონაკვეთი

დასრულდა. თვალნათლიობისათვის მოვიყვანოთ სათანადო ნიმუში:

არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;  
ვჭმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატისა.  
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა,  
და რა უარესა მამაცსა სულდიდსა, წასლვაგვიანსა! (1, 798)

### III. დასკვნა

მაშასადამე, ჩვენს ეროვნულ ეპოსში დაცული უზუსტური საშუალება „და“ თავისი წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა საგანგებო მახილი, სიგნალი, „პოზიციონი“, ესოდენ ხშირად რომ გამოიყენებოდა ადრინდელ პროზაულ თხზულებებში, როგორც სამეტყველო კულტურის ელემენტი.

### ლიტერატურა:

1. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქცია, თბ., 1966;
2. Слово о полку Игореве, М., 1983;
3. ქართული პროზა, I, თბ., 1982;
4. ჭაბაშვილი მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973.

**Murman Tavdishvili, Professor, GTU**

### **One culture-logical aspect of the oldest Georgian words**

#### **Resume**

Many paragraphs of old Georgian texts begin with “and”, which is very unclear in scientific literature. Someone will think that’s connection, but it is a superficial view. In many places these "and" sounds do not mean any word or text.

It was turned out that such "dysfunctional", non-acoustic sounds are used in the texts of theological content, but in this regard, neither the contents of the secular content are exceptions. This "strange" event is the field of "uzus" (word tradition, rule, habit) which is a form of cultural speech.

Let's find the appropriate Russian examples, which begin with dull form of phrases such as: a and ну. They perform signaling and warning functions in certain contexts. We can call it differently "позывной".

Georgian language performs three units of such an unusual function of cultural speech: and, but, rather. Research shows examples of ancient theological and secular literature.

It is important, that this adaptive tradition has also encouraged Rustaveli. The poem "The Knight in the Tiger's Skin" continues the old traditions of cultural speech and the fourth sign of each stroke, before the cadence, notes this signature figure "and".

Thus, there has been established an important momentous phenomenon of old science culture, the main purpose of "undesirable" and "non-functional" sounds.

**Keywords:** *and, but also, a, ну, uzus, cultural speech.*

## „შემოდგომის აზნაურის“ ტიპისა და ტერმინის გაგებისათვის

ქეთევან თავდიშვილი, ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, შპს „ჯი-ელ-სის“ სკოლა



**რეზიუმე.** გამოჩენილი მწერლის დავით კლდიაშვილის კლასიკური მოთხრობები სკოლაში ფართოდ შეისწავლება. მწერალმა აღმოაჩინა მეტად საინტერესო ტიპი - „შემოდგომის აზნაური“ და ეგ ტერმინიც ურყევად დაამკვიდრა. ცნება – ტერმინს ძირითადად ასე განმარტავენ: აზნაური, რომელიც ერთობ გადარიბებულია და სულს ოდნავ იბრუნებს შემოდგომობით, რაკილა ამ დროს იღებს მოსავალს (სიმინდი, ლობიო, ღვინო) და ამიტომაც ჰქვიაო „შემოდგომის აზნაური“.

მაშ, ცნება-ტერმინი მიაბეს შემდგომის ბარაქას.

თუ ტერმინს ასე გავიგებდით, მაშინ ცნება ვეღარ მოიცავდა იმ აზნაურებს, რომლებიც შემოდგომის მოსავალზე არ არიან დამოკიდებულნი. ესენი არიან ქალაქელი ადვოკატი აზნაურები და ჯერ კიდევ მდიდარი სოფლელი ბობოლები, არადა, ვგრძნობთ: ტერმინი ყველას მოიცავს.

ჩვენ ვფიქრობთ:

„შემოდგომის აზნაური“ გულისხმობს შემოდგომადამდგარ კლასს, რომელსაც ყავლი გასვლია, გაზაფხული და ზაფხული უკვე „უგემნია“ („ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად!“), ამჟამად კი ყვითელი შემოდგომა, სიკვდილის (ზამთრის) წინამორბედი სწვევია. მაშასადამე, კლასის დეგრადაციის ეპოქა დამდგარა და იგი მომაკვდავ სოციალურ წრედ ქცეულა.

ტერმინის ამგვარი გაგება ყველა აზნაურს მოიცავს.

**საკვანძო სიტყვები:** „შემოდგომის აზნაური“, სუბიექტური ფაქტორი, ეპოქის კონტექსტი, ცნება და ტიპაჟი, შემოდგომადამდგარი კლასი.

### I. შესავალი

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ნათლადაა მოცემული, რას ითვალისწინებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლებში. ჩამონათვალი დიდია, მაგრამ მათ შორის ამჯერად რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას, კერძოდ, ესაა: მსჯელობის უნარის განვითარება, ტექსტებისადმი შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება, მწერლის შემოქმედების გააზრება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები (ვ. როდონაია, ნ. მუზაშვილი) ამ მხრივ საშუალო საფეხურის (X-XII კლასები) მოსწავლეებს ერთობ საინტერესო ნაწარმოებებს, ქართველ თუ მსოფლიო კლასიკოსთა ნააზრევს სთავაზობენ; სახელმძღვანელოს შემდგენლები ტექსტებს ურთავენ ავტორთა ბიოგრაფიებს, სხვადასხვა საინტერესო რუბრიკას - ინტერპრეტაცია, პარალელი, საკითხი დისკუსიისათვის და ა.შ. ყოველივე ეს ნამდვილად ეხმარება ამ საფეხურის მოსწავლეებს, გაანალიზონ, შეადარონ სხვადასხვა პერიოდის შედარებით რთული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა მათში ასახული თემების, ინფორმაციის, იდეებისა და პრობლემატიკის

თვალსაზრისით; გამოუმუშავდეთ კვლევის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარები; მუხაშვილის XII კლასის სახელმძღვანელო სამართლიანად იწყება XX ს-ის საქ-ოს ისტორიული, ეპოქალური რეალობის ჩვენებით (ვგულისხმობთ „საუბრების“ რუბრიკას), შემდეგ კი მოსწავლეებს ეცნობა დავით კლდიაშვილი, ქართველი კლასიკოსი მწერლის ბიოგრაფია და მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“. გამოჩენილი პროზაიკოსის დავით კლდიაშვილის შემოქმედების ოქროს საბადოდ სამეცნიერო კრიტიკაში სამართლიანად მიიჩნევენ „შემოდგომის აზნაურთა“ ტიპაჟს. ამ ტიპთა და სახეთა მიგნებით ავტორმა ქართულ მწერლობაში ახალი ადამიანები შემოიყვანა. შ. რადიანი სწორად შენიშნავდა: „კლდიაშვილის შემოქმედებითი ნიჭი დიდი გაქანებით გაიშალა მოთხრობების იმ ციკლში, რომელიც მომაკვდავი აზნაურობის ცხოვრებისადმია მიძღვნილი. ამ ციკლის ნაწარმოებებით შევიდა იგი ქართულ ლიტერატურაში, როგორც ორიგინალური მხატვარი“ (3.25). ეს მოსაზრება გაიზიარეს ქართველმა მეცნიერებმა. მან თავისი გამოხატულება კიდევაც პოვა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სადაც ვკითხულობთ: „კლდიაშვილის შემოქმედების მთავარი თემა - იმერეთის გაღარიბებული, ე.წ. „შემოდგომის აზნაურების“ ცხოვრების მწუხრის ასახვა პირველად გამოჩნდა მოთხრობა „სოლომან მორბელაძეში“ (6.552). უნდა აღინიშნოს, რომ მე-12 კლასის სახელმძღვანელოებში არაა განმარტებული ამ ტერმინის არსი, თუმცა ნახსენებია (ვ. როდონაიასთან): „დ. კლდიაშვილის თითოეული მოთხრობა ცხოვრების მხოლოდ ერთ მომენტს, ერთ ნაწილს, ხშირად ერთ სურათს ასახავს, მაგრამ არსებითად ეს არის ერთი წიგნი, რომლის მთავარი გმირია გადატაკებული აზნაური, ვისაც ყველაზე მოხდენილად მიესადაგა თვით კლდიაშვილის მოთხრობიდან გავრცელებული გამოთქმა - „შემოდგომის აზნაური“ (4.10).

## **II. ძირითადი ნაწილი**

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთაგან მე-12 კლასამდე მოსწავლეები იცნობენ „სოლომან მორბელაძეს“, „დარისპანის გასაჭირს“, „ბაკულას ღორებს“ და სხვ. ცნება-ტერმინი „შემოდგომის აზნაური“ მოიცავს მწერლის მიერ დახატულ ამ წოდების ყოველ წარმომადგენელს, მაგრამ მისი არსის ახსნა სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან ცოტაა ან თითქმის არ არის. არსებობს დამხმარე სახელმძღვანელო „ქართველი მწერლები სკოლაში“. ის სერიების სახით გამოიცა. ერთი წიგნი დავით კლდიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობასაც მიეძღვნა. წიგნში მოცემულია არაერთი მწერალ-კრიტიკოსის მოსაზრებანი. ესენი არიან: ბ. ბარდაველიძე, გრ. კიკნაძე, გ. ქიქოძე, გ. გოგოლაშვილი, მ. ჯოხაძე, კ. აბაშიძე, ლ. ავალიანი, ნ. გრიგალაშვილი, ფ. ფირუაშვილი და სხვანი: კრიტიკოსთა უმრავლესობის აზრით, „შემოდგომის აზნაური“ არის „ტერმინი-განაჩენი, ტერმინი-ფუნქცია, რომელშიც აისახა მთელი საზოგადოებრივი ფენის ტრაგედია და კომედია“ (1,11). „ქართველი მწერლები სკოლაში“ - სერიის პროექტისა და წიგნების შედგენის კონცეფციის ავტორმა გ. მურღულამ უფრო მკაფიო და არსთან მიახლოებული განმარტება შემოგვთავაზა. „ამ განსაზღვრებას, შეიძლება, ორგვარი აზრით ტვირთავდეს ავტორი: 1. ეს ადამიანები მხოლოდ შემოდგომაზე არიან აზნაურები, რადგან აზნაურობას (თავისუფლებას) ეკონომიკური საფუძველიც სჭირდება ... ამ ადამიანებს კი მხოლოდ შემოდგომაზე აქვთ ლუკმაპური, სარჩო - საბადებელი; 2. ამ წოდების შემოდგომა დამდგარა, ანუ უკანასკნელი სტადია

მათი (როგორც წოდების) არსებობისა. ეს შემოდგომა მწირია, უნაყოფო” (5,381). ამავე წიგნში მოცემულია ტერმინის ფატი ფირუაშვილისეული განმარტება, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე ახლოა საკითხის არსთან. მკვლევარი წერს: „მათი შემოდგომა დამდგარა, მაგრამ არა შემოდგომა მსუყე და ბარაქიან-დოვლათიანი, არამედ ისეთივე მწირი და გაცრეცილი, როგორსაც ხატავს კლდიაშვილი შემოდგომას ქამუშადეების ოჯახში... ამ შემოდგომას ზამთრის პირის სუსხი დაჰკრავს და ოქროსფერის ნაცვლად ნაცრისფერი აძევს” (5,382).

ასეთია „შემოდგომის აზნაურის” განმარტება-გააზრება სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა სახელმძღვანელო წიგნები მოსწავლეებს, რომელთაც უნდა განვუვითაროთ მსჯელობის, ეპოქის საკითხებისადმი მწერლისეულ დამოკიდებულებაზე დაკვირვების უნარი, ამ ცნების შესახებ არაფერს ეუბნება. მართალია, ნაწარმოები („ქამუშადის გაჭირვება“), რომელშიც პირველად გახმიანდა ეს ტერმინ-ცნება, საპროგრამო ტექსტად არ მიიჩნევა, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია მოსწავლეებს ფრაგმენტულად მაინც გავაცნოთ მონაკვეთები ამ ტექსტიდან და სიღრმისეულად გავააზრებინოთ, თუ რას უნდა ნიშნავდეს იგი? ამ ტერმინ-ცნებაში ხომ მარტოოდენ ის აზნაურები არ მოიაზრებიან, რომლებიც მიწაზე შრომობენ, გამალებით ურტყამენ მას თოხს, რათა საარსებო წყარო (წლიდან წლამდე) რამენაირად მოიპოვონ და ისედაც კუჭგამომხმრებს წლის განმავლობაში მაინც ჰქონდეთ მწირი ლუკმა.

ტერმინი „შემოდგომის აზნაური” უფრო მოგვიანებით ჩნდება, ვიდრე ამ ცნების გამომხატველი ტიპაჟი. საქმე ის არის, რომ ამგვარი აზნაურის ერთობ მკაფიოდ გამოკვეთილი ტიპი სოლომან მორბელაძე (რომელიც მაჭანკალია და არანაირად არაა დამოკიდებული მიწაზე, საშემოდგომო შემოსავალზე, ვინაიდან სამაჭანკლო მას, შესაძლოა, ზამთარშიც ჰქონდეს ან გაზაფხულზეც) მკითხველმა გაიცნო ჯერ კიდევ 1894 წელს; „სამანიშვილის დედინაცვალში” გამოყვანილი ღარიბი აზნაურები კი - 1897 წელს, ხოლო „ქამუშადის გაჭირვება“, რომელშიც პირველად არის ნახსენები საძიებელი ტერმინი, 1900 წელს გამოქვეყნდა. მამასადამე, ტიპები უფრო ადრე გაჩნდნენ, ვიდრე მათი არსის გამომხატველი ტერმინ-სახელწოდება. გავიხსენოთ ვითარება, სადაც პირველად გაიხმიანებს ის. ბესარიონ ქამუშადემ სუფრის ზნეობა დაარღვია და ერთ თანამეინახეს ყინყლი დაუწყო. მდიდარმა გლეხმა სამადაძემ გათავხედებულ ღარიბ აზნაურს წესრიგისკენ მოუწოდა. ბესარიონმა ყაზახად მოიხსენია გლეხი და აგდებულად „წაჰკრა ბლიქვი“. დაცემული წამოაყენეს. „-ყაზახი ვარ! – შეჰყვირა მან, წელში გამართულმა. – ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნაურშილს კიდევ ვჯობივარ! თუ ძალაზე ხარ, მობრძანდი, ახლო მობრძანდი, ისე დაგბუზნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული! ... შენისთანა შემოდგომის აზნაურშილის რა მცოდნია?!“ (2.302). იქვე კიდევ რამდენიმეჯერ ხმიანდება ეს ზედმეტი სახელი: „ამ შემოდგომის აზნაურობის“ ხსენებამ ბევრი ააპილპილა“; „მაგას ვაყურებიანებ შემოდგომის აზნაურს!“ „შემოდგომის აზნაურთან ხელის გამოღებით“; „შევარცხვინე შემოდგომის აზნაურიცა და ყველაც! შემოდგომის აზნაური...ყველა...ყველა... შემოდგომის აზნაურიც და ყველა!“

საგულისხმოა, რომ ამ ტერმინს გლეხი სამადაძე მხოლოდ ორჯერ ახსენებს, ხოლო თვით აზნაურები - ხუთჯერ! ერთხელაც - ავტორი. მოდით, ვიმსჯელოთ კრიტიკულ ლიტერატურაში



არსებული გაგების (შემოდგომაზე დამოკიდებული ფენა) ნაკლოვანებაზე. თუ „შემოდგომის აზნაურები“ იმ აზნაურებს ეწოდებათ, რომლებიც მხოლოდ შემოდგომაზე არიან მამლარი, მაშინ ცნება-ტერმინი ვერაფრით ვერ მოიცავს ყველა იმ ტიპს, რომლებიც დ. კლდიაშვილმა დეგრადირებული კლასის წარმომადგენლებად დაგვიხატა. რა ვუყოთ ადვოკატ გვერდევანიძეს, პორფირ ბიაშვილს, რაღაც მანქანებით ჯერ კიდევ სიმდიდრეშემორჩენილ ჯიმშერ სალობერიძეს, კირილე მიმინაშვილს?! ეს უკანასკნელი ხომ საერთოდ არ შრომობს, მიწასა და მის მოსავალთან არანაირი შეხება არა აქვს? საქმე ის არის, რომ მიწასა და შემოდგომის ბარაქაზე ჭიპმიჭრილი აღნიშნული ტიპებიდან ძალიან ცოტაა, უმცირესობაა. ესენი არიან სოფლად მცხოვრები, მიწას მიმტერებული პლატონ სამანიშვილი და ოტია ქამუშაძე... დარისპანი თავის კაროქნასთან ერთად სად მოვიაზროთ? ადვოკატების კუჭმადლობა ხომ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ კლიენტს იშოვიან? შესაძლებელია, მათ შემოდგომაზე საერთოდაც ვერ იშოვონ „საკბილო“. მაშასადამე, შემოდგომის აზნაურთა ტრადიციული გაგება ასეთ ტიპებს ვერ მოიცავს. ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ტერმინ-ცნების სემანტიკურ-გრამატიკული ანალიზი, იმდროინდელი ეპოქის გაანალიზება და მხოლოდ მათ საფუძვლებზე დაყრდნობით ვიკვლიოთ მწერლური გააზრება.

შვიდი ქართული ბრუნვიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავლისდამტევია ნათესაობითი. ის აღნიშნავს ა) კუთვნილებას: ირმ-ის ნუკრი, ლომ-ის ბოკვერი, მეგობრ-ის წიგნი; ბ) მასალას: ხ-ის სახლი; ბროლ-ის ლარნაკი; ტყავ-ის ჩანთა; გ) დანიშნულებას: ობლ-ის კვერი, სუფრ-ის კოვზი... კიდევ უფრო მეტ შინაარსობრივ ნიუანსს გამოხატავს ეს ბრუნვა, თუ მას თანდებულებიც ერთვის. ჩიტ-ის რძე მასალასაც გამოხატავს და კუთვნილებასაც. მსგავსი ვითარება გვაქვს ჩვენი ტერმინის შემთხვევაშიც: შემოდგომის აზნაური – ორმაგი ბუნებისაა; შეუძლია გამოხატოს მასალაცა და კუთვნილებაც. იგი შეიძლება გავიგოთ როგორც შემოდგომის აზნაური, ანუ შემოდგომაზე მოაზნაურე, და როგორც შემოდგომის კუთვნილება. ვფიქრობთ, მწერალს იგი ესმოდა როგორც კუთვნილების გამოხატულება, ანუ კლდიაშვილმა დაგვიხატა არა შემოდგომაზე მამლარი (ამიტომაც შემოდგომის აზნაური), არამედ შემოდგომადამდგარი აზნაური. სწორედ ამგვარი გაგება აქვს ცნობილ გამოთქმას შემოდგომის ბუზი. შემოდგომადამდგარი ბუზი მწარედ იკბინება, ვინაიდან წინ ზამთარია – მისი სპობის, განადგურების დრო. დავით კლდიაშვილი ჩვენ გვიხატავს კლასს, რომელმაც უკვე გაიარა „ტკბილად ნაგემნი“ (ალ. ჭავჭავაძე) დრონი. „ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად, წარილტვენ, განჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად!“ დიახ, მათ, ამ აზნაურებმა, განვლეს თავიანთი კლასის გაზაფხული, ზაფხული და ახლა თავდადმა დაეშვნენ, დეგრადაციის, კვდომის დროება შემოდგომა – დაუდგათ. რაც არ უნდა ეცადონ პლატონ სამანიშვილი, ოტია ქამუშაძე, სოლომან მორბელაძე თუ სხვანი, მათი არსებობის, ყოფის დრო დათვლილია. წინ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციია (ზამთარი!) და ის ამ სოციალურ კლასს საბოლოოდ ალგვის პირისაგან მიწისა. განწირულ აზნაურთა საბოლოოდ გაქრობის სურათი საინტერესოდ გვიჩვენა ნ. ლორთქიფანიძემ „დანგრეულ ბუდეებში“. ასე რომ, დ. კლდიაშვილი გვიხატავს შემოდგომადამდგარ კლასს და არა კლასს, რომელიც მხოლოდ შემოდგომობითაა მამლარი. ამგვარი გააზრების მქონე ცნება-ტერმინი უფრო ფართოა და მწერლის ღრმა და შორსმიმავალ ხედვას უკეთ ავლენს.

ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ბ., დავით კლდიაშვილი, წიგნში „დავით კლდიაშვილის 3 მოთხრობა“, თბ., 1987.
2. კლდიაშვილი დ., ქამუშაძის გაჭირვება, ქართული პროზა, 16, თბ., 1988.
3. რადიანი შალვა, დავით კლდიაშვილი, „სახელგამი“, თბ., 1930.
4. როდონაია ვ., არაბული ა., ქართული ენა და ლიტერატურა, „სწავლანი“, 2012.
5. ქართველი მწერლები სკოლაში, დ. კლდიაშვილი, წიგნი 7, „დია“.
6. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 5.

*Ketevan Tavdishvili,  
Doctor of Philology, Ltd GLC School*

**For understanding the term and type of “The Autumn Nobleman”**

**Resume**

Classic stories of the famous writer Davit Kldiashvili are widely taught at schools. The writer found a very interesting type – “The Autumn Nobleman” and this term was established firmly. This notion – term is generally explained as follows: a nobleman, who is very poor and feel a little better in autumns, as he gets harvest this time (maize, beans, wine) and that’s why he is called “The Autumn Nobleman”.

So, notion- term was attached to the autumn abundance.

If we understand this term on this way, then the notion would not include those noblemen, who do not depend on autumn harvest. These are city advocate noblemen and still rich village noblemen, though we feel that the term includes everyone.

We think:

“The Autumn Nobleman” means the class, having met the autumn, which has already “felt” the spring and summer and now he already faces an yellow autumn, predecessor of death (winter). So, it is an epoch of the class degradation and it is turned around the dying social circle.

Understanding the term in such a way includes all noblemen.

**Keywords:** “The Autumn Nobleman”, subjective factor, epoch context, notion and type, class facing the autumn.

*Кетеван Тавдишвили, доктор  
филологических наук, образовательный центр G-L-C*

### **Тип и понятие «осеннего дворянина»**

#### **Резюме**

В грузинских школах широко изучают классические рассказы известного писателя Давида Квдиашвили: Мыслитель открыл очень интересный тип «осеннего дворянина». Термин обозначает нового типа. Термину обычно толкуют таким образом: обедневший дворянин, который только осенью ощущает себя действительным дворянином потому, что только осенью имеет пищу вдовольстве (поскольку осенью берет урожай), а на протяжении остального времени голодует.

Так понятие связывают с осенью.

Но при таком понимании термин не охватывает всех типов потому, что некоторые из них вообще ничего не имеют с сельским хозяйством и с весенним урожаем – они живут в городах и занимаются адвокатской деятельностью.

Значит, термин имеет другое значение. Он обозначает обедневший класс, у которого посетил осень, предсмертное время, время пожелтевшей природы, предшественника зимы.

При таком понимании термина, он всецело охватывает указанные типы.

Ключевые слова: «осенний дворянин», субъективный фактор, контекст эпохи, понятие и типаж, социальный класс, на котором наступает осень.

# ქურნალისტიკა JOURNALISM

## მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დღის წესრიგის განმავიკრებელი ფაქტობრივი

ნინო შოშიტაშვილი, სოციოლოგიის დოქტორი  
XX

**რეზიუმე.** სტატიაში ავტორი ცდილობს პოლიტიკური სუბიექტებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საფუძველზე წარმოადგინოს ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ დღის წესრიგის ჩამოყალიბებას. სტატიაში განვითარებულია მოსაზრება - მედიის ზეგავლენა განისაზღვრება არა ამა თუ იმ მზა შეხედულებებისა და იდეების გავრცელებაში, არამედ საინფორმაციო დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში.

დღის წესრიგის ჩამოყალიბება წარმოდგენილია, როგორც ურთიერთზეგავლენის მრავალფეროვანი პროცესი, რომელიც დამოკიდებულია ერთი მხრივ სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებსა და მეორე მხრივ, კომუნიკატორის ინდივიდუალურ ცნობიერებაზე. ავტორი ცდილობს ამ საკითხთან დაკავშირებით განიხილოს ტრადიციული და ახალი მედიის ურთიერთმიმართება.

**საკვანძო სიტყვები:** დღის წესრიგის ჩამოყალიბება, მასმედია, საზოგადოება, პოლიტიკური სუბიექტები, ახალი მედია, მედიაეფექტი.

### I. შესავალი

არადემოკრატიულ, დემოკრატიისაკენ მიმავალ და უკვე დემოკრატიულ ქვეყნებში, პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას შორის ინტერაქციისას ლომის წილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკუთვნის. პოლიტიკური მოვლენების შესახებ მედია ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას; ჰქმნის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენს პოლიტიკური ძალებისთვის; პოლიტიკური სუბიექტები საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას და თავიანთ ქმედებას გარკვეული მიმართულებით წარმართავენ, ანუ ეწევიან პოლიტიკური შემთხვევების მოდელირებას.

მასობრივი კომუნიკაციის სოციოლოგიაში საზოგადოებაზე მასმედიის ზეგავლენის კვლევები 100 წელზე მეტს ითვლის (საკმარისია გავიხსენოთ უ. ლიპმანის, ჰ. ლასუელის, პ.ლაზერსფელდის, დ. კლაპერის, ე. ნოელ-ნოიმანის, მ. მაქომსის და დ. შოუს ნაშრომები).

მასმედია არის ერთგვარი რგოლი საზოგადოებასა და სამყაროში მიმდინარე მოვლენებს შორის-წერდა, უ. ლიპმანი თავის ცნობილ ნაშრომში „საზოგადოებრივი აზრი“. აღნიშნული პარადიგმის ემპირიული განმტკიცება შემოგვთავაზა პ. ლაზერსფერდმა - იდეები, ხშირად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან გადაეცემა საზოგადოებრივი აზრის ლიდერებს, რომლებიც შემდგომ გადასცემენ მოსახლეობის ნაკლებად აქტიურ ფენებს. მის კვალდაკვალ ბ. ბერელსონი აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განსაზღვრულ თემებთან მიმართებაში, შეუძლიათ ინდივიდთა გარკვეულ ჯგუფებზე ზეგავლენის მოხდენა.

## **II. ძირითადი ნაწილი**

მასმედიის ზეგავლენაში იგულისხმება როგორც რეციპიენტთა ზოგადი დარწმუნება, ისე გარკვეული საკითხების ირგვლივ საზოგადოებრივი ყურადღების კონცენტრირება. აუდიტორიის ქცევაზე მედიასისტემების რაციონალური ზეგავლენების განხილვისას ხშირად ისმის კითხვა - ვრცელდება თუ არა მასმედიის სოციალური ძალაუფლება აუდიტორიაზე? რა მეთოდებს იყენებს ის ამისთვის? ამ საკითხთან მიმართებაში ერთიანი თეორიული მიდგომა არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი კვლევისას ეყრდნობა მოსაზრებას, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ აუდიტორია სრულიად მოწყვლადია, ხოლო დანარჩენის აზრით, მასმედია არის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი სუბიექტი და მხოლოდ ნაწილობრივ ან უმნიშვნელოდ ახდენს ზეგავლენას აუდიტორიის ცნობიერებასა და ქცევაზე.

ჩიხიდან ერთგვარ გამოსავალს წარმოადგენს დღის წესრიგის თეორია, რომელიც 1970 წელს ამერიკელ ამომრჩეველზე მედიაზეგავლენების შესწავლის პირობებში შეიქმნა. დღის წესრიგის თეორია გულისხმობს ახალი ამბების შერჩევას საინფორმაციო გამოშვების ბადესა თუ გაზეთის ფურცლებზე, მნიშვნელობის მიხედვით ინფორმაციის რიგითობისა და თანამიმდევრობის განსაზღვრას. მ. მაქომსისა და დ. შოუსმიერ შემოთავაზებული თეორიის თანახმად, აუდიტორიაზე მედიის ზეგავლენა განისაზღვრება არა ამა თუ იმ მზა შეხედულებებისა და იდეების გავრცელებაში, არამედ დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში. რაც უფრო ხშირად სთავაზობს მედია კონკრეტულ პრობლემებს, მით უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა მათ აუდიტორია. აღნიშნული მედიაეფექტი ეყრდნობა მექანიკური დამახსოვრების პრინციპს, არის ზედაპირული ხასიათის და შედეგად არ გულისხმობს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მედიამომხმარებლის ცნობიერებაში ქმნიან სრულ წარმოდგენებს არსებული რეალობის შესახებ. მასმედიას შეუძლია აუდიტორიას მხოლოდ აუწყოს, რომ არსებობს განსაზღვრული (კონკრეტული) მნიშვნელოვანი პრობლემები. პრესას ექნება წარმატება, თუ ის მკითხველს ეტყვის არა რა იფიქროს, არამედ რაზე იფიქროს, -წერს ბ. კონი.

ჯ. დიურინგისა და ე. როჯერსის მიხედვით არსებობს სამი სახის დღის წესრიგი: საზოგადოებრივი, საინფორმაციო (მასმედიის) და სტრატეგიული (პოლიტიკური).

საინფორმაციო დღის წესრიგის ჩამოყალიბებას მასმედიასთან ერთად განაპირობებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტები. პოლიტიკური სუბიექტები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით გთავაზობენ დღის წესრიგს. შესამაბისად, მედიის დისკურსში ხვდება ისეთი საკითხები, რომლებიც ყოველთვის არ არის რელევანტური ფართო საზოგადოებისათვის და მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება.

საყურადღებოა, რომ პოლიტიკური დღის წესრიგის ასეთი „პრივატიზაცია“ გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას, რასაც თან სდევს საზოგადოების უკმაყოფილება. თუმცა, არცთუ იშვიათად, პოლიტიკური სუბიექტები, მედიადისკურსების შესაბამისად, აკორექტირებენ თავიანთ დღის წესრიგს. მედიისა და პოლიტიკური სუბიექტების ზემოაღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, ხშირად, საზოგადოებრივი პრობლემები რჩება ყურადღების მიღმა, ვიდრე რომელიმე მხარე არ მოინდომებს მათ აქტუალიზაციას კონკრეტული ინტერესის შესაბამისად. როგორც მედიისა და კომუნიკაციის საკითხების ექსპერტი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი ნატალი ფენტონი აღნიშნავს, ძალიან ძლიერია მჭიდრო ურთიერთობები პოლიტიკურ და მედია ელიტას შორის. ეს კი ათასგვარ გავლენას ახდენს პოლიტიკის მიმართულებაზე, კანონების მიღებაზე, პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებაზე.

ტოტალიტარულ ქვეყნებში მედიის, და შესაბამისად საზოგადოების, დღის წესრიგის ჩამოყალიბებას პოლიტიკოსები განსაზღვრავენ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში პირიქით ხდება. კორელაციის ხარისხი ყველა შემთხვევაში სხვადასხვაა. ამ სამ სუბიექტს შორის კავშირი სახელმწიფოს შეფასების ერთგვარ ინდიკატორადაც გამოდგება.

მასმედია აყალიბებს საზოგადოებრივ დღის წესრიგს, რაც ნიშნავს, რომ მედიის მიერ მნიშვნელოვნად აღქმულ ამბებს მოქალაქეებიც მეტ ყურადღებას აქცევენ. რაც უფრო ხშირად, სხვადასხვა რაკურსით და დიდი ქრონომეტრაჟით არის გაშუქებული თემა, მით უფრო პრიორიტეტული ხდება ის საზოგადოებისთვის. თემები, რომლებიც პრიორიტეტულია საზოგადოებისთვის, შესაბამისად ხვდება ხელისუფლების დღის წესრიგშიც. ამიტომაც მასმედიის მიერ დღის წესრიგის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული შედეგები მოაქვს საზოგადოებისთვის. მიუხედავად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელოვანი როლისა საზოგადოებრივი დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში, იშვიათია ტრადიციული მედიისა და საზოგადოების ინტერესების თანხვედრა. რასაც თავის მიზეზები აქვს: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არ ძალუძთ საზოგადოებრივი დღის წესრიგის საკითხების სრულად მოცვა. ასევე, ადამიანებს აღელვებთ ისეთი საკითხებიც, რომლებიც საერთოდ არ შუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ამასთან, ტრადიციული მედია ხშირად, ახალი მედიისაგან განსხვავებით, დისკურსის არჩევას არ არის დამოუკიდებელი მედიამფლობელის გავლენებისგან. ჟურნალისტები გარკვეული თემებისა და საკითხების ამორჩევით, სხვების უგულვებლყოფით და გაშუქების გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმით, ამა თუ იმ დატვირთვას ანიჭებენ მოვლენებს, რომლებიც ხშირად მათი მფლობელის პოლიტიკურ რწმენას და ინტერესებს ასახავს. მედია არ კარნახობს ადამიანებს იფიქრონ ზოგადად პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე, არამედ მედია იმპერატიულად კარნახობს აუდიტორიას, თუ რომელი პრობლემაა მათთვის მნიშვნელოვანი და როგორ უნდა გადაჭრან ის. საინფორმაციო დღის წესრიგის სტრატეგია არის დომინანტი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალის მიერ დაწესებული წესების დანარჩენებისთვის თავსმოხვევა. დაქვემდებარებულნი ემორჩილებიან წესებს, თუმცა, აქვთ შესაძლებლობა სხვა ტიპის წესრიგით ჩაანაცვლონ დაწესებული. ასეთ შესაძლებლობას დესერტო უწოდებს ტაქტიკას, იგი ყოველთვის დროებითია და მოკლევადიან შედეგზეა გათვლილი, ამიტომ არასდროს არის სტაბილური. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები არიან

ყოველისშემძლე და მათ შეუძლიათ სრულად განსაზღვრონ მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო სოცილური პრობლემები .

ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვანად შეცვალა ჟურნალისტიკაში ახალი მედიის როლის გაძლიერებამ. თეორეტიკოსები ცდილობენ , თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ჟურნალისტიკის ფუნქციების ახლებურ გააზრებას, „ახალი მედიის“ კლასიფიკაციას. მნიშვნელოვანი განხილვის თემაა ტრადიციული და ალტერნეტიული მედიის ურთიერთმიმართებაც. ახალი მედიის შესწავლისას ჩვენ ვხვდებით არამხოლოდ მასობრივი კომუნიკაციის მრავალფეროვან განვითარებას, რომელიც აკმაყოფილებს ინფორმაციის გადაცემის თანამედროვე ტექნოლოგიურ მოთხოვნებს, არამედ ინფორმაციის მიმართ საზოგადოების სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას. თანამედროვე მედიალანდშაფტი ტრადიციული მედიის ჟურნალისტებთან ერთად გაჯერებულია ბლოგერებით, მოქალაქე ჟურნალისტებით, სხვადასხვა სოციალური ქსელების (Snapchat Facebook, LinkedIn, MySpace, Twitter, YouTube, Flickr, WordPress, Blogger, Typepad, LiveJournal, Wikipedia, Wetpaint, Wikidot, Second Life, Del.icio.us, Digg, Reddit, Lulu. და ა.შ.) მომხმარებლებით. თვითოეულ მათგანს თავისუფლად შეუძლია საზოგადოებრივი ყურადღების კონცენტრირება და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ხშირ შემთხვევებში სწორედ ალტერნატიული და სოცილური მედია ქმნის ისეთ სადისკუსიო პლატფორმებს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას საინფორმაციო სივრცეში. შესაბამისად თანამედროვე საზოგადოებაში, საინფორმაციო დღის წესრიგის ჩამოყალიბებისას, ტრადიციული მედიასაშუალებები მეინსტრიმებად ვეღარ გვევლინებიან. ბევრ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს ალტერნატიული ინტერნეტ-საშუალებები, რომლებიც მეინსტრიმი მედიისგან განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ და ძირითადად საგამოძიებო ჟურნალისტიკით არიან დაინტერესებულნი.

### **III. დასკვნა**

საინფორმაციო დღის წესრიგის ჩამოყალიბებას განაპირობებს პოლიტიკური სუბიექტების დისკურსები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სარედაქციო პოლიტიკა; სახელმწიფო ორგანიზაციები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომერციალიზაცია, ეკონომიკური აგენტები და სხვ. თუ ზემოჩამოთვლილს დავუმატებთ მასმედიის გავლენას საარჩევნო კამპანიების დროს, ფარულ რეკლამას, პოლიტიკური ძალების ღია თუ ირიბ მხარდაჭერას, ადვილი გასაგები ხდება, რატომ ექცევა პოლიტიკური სუბიექტებისა და მასმედიის ურთიერთმიმართებას დიდი ყურადღება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი და ხელშესახებია “ახალი დემოკრატიის” ქვეყნებში, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება საქართველო. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ძალაუფლების და გავლენის სფეროების გადანაწილება ახლა მიმდინარეობს. პოლიტიკოსებსა და მასმედიის წარმომადგენელთა ურთიერთობის დაწერილი თუ დაუწერილი ნორმებიც ახლა ყალიბდება. ამიტომაც, ბუნებრივი და გასაგებია ამ ქვეყნების მმართველი თუ ოპოზიციურ ძალების სურვილი საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციონ მასმედია, და ამას თუ ვერ მოახერხებენ, სიმპათიით მაინც განაწყონ თავიანთ მიმართ. საინფორმაციო დღის წესრიგის ჩამოყალიბება ურთიერთზეგავლენის მრავალფეროვანი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია ერთი მხრივ სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებსა და მეორე მხრივ კომუნიკატორის ინდივიდუალურ ცნობიერებაზე. საინფორმაციო დღის

წესრიგის გავლენა სოციუმის ყველა წევრზე თანაბრად არ მოქმედებს. ზეგავლენის ხარისხი დამოკიდებულია როგორც მედიაგზავნილის შინაარსზე, ასევე რეციპიენტის განწყობებზეც. თუ მედიაგზავნილის მიმართ აუდიტორიას აკავშირებს პირადი დამოკიდებულება, მედიის მიმართ ის ნაკლებად მოწყვლადი იქნება. მედიის ზეგავლენა განსაკუთრებულად ძლიერია ინფორმაციის არაკრიტიკულად აღქმის შემთხვევაში - ტერაქტების, კონფლიქტების, სტიქიური უბედურებების დროს. რუსი მკვლევარის ე.დიაკოვას მიხედვით, საინფორმაციო დღის წესრიგის ჩამოალიბებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ არა ყველა მედიასაშუალებას, არამედ მეინსტრიმ მედიარგანიზაციებს, ხოლო ზეგავლენის ხარისხი პირდაპირ კორელაციაშია მედიის მიერ გაშუქებულ პრობლემასთან. მედიადისკურსში პრობლემების დაყოფამ თავსმოხვეულ ("obtrusive") და არათავსმოხვეულ პრობლემებად, საბოლოოდ განამტკიცა მოსაზრება რომ ეფექტი უსაზღვრო არ არის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც არ არიან ყოვლისშემძლენი.

დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში ახალი მედიის ინტელექტუალურ დივიდენდებზე საუბრისას, გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი პრობლემა -საინფორმაციო ნაკადების სიმრავლე, რომელშიც რთულია იპოვო ნამდვილად ღირებული, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს , რომ როცა საქმე ეხება საზოგადოებრივად რელევანტურ თემებს , ახალი მედია არის კონსოლიდირებული და შეუძლია შექმნას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სადისკუსიო პლატფორმა .

#### ლიტერატურა:

1. გიგი თევზაძე , საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები. 2010, თბილისი.
2. მედია და პოლიტიკა ბრიტანეთში, რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/media-da-politika-britanetshi/24613569.html>
3. Уолтер Липпман. Общественное мнение. – М.: Ин-т Фонда «Общественное мнение», 2004. С. 7-22.
4. Cohen, B. The press and foreign policy. New York: Harcourt. – 1963.
5. Dearing J., Rogers E. Agenda-setting, Where Has It Been, Where Is It Going? // Communication Yearbook 11. L.A., 1987.
6. McCombs M. (2004), Setting the Agenda: The Mass Media and Public Opinion, New York: Polity; <http://www.virtualrhetoric.com/onlineclass/moodledata/11/McCombsAgenda.pdf>
7. Berelson B. Communication and Public Opinion <http://www.irfanerdogan.com/dergi-web2008/24/11.pdf>
8. Пономарев, Н.М. Фреймингмедиаповестки дня и типология медиафреймов // Вестник Пермского государственного университета № 3 (9), 2010.
9. Sharon Meraz, Is There an Elite Hold? Traditional Media to Social Media Agenda Setting Influence in Blog Networks. <http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/j.1083-6101.2009.01458.x/pdf>
10. Тимур Сазонов «Информационная повестка дня»: блоги приходят на смену традиционным СМИ?
11. <http://www.relga.ru/Environ/WebObjects/tgu-www.woa/wa/Main?textid=2743&> (20.10.2017).



### **Factors that Determine Mass-Information Agenda**

#### **Summary**

This article is based on relation between subjects and society where the author attempts to present the factors responsible for agenda-setting by mass-media. The article develops the following opinion – Influence of media is determined not only by spreading various viewpoints, but by setting informational agenda.

Agenda-setting is presented as multifactoral process of exchanging influence, which is depended upon different social institutions and individual life of a communicator. The author tries to review a relationship between traditional and new media.

*Key Words: Agenda-Setting, Mass-Media, Society, Political Subjects, New Media*

#### **Conclusion:**

Agenda-setting is determined by the following factors: Direction of political subjects, redactional politics of the means of mass information, state organizations, commercialization of the means of mass information, economic agents etc. Adding the mass-media influence over election campaigns, hidden advertisements, and open or subtle support of political forces, it becomes vivid why the relationship between political subjects and media is a topic of a great attention. The example is significantly noticeable in “New Democracies”, a list in which Georgia is included. New democracies are undergoing the distribution of the power. Politicians and mass-media representatives have a relationship, and the formation of its norms, is happening in the present moment. Meaning that it is natural and understandable for ruling or oppositional sides to influence on mass-media, and if they fail to do the mentioned, they will at least try to win the sympathy. Agenda setting is a differentiated process of influences, which is depended upon social institutions and individual consciousness of the communicator. Setting of informational agenda is not equally reflected on each member of the society. The degree of influence depends on the contents of the media message, as well as on character of the recipient. If the attitude audience is personally related to media message, it will not be vulnerable to media. The influence of the media is highly powerful if there is no criticism of the information, for example during: Terrorist attacks, conflicts and natural disasters. Russian researcher E.G. Dyakova concludes that not every mean of mass information is responsible for setting an agenda, but only the mainstream ones. Hence, the magnitude of influence is directly correlated to the problem broadcasted by the media. The problems being diversified, as obtrusive, and non-obtrusive, finally strengthened the argument that agenda-setting effect is not limitless and the means of mass information are not invincible.

During the talks about agenda-setting and the dividends of the new media, a grave problem is taken into consideration, which is the multitude of informational streams. Making it difficult to find truly valuable one. But, the practical experience shows that when socially relevant topics are spotlighted, the new media is consolidated and is capable of creating crucial platform for discussion.

# სოციალური მეცნიერებანი

## SOCIAL SCIENCES

### სოციალური მხარდაჭერის გავლენა ოჯახურ ძალადობაზე

ლია მეტრეველი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**რეზიუმე.** ნაშრომში განხილულია, სოციალური მხარდაჭერის გავლენა ოჯახურ ძალადობაზე. ნაშრომში განხილული ჰიპოტეზის მიხედვით, ოჯახში ძალადობის დაძლევის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას სოციალური მხარდაჭერა წარმოადგენს.

არსებობს მთელი რიგი კვლევები, რომლებიც აღიარებენ სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ყურადღების მიღმა არ დარჩეს ოჯახური ძალადობის შემთხვევები, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ტრადიციული ცნობიერებიდან გამომდინარე, მალავს ოჯახურ ძალადობას, ხოლო როცა საზოგადოება პრობლემების მასშტაბების შესახებ, არ არის ინფორმირებული შესაბამისი რეაგირებაც შეუძლებელია. გარკვეულ წილად ყოველივე ეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და რა თქმა უნდა, ამ საქმეში მედიასაც ეკისრება პასუხისმგებლობა.

ვიდეოკულტურის ყველა ფორმა დიდ როლს ასრულებს ადამიანის ღირებულებათა სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და სოციალიზაციაში.

ევროპის პარლამენტმა 2013 წლის 12 მარტს “გენდერული სტერეოტიპის აღმოფხვრის შესახებ” მიიღო რეზოლუცია, რომლის შესაბამისად გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, ამცირებს საზოგადოების პატივისცემას ქალთა მიმართ და ხელს უწყობს მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას.

ნაშრომში ჩვენ შევხებით სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობას ოჯახში, ძალადობის პრობლემის დაძლევის საქმეში. საკანონმდებლო რეგულირება, ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა, საზოგადოების მენტალობა და სხვა ფაქტორები ხელს უწყობენ პრობლემის მართვასა და დაძლევას.

**საკვანძო სიტყვები:** ოჯახური ძალადობა, ემოციური მხარდაჭერა, ინსტრუმენტალური მხარდაჭერა, დისკრიმინაცია.

### **I. შესავალი**

მხარდაჭერის ცნება თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ფართოდ და მრავალმხრივად გამოიყენება. ტრადიციულად იგი დადებით ქვეტექსტს გულისხმობს, მხარდაჭერა პირველ რიგში უკავშირდება სხვადასხვა საზოგადოებრივი სამსახურების საქმიანობას, რომლებიც ადამიანთა უფლებათა დაცვას ემსახურება, მეორეს მხრივ, მხარდაჭერა გულისხმობს მრავალ ასპექტიან სისტემურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პიროვნების ინტერესების, მიდრეკილებების, მისი ცხოვრებისეული მიმართულებების დიფერენციულ გამოვლენაზე, და მესამე აღნიშნული ტერმინი უკავშირდება ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალიზაციის პროცესს, რა ასაკშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი.

### **II. ძირითადი ნაწილი**

ეტიმოლოგიურად სიტყვა მხარდაჭერა ნიშნავს „ემსახურო საყრდენად“, „დანგრევისა და დაცემის საშუალების არ მიცემას“.

სოციალური მხარდაჭერა არის სტრესთან გამკლავების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ეს არის იმის რწმენა, რომ სხვებს ესმით შენი გასაჭირი (საჭიროებები) და ცდილობენ შენს დახმარებას. სოციალური მხარდაჭერა ადამიანმა შეიძლება ნახოს მეგობართან ან ოჯახთან, კლუბში ან თუნდაც მხარდაჭერის ჯგუფებში.

არსებობს სოციალური მხარდაჭერის ორი ძირითადი სახე:

**ემოციური მხარდაჭერა**, რომელიც მოიცავს ნდობით აღჭურვილობის ქმედებას. მაგალითად, შეიძლება მხარდაჭერა შესთავაზო ვინმეს იმით, რომ მოუსმენ მას ან თანაგრძნობას გამოხატავ რთულ ვითარებაში.

**ინსტრუმენტალური მხარდაჭერა** - ეს არის დახმარების შეთავაზება ფიზიკური და მატერიალური ფორმით, მაგალითად, ფულის შეთავაზება იმისთვის, ვინც დაკარგა სამსახური ან სადილის მომზადება იმისთვის, ვინც მიჯაჭვულია საწოლზე და სხვა. ორივე მხარდაჭერა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სოციალური მხარდაჭერის საკითხი, მისი კავშირი ფსიქიკური სიჯანსაღის საკითხებთან (დეპრესია, ტრავმა და გამკლავება, მისი ბუფერული როლი სტრესულ ვითარებაში, სხვ.) კვლევისა და შესწავლის საგანს წარმოადგენდა მრავალ ევროპულ (დიდი ბრიტანეთი) აზიურ (თურქეთი, პაკისტანი) და აფრიკულ (სამხრეთ აფრიკა) ქვეყნებში.

სოციალური მხარდაჭერის მრავალგანზომილებიანი შკალის ვალიდაცია<sup>1</sup> თავდაპირველად მოხდა დასავლეთის მოსახლეობაში, შემოდგომში, კი სხვა ქვეყნებში, მათ შორის ეკონომიკურად ნაკლებად და საშუალოდ გავითარებულ ქვეყნებშიც. მაგალითად თურქეთში ჩატარებული კვლევები ეხებოდა სოციალურ მხარდაჭერასა და მშობიარობამდელ დეპრესიას შორის კავშირის დადგენას, ასევე სოციალური მხარდაჭერაზე კვლევა ჩატარებულ იქნა პაკისტანში და დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ პაკისტანელ ქალებზე.

სოციალურმა მხარდაჭერამ, შესაძლოა, პირდაპირ დაიცვას დეპრესიისგან ან მოგვევლინოს ბუფერის როლში, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ცხოვრების სტრესულ მოვლენებზე.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი კვლევა სოციალური მხარდაჭერის სტრესზე

---

<sup>1</sup> ვალიდაცია – ფსიქოლოგიური მეთოდის ტესტის შესაძლებლობა, გამოავლინოს ის რისთვისაცაა გათვალისწინებული

ზეგავლენისა, არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება ადამიანს მუდმივად ესაჭიროება სოციალური მხარდაჭერა, თუ მხოლოდ სტრესულ ვითარებაში?

ბუფერიზაციის ჰიპოთეზის მიხედვით, სოციალური მხარდაჭერა სასარგებლოა სტრესის დროს; თუ ადამიანი არ იმყოფება სტრესის ზემოქმედების ქვეშ, მას არ სჭირდება სოციალური მხარდაჭერა.

სოციალური მხარდაჭერა ორი გზით ეხმარება ადამიანს:

პირველი - ის ეხმარება ადამიანებს მოვლენების უფრო პოზიტიურად ინტერპრეტაციაში (თუ კი ყავს მეგობარი, რომელსაც მისი გაცინება შეუძლია რთულ მომენტებში). შეუძლია იგი გამოიყვანოს მძიმე მდგომარეობიდან.

მეორე გზა, რომლითაც სოციალური მხარდაჭერა ეხმარება ადამიანებს, არის გამკლავების შესაძლებლობების მიგნება. თუკი ცხოვრების რთულ პერიოდშია ადამიანი და იცის ვინმე ვინც მსგავსი სიტუაცია უკვე გაიარა და მას შეუძლია დახმარება, მომავალში ისიც ასევე დაეხმარება სხვას.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ამოცანაა პიროვნების ინდივიდუალური განვითარების, თვითგანვითარების ხელშეწყობა, ცხოვრებისეული კრიზისის პერიოდში პიროვნული ზრდის, შინაგანი ძიებისა და არჩევანის პროცესის განხორციელება.

სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ოჯახის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ფუნქციას, რასაც სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებიც ადასტურებს: მათ ცხოვრებაში, ვისაც ყავთ ახლობლები, რომლებიც მხარს უჭერენ ( არ აქვს მნიშვნელობა ოჯახის წევრი იქნება თუ სხვა ახლობელი) უფრო ბედნიერები არიან, უფრო დიდხანს ცხოვრობენ და ხანდაზმულ ასაკში თავს უფრო კარგად გრძნობენ, ვიდრე ისინი, ვისაც ასეთი დამოკიდებულებები არ გააჩნიათ.

ჩვენი ინტერესის ერთ ერთ მიმართულებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ოჯახის დამოკიდებულების, მისი როგორც მხარდამჭერის როლის განსაზღვრა წარმოადგენს. მხარდამჭერებში მოვიაზრებთ არა მხოლოდ ოჯახს, არამედ სხვა ფორმალურ და არაფორმალურ რესურსებსაც.

ფორმალური რესურსები არის საჯარო ორგანიზაციები (პოლიცია; პრევენციისთვის მებრძოლი დახმარების სააგენტოები; კერძო ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები; თავშესაფრები).

მხარდაჭერის არაფორმალურ რესურსებს წარმოადგენენ მეგობრები, ოჯახის წევრები, ნაცნობები.

სელექციის პროცესი, რომელიც გულისხმობს მსხვერპლი ქალის მხრიდან არჩევანის გაკეთებას თუ ვის მიმართოს დასახმარებლად, დამოკიდებულია იმაზე თუ ვისი სჯერა ქალს და რომელი წყარო ამართლებს მის მოლოდინებს.

სოციალური მხარდაჭერის როლის შესახებ ინტერესი გაჩნდა პარტნიორული ძალადობის სფეროში ჩატარებული კვლევების სფეროშიდაც, სადაც აღნიშნულია, რომ-იმის რწმენა, რომ ადამიანს მხარდაჭერა აქვს-ინფორმაციული, ემოციური, ფსიქოლოგიური, ფინანსური და ა.შ. ხელს უწყობს " მოსახლეობის ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობას" რაც მრავალმა კვლევამ აჩვენა.

კვლევებმა ცხადყო, რომ პარტნიორული ძალადობის მსხვერპლ ქალებში, სოციალურმა მხარდაჭერამ გააუმჯობესა ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაიკლო პოსტრავმულმა სტრესულმა აშლილობის სიკვდილებმა, სუიციდურმა აზრებმა და ქმედებებმა. მთავარი მიდგომა სოციალური მხარდაჭერისადმი არის ის, რომ სოციალური მხარდაჭერა ამცირებს ჯანმრთელობაზე სტრესის უარყოფით ზეგავლენას (მოქმედებს, როგორც ბუფერი).

ორ ყველაზე ფართომასშტაბიან მედია ანალიზში, რომელიც განხორციელდა პოსტ-ტრავმულ სტრესული აშლილობის რისკებსა და დამცავ ფაქტორებზე მკვლევარები ასახელებენ სოციალურ მხარდაჭერას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს.

ასე მაგალითად, სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობა ფეხმძიმობის პერიოდში ოჯახური ძალადობის უარყოფით შედეგებთან და პირიქით, მხარდაჭერის არსებობა აუმჯობესებს ფეხმძიმობის შედეგებს იმით, რომ იგი ახდენს სტრესის შედეგების ბუფერიზაციას ან უშუალოდ აუმჯობესებს ქალის ფსიქიკურ მდგომარეობას.

სოციალური მხარდაჭერა სოციალური ურთიერთობების ხარისხს განსაზღვრავს და შედეგად გვაქვს ურთიერთობები, ინტერპერსონალური ურთიერთობები და აქტივობები, მაღალი სოციალური მხარდაჭერის დაბალი აღქმადობის გამო არაერთი პრობლემა გვხვდება სამედიცინო თვალსაზრისით, მაგალითად: მაღალი სიკვდილიანობა, გახანგრძლივებული ჰოსპიტალიზაცია და სხვა სოციალური მხარდაჭერა უკავშირდება შემდეგ გრძნობებს: უსაფრთხოებას და დაცულობას, ადამიანს აქვს ნდობის განცდა, რომ შეუძლია ვინმეს დაეყრდნოს ან იმის აღქმა, რომ საჭიროების შემთხვევაში არსებობს მხარდაჭერა. რომ სოციალური მხარდაჭერა აძლიერებს თვით-შეფასებას და გარემოს ძალის შეგრძნებას.

ძალადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია სოციალური მხარდაჭერის დაბალი დონე; სოციალური მხარდაჭერის ერთ-ერთი პოზიტიური ფუნქციაა რთულ ვითარებასთან შეგუება, იგი აუმჯობესებს გამიკვლევების სტრატეგიების ეფექტურობას, ამცირებს მოვლენის სტრესულობას.

სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფი უწყებები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები წარმოადგენენ ინტიმურ პარტნიორული ძალადობის შემაკავებელ ბერკეტებს. აღსანიშნავია, რომ არსებობს მაღალი კორელაცია სოციალური დახმარების საჭიროებებისა და ოჯახში ძალადობის არსებობას შორის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხშირად სოციალური დახმარების სისტემა და ცალკეული პროგრამები ვერ აკმაყოფილებს მსხვერპლთა საჭიროებებს და ამით აძლიერებენ მათი უსუსურობის შეგრძნებას და ამცირებენ პრობლემასთან გამკლავების შანსებს

ხანგძლივი სტრესული რეაქციებს ხშირად ამწვავებს იმ სისტემის გულგრილი და მკიდებულება, რომლებიც მოწოდებულია კრიზისის დროს პიროვნების დახმარებისათვის. ამას ეწოდება მეორადი ტრავმა, ანუ მეორადი ვიქტიმიზაცია.<sup>1</sup>

დამტკიცებული იქნა, რომ ის შეიძლება ფსიქოლოგიურად უფრო მეტად იყოს ზიანის მომტანი მსხვერპლისათვის, ვიდრე თვით ტრავმა, მეორადი ვიქტიმიზაციის წყარო შეიძლება იყოს:

- არასრულყოფილი სისხლის სამართლის სისტემა;
- პრესა, ტელევიზია;
- ოჯახი, მეგობრები, თანამშრომლები, ნაცნობები;
- ჯანდაცვის დაწესებულებების თანამშრომლები;
- სოციალური სამსახურის მუშაკები.

<sup>1</sup> ვიქტიმიზაცია-ტრავმის წყარო

სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება, რეაგირება მოახდინოს ქალთა მიმართ ძალადობაზე, გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო რეზოლუციებიდან, კონვენციებიდან, რომელიც ,თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირებს დაიცავს,დანაშაულის ჩამდენი პირების დასჯას და მსხვერპლის კომპენსაციით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

გაეროს ადამიანის უფლებათა სანქოსა და გენერალური ანსამბლეს რეზოლუციებში, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას ეხება მრავალგზის ხასგასმულია სახელმწიფოს ვალდებულება იხელმძღვანელოს ჯეროვანი ძალისხმევის DUE DILIGENCE<sup>1</sup>-ის პრინციპით.

ჯეროვანი ძალისხმევის სტანდარტი სახელმწიფოს ასევე ვალდებულებს, რომ ქალთა მიმართ, ძალადობასთან ბრძოლის დროს გამოიყენონ ჰოლისტური<sup>2</sup> მიდგომა, რაც პრობლემის გამომწვევი სტრუქტურული მიზეზების სიღმისეულ შესწავლას და მასთან ბრძოლას გულისხმობს.

ევროკავშირის ქვეყნებში თითქმის სრული თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ ოჯახში ძალადობა არის საზოგადოებრივი და არა პირადი პრობლემა და პირველ რიგში, მის აღმოფხვრაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. ოჯახში ძალადობის პრობლემაზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევამ ცხადყო, რომ სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებები წარმატებით ვერ უძლავდება ოჯახში ძალადობის პრობლემას. მკვლევარები აღნიშნავეი რომ ოჯახში ძალადობა მიიჩნევა, როგორც სახელმწიფოს სუსტი პოლიტიკის შედეგი, ანუ, სახელმწიფომ და მისმა შესაბამისმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლო პრობლემის შემჩნევა, მასთან გამკლავება და პრევენცია.

პრობლემის სრული წარმოჩენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, როგორც ძალადობის მსხვერპლთა, ასევე სამართალდამცავთა ინდივიდუალური თავისრბურებებსაც შევხვით, რადგან ის ორგანოები, რომლებსაც სახელმწიფოსაგან კანონის გატარება ევალებათ, ხშირად ივიწყებენ თავიანთ მოვალეობებს გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით- ზოგჯელ ისეც ხდება, რომ თვითონ ხდებიან მოძალადე და შეურაცხმყოფელი.

სამართალდამცავები ხშირად აღნიშნავე ძალადობის მსხვერპლთა არათანამიმდევრულ ქცევებს- დაზარალებულებს მოძალადეზე დაწერილი საჩივარი ხშირად უკან გააქვთ, რაც სამართალდამცველთა გაღიზიანებას იწვევს. მსხვერპლი ასევე ვერ იღებს გადაწყვეტილებას პოლიციის გამომახების აუცილებელ შემთხვევაშიც, ვინაიდან ძალადობის ფაქტის დროს, ძალადობისაგან გამოწვეული სტრესის, ნათესავების ზეწოლის, საზოგადოების გაკიცხვის , სირცხვილის თუ მოძალადის შიშის გამო, ისინი ვერახერხებენ საკუთარი თავის დაცვას.ყოყმანი წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლის ძირითად ფსიქოლოგიურ მახასიათებელს. იგი ძალადობის პროცესს ახანგძლივებს და მის იმტენსიობასაც უწყობს ხელს. ჩემი აზრით ამბივალენტურობა მნიშვნელოვანწილად არის პასუხი მსხვერპლისადმი საზოგადოების მუდმივ მესიჯზე, კერძოდ:

- (ა) მისი ოჯახში გამოცდილება არის ტრივიალური;
- (ბ) მისი ბრალდებები მართალი არ არის;
- (გ) ძალადობა მისი ბრალია;

ამგვარად, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, მსხვერპლთა ამბივალენტობა და მათი

<sup>1</sup> DUE DILIGENCE– წარმოადგენს შესაფერის ჩარჩოს იმის დასადგენად და გასანალიზებლად თუ რამდენად შესრულა სახელმწიფომ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ვალდებულება

<sup>2</sup> ჰოლისტერა – ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ქომაგი

არჩევანი, საზოგადოების ამბივალენტობის პირდაპირი ასახვაა.

სამწუხაროდ მსხვერპლის ამ თავისებურებას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაც აფერხებს იჯახში ძალადობაზე სამართალდამცავთა ადექვატურ ზემოქმედებას.

ძალადობის პრობლემის დაძლევის საქმეში, საკანონმდებლო რეგულირება, ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა, საზოგადოების მენტალობა და სხვა ფაქტორებმა უნდა განაპირობოს პრობლემის მართვა და მოგვარება.

#### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი იჯახში ძალადობის აღკვეთის, იჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ (მუხლი 2115,ნაწ.3ი, 17|07|2015 წ. რედაქც);
2. დეკანოძე.თ „ფემიციდის საქმეების განაჩენი“-2014“. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 201,გვ.15-16;
3. საქართველოს სახალხო დამცველი,2014 „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები“, 2015;
4. სოფრომაძე პ., “სტაბილური იჯახი-ჰარმონიული საზოგადოების საფუძველი”;
5. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაცია 1993;
6. 6.Hyde-Nolan M, Julio T.Theoretical Basis for Family Violence. UK, Jones & Bartlet Learning, 2012;
7. Энциклопедия социальной работы /Под ред.Кунельского Л. Маковецкого/ Москва, “Наука 1994.

*Lia Metreveli, Associated Professor  
Georgian Technical University*

### **The Impact of Social Support on Family Violence**

#### **Summary**

There are revealed the impact of social support on family violence in the article. According to the discussed hypothesis, one of the effective means of overcoming domestic violence is the social support.

There are exist many different researches recognizing the importance of social support. It is vital important that the society should pay attention on domestic violence facts, large part of the Georgian population according to the traditional values, hides domestic violence, while the society is not informed about the scope of the problem, properly the relevant reaction is impossible. All of this is the part of the state policy, and accordingly the media is responsible in some degree.

All forms of video culture play a great role in the establishment of human values structure and socialization.

The European Parliament adopted a resolution on the “Elimination of Gender Stereotype” on March 12, 2013, according to which the gender discrimination reduces the society’s respect toward to the women and promotes the violence against them.

In the article we have revealed the importance of social support in the family, concerning the problem of violence. Legislative regulation, the existence of the effective state policy, public mentality and other factors provide the management and solving the problem.

**Key words:** *Family violence, Emotional support, Instrumental support, Discrimination.*

**ლიბერალულის გაუფასულება და აკიფინცია**

გიორგი ჩაჩანიძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**რეზიუმე.** თანამედროვე მსოფლიო, თანამედროვე გამოწვევებით არის გამორჩეული. ამ გამოწვევათა სპექტრი იმდენად მრავალმხრივი და მასშტაბურია, რომ ძნელია დასახელდეს დარგი, სფერო, საზოგადოებრივი მიმართულება, სადაც დღესდღეობით არ მიმდინარეობდეს მიდგომათა და გააზრებათა ძირეული გარდაქმნა, იდეებისა და გონებრივი გაანგარიშებების სრული რესტრუქტურირება. ეს ურთულესი პროცესია, რადგან სწორედ ახლა, ჩვენს ეპოქაში, ჩვენ თვალწინ ყალიბდება მსოფლიოს ახალი საზოგადოებრივი, სამეცნიერო, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული წესრიგი, საერთო-საყოველთაო თანაარსებობის წესების დამკვიდრება. ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია ფუნდამენტური და მარადიული ღირებულებების შენარჩუნება, რათა არ მოხდეს ღირებულებების გაუფასურება.

დღევანდელი მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მიჩნეულია კულტურული მემკვიდრეობა, სპორტი და განათლება. ერთი სიტყვით ყველაფერი რაც არ არის დასაკარგი და რაც არის ღირებული. სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მსოფლიო სივრცეში ინტეგრირება აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, სადაც დაცული იქნება ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა.

ამ მარადიულ ღირებულებებს თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ჩვენი მთლიანობა ტრადიციები და თვით მყოფადობა არ დაკარგოთ, მთავარია ასევე ვიცოდეთ როგორ, რა გზებით უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ენა, სარწმუნოება.

**საკვანძო სიტყვები:** ღირებულებები, დემოკრატია, გაუფასურება, პრევენცია

**I. შესავალი**

ზ. ფროიდის თეორიების მიხედვით, ადამიანის ცხოვრებაში უნდა გამოიყოს ცნობიერი და არაცნობიერი. არაცნობიერში გაერთიანებულია ის ყველაფერი, რაც მიუწვდომელია ცნობიერებისათვის დათრგუნვისგამოდარაცმესამღებელიაიოლადგადავიდესარაცნობიერიდან ცნობიერში. თავის მხრივ, ცნობიერება არის შინაგანი და გარეგანი გამაღიზიანებლების შემგრძნობი და აღმქმელი ინსტანცია.

ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის უცხო არაა არასრულფასოვნების განცდა, რომლის დასაძლევად არსებობს (არაერთადერთი) კომპენსაციის გზა. თუმცა, ადამიანები განსხვავებულ გზებსაც იყენებენ. ერთნი ცდილობენ სხვების დათრგუნვას ან ძალმომრეობას, მეორენი „ლეგალურ“ საშუალებებს მიმართავენ. პირველი ეს ის შემთხვევაა, როცა ღირებულებათა გაუფასურებასთან გვაქვს საქმე და ადამიანები გადაგვარებული სახით გვევლინებიან, რომელთაც აღარ სჭირდებათ წინაპრების ნორმები, წესები და ნიმუშები, ფულის მოპოვებისა და სიმდიდრის შოვნისკენ ისწრაფვის, სამშობლო მხოლოდ სუფრაზე ახსენდება. ხანდახან ეკლესიაშიც წავა და ცოდვასაც მოინანიებს, ოღონდ მოჩვენებით, ცოტაოდენ ქველმოქმედებასაც გასწევს, ესეც მოჩვენებითია, ქედმაღალია და ამასთან, ხშირად თავის ნიჭსა და უნარს საეჭვო ღირებულებებს



ახმარს, დაკარგული აქვს საკუთარი ძალისა და შეფასების უნარი, ითხოვს სულ უფრო და უფრო მეტ კეთილდღეობას, საკუთარი თავის გარდა არავის ავტორიტეტს არ ცნობს, ან მოჩვენებითად აღიარებს მას და ფსიქოლოგიურად არამდგრადი ხდება.

ყოველივე ეს ადამიანს უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს, უკეტავს გონებას და რეალობის აღქმის უნარს. ესე იგი ადამიანი იცლება მორალისა და მოვალეობებისაგან და იწყება ღირებულებათა გაუფასურება.

## **II. ძირითადი ნაწილი**

საქართველოს ჰიმნის ავტორი, დავით მაღრაძე საინტერესოდ განიხილავს იმ უმთავრეს ღირებულებებს, რომელთა გათავისება და მსახურება არის უმთავრესი – „მადლი და მარილი ამა ქვეყნისა“. პოეტის აზრით, საქართველოს არცერთ მოქალაქეს არა აქვს უფლება წაუყრუოს „რაიმე ისეთს, რაც არ შეუწყობს ხელს ცისკარის ვარსკვლავის ორ ზღვას შუა გაბრწყინებას“... ქვეყნის რეალური მდგომარეობის შემხედვარე ადამიანი აღტკინებული მეხოტბე და დიფირამბისტი ნამდვილად ვერ იქნება... „სხვის თავმოსაწონებლად ცხოვრება არ ვარგა, – „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“, – დიდებულინათქვამია. პირიქით, უხერხულია, რომ მუდმივად შენ ცდილობდე გამოაჩინო საქმე, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, მკაფიოდ არ ჩანს“... მიუღებელია სიმპტომების გაჩენა, როდესაც „მთავარი ის კი არ არის, რომ საქმე გაკეთდეს, არამედ ის, რომ ხალხს ეგონოს, რომ საქმე კეთდება“. და ბოლოს უმთავრესი მოსაზრება: „სახელმწიფო შეცდომებზე მითითებით, მათი აღიარებითა და გამოსწორებით შენდება და არა ოვაციის შემახილით“.<sup>1</sup> როგორც კი ასე არ მოვიქცევით, უთუოდ დავცილდებით ჭეშმარიტ ღირებულებებს.

საზოგადოებაში ჯერ კიდევ ფესვგადგმული ორმაგი სტანდარტები, გულგრილობა, გაუმჭირვალეობა, არაადექვატურობა, რეალობისაგან მოწყვეტა, სიმართლის დამალვა, რაც მხოლოდ ერთს ამტკიცებს, რომ ჩვენში საყოველთაოდ გაცხადებული ღირებულებები ბუტაფორიაა და მეტი არაფერი. ამდენად, საჭიროა დროზე დავუბრუნოთ სიტყვებს თავისი მნიშვნელობა, სხვაგვარად ცხოვრება უაზრობად გვექცევა.

ღირებულების ერთ-ერთი ნიშანია დიადი მიზნისკენ სწრაფვა და მისი კალაპოტში ჩაყენება. როგორც კი კალაპოტიდან ამოვარდება, ის უფასურდება, საზოგადოება გაყალბებულ პირობებში გადადის. „ალბათ კონკრეტულად ეს არავის ბრალი არ არის. სამოცდაათი წელიწადი ჩვენ ყველას ერთი, საკმაოდ აბსტრაქტული, უკიდევანო სამშობლო უნდა გვექონოდა, რომელშიც საქართველო დასხვა ნებისმიერი ავტონომიური რესპუბლიკა, კარის მეზობელი ან თანასოფლელი და შორეული მეზობე ერთნაირად უნდა გვეყარებოდა, ერთნაირად გაგვეთავისებინა ჭირიც და ლხინიც. ასეთი იყო ათწლეულების განმავლობაში ყველა ჩვენგანისათვის კარგად ნაცნობი საბჭოთა იდეოლოგია, რომლის მსხვერპლიც აღმოვჩნდით უმრავლესობა. ვიზრდებოდით ცრუ ღირებულებების, ცრუ-პატრიოტიზმის, გაუფასურებული ფასეულობებისა და გაყალბებული ისტორიის პირობებში.

მოგონილი დიდი სამშობლო, საბჭოთა კავშირი, როგორც იქნა დაინგრა და დაიწყო განუკითხაობის წლები, საქართველოს უახლესი ისტორიის წლები, როდესაც თანდათან, მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ღირებულებების გაუფასურება, მორალისა და ელემენტარული ზნეობის ნიველირება. თხუთმეტი წლის განმავლობაში ბატონობდა ეს

<sup>1</sup> მაღრაძე დ., საზოგადოების ღირსება და ღირებულებები. გაზ. „24 საათი“, N91, 22 აპრილი 2005, გვ. 1.

იდეოლოგია, რომლის მიხედვით ცუდი კარგი გახდა, კარგი და წესიერი კი უბადრუკი.<sup>1</sup>

ცხოვრება ისეთ საზოგადოებაში, სადაც ჭეშმარიტი ღირებულებები გაუფასურებულია და ყველაფერი გაუკუღმართებულია, ადამიანებისთვის გაუსაძლისი და აუტანელი ხდება. მის დაბრუნებას დიდი ძალისხმევა, დაუღალავი ბრძოლა, თუნდაც საკუთარ თავთან, დრო სჭირდება. მხოლოდ ასე შეიძლება დავამკვიდროთ თამაშის მხოლოდ ერთი წესი – კანონი და სახელმწიფოებრივი აზროვნება.

ყველა ადამიანი გარკვეული ღირებულებების მატარებელია. თუ როგორ ყალიბდება მათში დადებითი ღირებულებანი – ამის გასარკვევად, „სიბრძნის“ ცნებაში უნდა გავერკვეთ, რომელიც უნდა მოიტანოს დრომ. როგორც ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, სიბრძნე რწმენისა და მეცნიერების გარეშე არ არსებობს. ესენია, ადამიანის ამალღებისა და ღმერთთან მიახლოების საშუალება, რაც მასში ავითარებს ისეთ ღირებულებებს, როგორცაა სათნოება, სიყვარული, სიმართლე, ჭეშმარიტება, მადლი და მოწყალება.

ყველაზე მთავარი არის პიროვნული რესურსი. ანუ, თუ ადამიანი უზნეოდ იქცევა, ესე იგი ქვეყანა ადგას უზნეობის გზას. მხოლოდ ადამიანს შეუძლია შეიცნოს ღირებულება ფაქტების სამყაროში... მხოლოდ ადამიანის მიერ აგებულ კულტურის სამეფოში ხდებიან ღირებულნი რეალური მოვლენები. საზოგადოებაც ხომ ადამიანებისგან შედგება, ამიტომ საზოგადოებას უნდა გააჩნდეს ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკასა და, მთლიანად, საზოგადოების განვითარებას.

გადაგვარებული ადამიანისთვის კი, დამახასიათებელი ხდება ინტელექტუალური ჰერმეტიულობა, სიხარბე, უპასუხისმგებლობა და უზნეობა. ასეთი სახეცვლილებების უტყუარი მიზეზი არის ფასეულობათა გადაფასება. ეს რომ არ მოხდეს, უნდა მოვიძიოთ ღირებულებათა მიგნების შესახებ ბევრი ასეთი წყარო, რომელიც ნამდვილად არსებობს და შეიძლება მოძიებულ იქნეს ისტორიულ ქრონიკებში, ლექსებში, უძველეს თუ უახლეს კანონებსა თუ კონცეფციებში, პრესის ფურცლებზე, ენციკლოპედიებში, წიგნებსა თუ ინტერნეტში და ა. შ. ღირებულებითი ორიენტირების გარეშე ადამიანის ყოველი ქცევა და ყოველგვარი მსჯელობა აზრს კარგავს.

უმალესი ღირებულებები – სიყვარული, მეგობრობა, სათნოება და სხვა – თვით **ადამიან-შია** და ვლინდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. მაშასადამე, ამ ურთიერთობებშიც და ჩვეულებრივ საუბრებშიც არის შესაძლებელი მათი მოძიება. გამოჩენილი თუ უბრალო ადამიანთა ცხოვრებაზე ხალხი ხშირად იმიტომ საუბრობს და ეს იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ მაგალითებზე გავარკვიოთ ჩვენი საზოგადოების, ერის, პიროვნების – სხვადასხვა ღირებულებები.

**ამდენად, დემოკრატიული ღირებულებები ხალხშია, შესაბამისად, ევროპული მომავალიც. ნიჰილიზმი და პასიურობა ასუსტებს დემოკრაციას, ღირებულებებს.**

„ღირებულება“ არის სიტყვა, ცნება, ტერმინი, რომელსაც ადამიანები საუბრისას და საგაზეთო მასმედიის მეშვეობით იყენებენ. ღირებულებათა წყაროების კვლევისთვის უმთავრესი არის ის, რომ ღირებულების წყარო მარადიული ჭეშმარიტებაა, ასეთი მხოლოდ უფლის გზაა, ე. ი. რაშიც უფალი განსახიერდება და დამკვიდრდება, ანუ, წყარო ჩვენს რწმენაშია.

გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებების ჩამოყალიბება იგივე რწმენის

<sup>1</sup> იგნატოვა ქ., გაზ. „24 საათი“, N160, 16 ივლისი, 2005, გვ. 2.

ჩამოყალიბების საკითხია. ფსიქოლოგი მარინა ჭავჭავანიძე,<sup>1</sup> თავის სტატიაში საინტერესოდ განიხილავს რწმენისა და ღირებულებების ურთიერთკავშირს. ღირებულებას იგი ტერმინით „ზეფასეულობად“ მოიხსენიებს. ავტორი განმარტავს რა რწმენას, წერს: „რწმენა ეს არის ცოდნა, ფასეულობათა სისტემა, რომელიც ლოგიკურ არგუმენტებს არ ექვემდებარება. მ. ჭავჭავანიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ რწმენის ჩამოყალიბების პროცესი მთლიანად ინდივიდუალური და სუბიექტური მოვლენაა. ავტორის აზრით, ადამიანი თვითონ ქმნის ზეფასეულობებს (ღირებულებებს) და აყალიბებს რწმენის სისტემას.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს თავისი ღირებულებები აქვს. პროფესორი ალექო ცინცაძე ყურადღებას მიაპყრობს ისეთ სფეროს, როგორცაა **განათლება**. იგი ამტკიცებს, რომ არსებობს სწავლების ორიგინალური ქართული მეთოდოლოგია, რომელსაც ჯერ კიდევ კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში (III-IV სს.) იყენებდნენ, სადაც სწავლება ემპირიულად მიგნებული ხერხით – „ერთიანი განწყობის შექმნის საფუძველზე ხდებოდა“.<sup>2</sup> ამ თეორიის საფუძველად მიჩნეულია ე. წ. განსწავლადი სისტემების თეორია. ეს ნიშნავს იმას, რომ სწავლების ამ მეთოდოლოგიის თანახმად ისევე, როგორც მათემატიკურ ფორმულებში, „მხედველობაში მიიღება წინა ცოდნა (ინფორმაცია) და მისი დაზუსტება (გამდიდრება) ხდება თანდათანობით ახალი სიტუაციის (ინფორმაციის) გათვალისწინებით“.<sup>3</sup>

ილია ჭავჭავაძე ქვეყნის წინსვლისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სწავლა-განათლებას და ერს ამ უზენაესი ღირებულებებისკენ მუდმივად მოუწოდებდა.

### **III. დასკვნა**

საქართველოს და ევროპას საერთო ღირებულებები აერთიანებთ. საქართველოს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ევროპისაგან. ის ევროპის ნაწილია და უნდა აიღოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ევროპაში ინტეგრაციისთვისაა საჭირო. უნდა შეასრულოს „ევრო საბჭოს რეკომენდაციები“. უნდა გააგრძელოს მუშაობა პროგრესისა და რეფორმების კუთხით. მთავარი მიმართულება არის ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, დემოკრატიისა და ეკონომიკის გაძლიერება, რომელიც უნდა მოხდეს განათლების, სულიერების და ერთიანობის ხარჯზე. ესე იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოკრატიული ღირებულება ხალხშია, ამიტომ არანაკლებად მნიშვნელოვანია პიროვნული რესურსი და განწყობა. ნიჰილიზმი და პასიურობა ასუსტებს დემოკრატიას. მთელი ამ პროცესების დროს მართლა თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ მარადიულ ღირებულებებს, რომ ჩვენი მთლიანობა და თვითმყოფადობა არ დაკარგოთ (რელიგია, ოჯახი, ქვეყანა). მთავარია ვიცოდეთ, რა გზებით დავიცვათ ჩვენი მამული, ენა სარწმუნოება ისე, რომ მთავარმა საკვანძო სიტყვებმა: „თავისუფლება“, „დემოკრატია“ და „ღირებულებები“ თავისი შინაარსი არ დაკარგოს და არ მოხდეს ღირებულებების გაუფასურება. ამიტომაც საზოგადოების თანამედროვე ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა არის ფუნდამენტური და მარადიული ღირებულებების შენარჩუნება, რომელთა გარეშე ჩვენ ფონს ვერ გავალოთ.

სწორედ ამიტომ, აუცილებელია კარგად გააზრებული ადრეული პრევენციული მოქმედება

<sup>1</sup> ჭავჭავანიძე მ., „რწმენა და ინტელიგენტურობა“, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“ (013(276), გვ. 7, 01.04.-08.04., 2004).

<sup>2</sup> იხ. „ჯორჯიან თაიმსი“, N013, (276), 01.04.08.04.2004, გვ. 10.

<sup>3</sup> ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. IV, გვ. 321.

სახელმწიფოს მხრიდან. მართალია, დღეს საქართველოს მთავრობის უმთავრესი ამოცანა ევროპული დემოკრატიის (ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის აღდგენა-დაცვა) დამკვიდრებაზე ზრუნვაა, რისი დამტკიცების მცდელობა დიდი ხანია დაიწყო და უამრავ მაგალითებზე შეიძლება საუბარი, თუმცა, საკმარისი ნამდვილად არ არის.

**ლიტერატურა:**

1. ვეშაპიძე შ., კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები, ელექტრონული, nplg.ge, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2012;
2. მალრაძე დ., საზოგადოების ღირსება და ღირებულებები. გაზ. „24 საათი“, N91, 22 აპრილი 2005, გვ. 1.
3. იგნატოვა ე., გაზ. „24 საათი“, N160, 16 ივლისი, 2005, გვ. 2.
4. ჭავჭავაძე მ., „რწმენა და ინტელიგენტურობა“, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“ (013(276), გვ. 7, 01.04.-08.04., 2004).
5. იბ. „ჯორჯიან თაიმსი“, N013, (276), 01.04.08.04.2004, გვ. 10.
6. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. IV, გვ. 321.

**ინტერნეტ რესურსები**

1. <http://ge.boell.org/>
2. <http://iverioni.com.ge/print:page,1,5617-vulocav-am-istoriul-mov lenas-yvelas-visth visac-dzvirfasiademokratiuli-ghire bule be bi.html>
3. [http://eeas.europa.eu/d-tionsLg-ia/key eu ppolicesf human ri.g\\_hsts/jndex ka.htm](http://eeas.europa.eu/d-tionsLg-ia/key eu ppolicesf human ri.g_hsts/jndex ka.htm)

*Giorgi Chachanidze, PhD student  
Georgian Technical University*

**Impairment and prevention of cost**

**Resume**

The modern world is distinguished by modern challenges. The range of these challenges is so versatile and scalable that it is difficult to name a field and public direction, where nowadays there is no fundamental restructuring of ideas, and complete restructuring of mental calculations. This is a very difficult process, because in our epoch, we are looking forward to the establishment of the new public, scientific, social, political or cultural order, and universal coexistence of the world. In this process it is very important to maintain the fundamental and eternal values in order to avoid impairment of values.

One of the main priorities of current government is cultural heritage, sport and education. In one word everything what is not for lose, and is valuable. In accordance with recognized standards strategic plan should be integrated into their world space, where Georgian language is protected as a state language.

We must take care of these eternal values, because we must not lose our traditions and self-esteem, and the main thing is how to protect our country, language, religion.

**Key words:** *values, democracy, impairment, prevention.*

## საქართველოს კონფლიქტები და მათი წაკომოშობის ისტორიული ასპექტები

პაატა შამუგია, დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**რეზიუმე.** XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოს რესპუბლიკამ კვლავ აღიდგინა დამოუკიდებლობა, მაგრამ საკმარისი იყო, მას დამოუკიდებელი ნაბიჯები გადაედგა და მეგობარ-პარტნიორები რუსეთის გარეთ ეძია, რომ რუსეთის ფედერაციას ეთნოკონფლიქტური ბერკეტები კვლავ აემოქმედებინა. რუსეთის წაქეზებითა და დახმარებით, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს მიაღწიეს. მართალია, მსოფლიო საზოგადოებრიობა ამ სტატუსს არ აღიარებს, თუმცა ეს ფაქტს ვერ არყევს. წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია ის ისტორიული ასპექტები, რამაც საქართველო ეთნოკონფლიქტურ კონფლიქტებში გახვია. საუბარი ეხება კონფლიქტის გაღვივების წინარე ეპიზოდს, რუსეთის მიერ იდეოლოგიურ და საინფორმაციო კამპანიას, კონფლიქტების მიმდინარეობის ანალიზს, საქართველოს დასავლელი მოკავშირეების როლსა და ჩართულობას კონფლიქტების მიმდინარეობისა და დარეგულირების პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** ეთნოკონფლიქტები, საბჭოთა კავშირი, დამოუკიდებლობა, ინფორმაციული კომპანია.

### I. შესავალი

საქართველოს სრული დაპყრობისა და ანექსიის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის მეფის რუსეთის მიერ ეფექტიანად გამოყენებული რეგიონები არ მიივიწყა. იმისათვის, რომ მუდამ ჰქონოდა რესპუბლიკებზე ზეწოლის მარჯვე ინსტრუმენტი, შექმნა საგანგებო უფლებებით აღჭურვილი ავტონომიები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (1921 წელი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1922 წელი); კიდევ მეტი, თავისი დაუძინებელი მტერი თურქეთი არ გაანაწყენა და დასთანხმდა, რომ აჭარას, რომელიც მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, რელიგიური ნიშნის გათვალისწინებით, მიწიჭებოდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი (1921 წელი).

ამ დათმობაზე რუსეთი, რა თქმა უნდა, იმიტომ წავიდა, რომ მასაც ხელს აძლევდა „ურჩობაში“ ადრე არაერთხელ მხილვადი საქართველოსთვის შესაბამისი ხუნდების დადება. ეს გახლდათ ეთნოსის ფაქტორის პოლიტიკური მიზნით გამოყენებული კლასიკური მაგალითი.

იგივე განმეორდა 70 წლის შემდეგ. საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოს რესპუბლიკამ კვლავ აღიდგინა დამოუკიდებლობა, მაგრამ საკმარისი იყო, მას დამოუკიდებელი ნაბიჯები გადაედგა და მეგობარ-პარტნიორები რუსეთის გარეთ ეძია, რომ რუსეთის ფედერაციას ეთნოკონფლიქტური ბერკეტები კვლავ აემოქმედებინა.

ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მთელი ისტორია ამას ადასტურებს. „იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, რომელიც მიზნად ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოკავშირეობას გაიხდის, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ რუსეთი მას ყველა მეთოდის გამოყენებით შეუქმნის პრობლემებს“ [1. 231].

## II. ძირითადი ტექსტი

მიიჩნევა, რომ კონფლიქტის წარმოსაქმნელად აუცილებელია გარკვეული პირობების არსებობა: 1. კონფლიქტის საგნის არსებობა (ინტერესთა არათანხვედრა, ანუ შეუთავსებლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან ისტორიულ შეხედულებებში); 2. პოტენციურ მოწინააღმდეგეთა ძალების დაახლოებითი ტოლობა; 3. მშვიდობის განმტკიცებით დაინტერესებული ძალების სისუსტე ან არარსებობა; 4 რეგიონში კონფლიქტის არსებობით დაინტერესებული ძალების სიმძლიერე“ [2. 2].

აღნიშნული ფაქტორებიდან, შესაძლოა, კონკრეტული ეთნოკონფლიქტური რეგიონისათვის ყველა მითითებული პუნქტი არ იყოს თანაბარი ღირებულებისა. მაგალითად, აფხაზურ-ქართულისთვის მხოლოდ მეოთხე. ამიტომ, ჩვენი აზრით, ტიპიურ ეთნო კონფლიქტურ (გარედან წაქეზებულ) კონფლიქტად - ოსურ-ქართული დაპირისპირება უნდა მივიჩნიოთ. ამის გამო მართებულად გვეჩვენება დებულება: „ქართულ-ოსური დაპირისპირება წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ტიპიურ მაგალითს“ [3. 24].

უწინარეს ყოვლისა, ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ქართულ-ოსური ურთიერთობების 1990-იან წლებში.

მოსკოვის მიერ წაქეზებული და შეგულიანებული ოსი სეპარატისტები ხელზე იხვედნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ უფლება აქვთ, შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის დროსაც საკუთარ უფლებებს უკეთ დაიცავდნენ. ჯერ ერთი, „აღიარებულ სპეციალისტთა უმრავლესობა პრიორიტეტს სწორედ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ანიჭებს“ [4. 28].

გარდა ამისა, „სამხრეთელი ოსები წარმოადგენდნენ არა „თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს“, არამედ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობას, რომლის ისტორიული სამშობლოც ჩრდილოეთ კავკასიაშია. ამდენად, მოთხოვნა, შექმნან ცალკე სახელმწიფო ან შეუერთდნენ რუსეთის ფედერაციას, სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის, როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან“ [3. 29].

რუსეთის ზრახვები მკაფიოდ დაინახეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. 2001 წლის 11 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთი არის აგრესორი სახელმწიფო და მისი მოქმედება ცხინვალის რეგიონში არის ანექსია. დაფიქსირდა აზრი, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში შენიღბულად მოქმედებს, ვითარცა მშვიდობის მოსურნე, სინამდვილეში კი მიკერძოებულია და იცავს თავის ინტერესებს.

ამ ვითარებაში რუსეთის რამდენადმე დასაშოშმინებლად ბევრს აკეთებდა ეუთო. კერძოდ, 2005 წლის 5-6 დეკემბერს გაიმართა საგანგებო სხდომა ლუბლიანაში (სლოვაკეთი). აქ რუსეთი იძულებული გახადეს, საგანგებო განცხადებისთვის მხარი დაეჭირა. რეზოლუცია კი ასეთი გახლდათ: ეუთო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით დარეგულირების მისეულ გეგმას, ქვეყნიდან რუსული ბაზების გაყვანას, აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის გააქტიურებას. მაგრამ რუსეთი არ ისვენებდა. მას ხელს არ აძლევდა საქართველოს თავისუფალი მოქმედება. მისი მზარდი ავტორიტეტი მსოფლიოში, ის წარმატებები, რაც რუსეთისთვის ესოდენ საჩინო და წამგებიანი იყო: რეგიონში იგი ჩამორჩენილი

ქვეყნის იმიჯს იძენდა და მიმზიდველობას კარგავდა. ამიტომაც ამ ქვეყნის პოლიტიკური ძალები ჩასაფრებული იყვნენ და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. ეს უნდა ყოფილიყო საქართველოს ახალგაზრდა და გამოუცდელი პრეზიდენტის, სააკაშვილის, შეცდომა. ეს დღეც დადგა. წონასწორობადაკარგულმა საქართველოს პრეზიდენტმა ეს შეცდომაც დაუშვა. წამოეგო კარგად დაგეგმილ პროვოკაციაზე, რაც მოსალოდნელიც იყო და ცხინვალის რეგიონში რამდენიმე პროვოკაციული მოქმედება განახორციელა.

„გათავხედებული“ საქართველოს დასასჯელად 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ჯავშანტექნიკამ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ქალაქ ცხინვალისკენ დაიძრა. ამრიგად, განზე გადაა ქართულ-ოსური კონფლიქტი და წინა პლანზე წამოიწია რუსულ-ქართული სამხედრო დაპირისპირება. ეს იყო აშკარად და მთელი მსოფლიოსათვის ცხადად დემონსტრირებული სამხედრო ზეწოლის ნიმუში.

ქართულ-რუსული სამხედრო შეტაკება ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის აპოგეა გახდა. ამ ომის შედეგად რუსეთმა არაღიარებული ანკლავის საზღვარი აქეთკენ, საქართველოს სიღრმისკენ, გადმოწია და ცნო „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს „ზეწოლა“ და მას მიღვენებული გამარჯვება რუსეთს ყელში აქვს გაჩხერილი. საქმე ისაა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ქართული ტერიტორიის ოკუპაციის გამო საქართველოს შეუძლია ჩაკეტოს ის მაგისტრალური გზა, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს რუსეთსა და სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და ირანს. ამ მაგისტრალის სრული და უსაფრთხო ფუნქციონირება ყველაზე მეტად სწორედ რუსეთს სჭირდება, რადგან ეს მის ეკონომიკურ ინტერესში შედის. არადა, როგორც ვიცით, პოლიტიკა ეკონომიკის გაგრძელებაა, მისი დანამატია.

განსხვავებულია ვითარება გვაქვს საქართველოს დასავლეთში, აფხაზეთში. აფხაზეთის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს მეტი ლეგიტიმური საფუძვლები აქვს. ამიტომ ქართული სახელმწიფოს მიდგომა ამ საკითხისადმი განსხვავებული და განსაკუთრებული უნდა იყოს.

ზემოთ ვნახეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, თუ როგორ იყენებდა ამ რეგიონს რუსეთის მმართველი ძალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1920-იან წლებში და მანამდეც. აფხაზური სეპარატიზმი ახალი ძალით გაიშალა 1990-იან წლებში. აფხაზეთის ხელმძღვანელობას ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან ნორმალური დიალოგი ჰქონდა. თითქოსდა ურთიერთობები დალაგებული ჩანდა, მაგრამ ასე ფაქიზი კავშირების ვითარებაში ყოველგვარი სახელმწიფო რყევა სახიფათო და ზოგჯერ საბედისწეროცაა. თუ საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ბევრი არაფერი ჰქონდა სათქმელი ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, „1991-1992 წლების დეკემბერი-იანვარში განხორციელებულმა უკანონო სამხედრო გადატრიალებამ და მოქმედი კონსტიტუციის გაუქმებამ აფხაზური მოძრაობის ხელმძღვანელობას შესაძლებლობა მისცა, არ ეცნო არალეგიტიმური ხელისუფლება - თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი, ე. შვეარდნაძე“ [4. 11].

მამასადამე, საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ისედაც სეპარატისტულად გაწყობილ აფხაზეთს ხელზე დასახვევი საბუთი მისცა: საქართველოს თვით ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არ ცნობს ძალადობით მოსულ პუტჩისტებს და ჩვენ, ავტონომიური წარმონაქმნის მცხოვრებნი, რა ვალდებული ვართ, ვაღიაროთო?!

1991-1993 წლებში პოლიტიკურმა და სოციალურმა დესტაბილიზაციამ, ცნობილმა პუტჩმა,

სახელმწიფოს სათავეში კრიმინალური დაჯგუფების მოსვლამ აფხაზეთის მოსახლეობა კიდევ უფრო შორს გატყორცნა ქართული საზოგადოებისგან. რუსული დიდმპყრობელური და გამარუხებელი პოლიტიკის წყალობით აფხაზური მოსახლეობა ქართულისაგან ისედაც საკმაოდ დისტანცირებული იყო. „უფროსი ძმის“ მეოხებით აფხაზებმა შეძლეს მთლიანად განაპირებოდნენ საქართველოს და დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ.

რუსეთის მოქმედება 1990-იანი წლების აფხაზეთში ხომ საყოველთაოდ ცნობილია. პროფ. სვეტლანა ჩერვონაია წერდა: „1991 წელი იყო სეპარატიზმის პოლიტიკური გაძლიერების წელი. იმავდროულად აფხაზეთში გაიფურჩქნა პირწავარდნილი ნაციონალიზმიცა და ნაციონალ-კომუნიზმიც, რომელმაც აშკარად დაუჭირა მხარი აგვისტოს პუტჩს მოსკოვში“ [5. 129].

კრემლი სეპარატისტულ გამოხდომებს ყოველნაირად უწყობდა ხელს. რუსეთის სპეცსამსახურებმა შექმნეს ფაშისტური ორგანიზაცია „აიდგილარა“. კრემლის გრძელი ხელი ჩანს სხვაგანაც. სწორედ მათი მითითებით აფინანსებდნენ სეპარატისტებს რუსული ბანკები. „აგრობანკმა“ სხვადასხვა აფხაზურ სტრუქტურას 16 მილიარდი, ხოლო ბანკმა „აღორძინებამ“ 2 მილიარდი რუბლი გადაურიცხა“ [6. 56].

ამ „საქმეს“ ხელს არ აკლებდნენ არც სხვა ბანკები. ამის გამო თუ იყო, რომ მოხდა უცნაური რამ: აფხაზებმა ანტიქართული ომი დაიწყეს 2 ბტრ-ით, 1 ბმპ-ით, ერთი მფრინავით, ერთი თვის შემდეგ კი, 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც გაგრა აიღეს, უკვე უამრავი ტანკის, ჰაუბიცისა და ბმპ-ის მფლობელები აღმოჩნდნენ [6. 56].

რუსი სამხედროები ადგილობრივ „ბოევიკებს“ საგანგებოდ აძარცვინებდნენ რუსული იარაღით სავსე საწყობებს. ამ ფაქტს ს. ჩერნოვია, რომელმაც გამოიყენა საინტერესო ტერმინი „გადაუდებელი ეთნოპოლიტოლოგია“, „ცუდად დადგმულ კომედიებს უწოდებდა [5. 16].

დღეს საბოლოოდ დადგენილია ერთობ მეტყველი ციფრი: აფხაზეთის კონფლიქტში ე.წ. მოხალისეებისა და რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა რაოდენობა სეპარატისტთა მეომრების 80 პროცენტს შეადგენდა [6. 83]. ხოლო არძინბა „დროებითი სამხედრო საბჭოს“ წევრებად ისე ნიშნავდა რუს პოლკოვნიკებს, თითქოსდა ისინი აფხაზები ყოფილიყვნენ [5. 138].

ამრიგად, რუსეთის წაქეზებითა და დახმარებით, აფხაზეთმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს მიაღწია. მართალია, მსოფლიო საზოგადოებრიობა ამ სტატუსს არ აღიარებს, ოღონდ ეს ფაქტს ვერ არყევს. პროფესორი იგორ კვესელავა აყენებს საინტერესო შეკითხვას: „ძნელია მტკიცება, რჩება თუ არა აფხაზეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხი საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგების ერთგვარ „საჯილდაო ქვად“ თბილისის მიერ გადაღებული გარკვეული დათმობების სანაცვლოდ“ [4. 28].

ჯერ ერთი, აქ ჩვენი თემის მთავარ საკითხზე ერთგვარი პასუხია გაცემული - რუსეთი ეთნოკონფლიქტს იყენებს სხვა სახელმწიფოზე ზემოქმედების მიზნით. მეორეც, საკითხის ასე დასმა დღეს უკვე დაგვიანებულია. ეს კითხვა აქტუალური იქნებოდა მანამ, სანამ აფხაზეთი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა და რუსეთი დასტურს გასცემდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი „უცნაური“ გარემოება - ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საბედისწერო გასაყარზე მოხდა საინტერესო ამბავი.

მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოში ერთმანეთს ებრძოდნენ ზვიადისტები და



პუტჩისტები, აფხაზ-რუსებს ხელ-ფეხი გაეხსნათ და 16 სექტემბერს დაიწყეს სოხუმის დაბომბვა. 17 სექტემბერს, ჩვენთვის ფრიად კრიტიკულ ვითარებაში, ადლერში შევარდნამე შეხვდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრ პაველ გრაჩოვს, რომელმაც თენგიზ სიგუას ერთი სატელევიზო განცხადებით, შესთავაზა შევარდნამეს საქართველოს ტერიტორიიდან რუსულ-ქართული ჯარებით შეტევის გეგმა. ამ გეგმით დასახული იყო მდინარე ფსოლზე გასვლა. ეტყობა, კრემლმა კიდევ ერთხელ მოსინჯა საქართველოს დაყოლიება რუსეთთან კეთილ ურთიერთობაზე. მაშინ ქართული საზოგადოებაში მძვინვარებდა ანტირუსული ისტერიკა და შევარდნამემ ვერ გაბედა გრაჩოვის დახმარების მიღება. შეეშინდა თანამდებობის დაკარგვისა. მან პატრიოტიზმი დათმო და თანამდებობა - არა. და შედეგმაც არ დაახანა - 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. სხვა რაღა დარჩენოდა და დამარცხებული შევარდნამე დასთანხმდა იმას, რაზედაც უარი განაცხადა დაუმარცხებელმა - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს: რუსეთი ეთნოკონფლიქტებს გამოიყენებს თავისი საჭიროების მიხედვით. თუ სიტუაციამ უკარნახა, დაძირავს აფხაზეთსა და საქართველოს გამოყენებას შეეცდება; თუ საჭიროებამ მოითხოვა, დაწიხლავს საქართველოს და აფხაზურ სეპარატიზმს მწვანე შუქს აუნთებს.

ამრიგად, ყველა საბუთი და გარემოება არსებობს საიმისოდ, რათა მივიღოთ მოსაზრება: „მოსკოვს ესაჭიროება საერთაშორისო თანამეგობრობის, პირველ რიგში კი, ამერიკის შეერთებული შტატების დარწმუნება, რომ საქართველო, როგორც სრულყოფილი სახელმწიფო, ვერ შედგა და წარმოადგენს „არშემდგარ სახელმწიფოს“. ამ კონტექსტში საქართველოს კონფლიქტური რეგიონები განიხილება მეტად ეფექტურ ბერკეტად რუსეთის ხელში, რაც საშუალებას აძლევს ოფიციალურ მოსკოვს, სამხედრო მოქმედებების განახლების მუდმივი საფრთხის ქვეშ იყოლიოს საქართველოს ხელისუფლება. ამდენად, ოფიციალური თბილისის ნებისმიერ წარმატებას სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების, ეკონომიკის გაჯანსაღების, ევროატლანტიკური ინტეგრაციის ან რომელიმე სხვა სტრატეგიული მიმართულებით აუცილებლად მოყვება რუსეთის მცდელობები შეიარაღებული კონფლიქტის ხელახლა ესკალაციის კუთხით“ [7. 26].

ისმის კითხვა - რა გავაკეთოთ? ზემოთ ვისაუბრეთ ეთნოკონფლიქტების წარმოშობის უმთავრეს საფუძველზე - ეკონომიკურ აისბერგზე. სწორედ ეგ მხარე იწვევს ადგილობრივ ეთნო დაპირისპირებებსაც და გარედან პროვოცირებასაც. მაგრამ სწორედ ამ მხარემ უნდა გამოასწოროს გაფუჭებული საქმე. ამ მიზნის განსახორციელებლად, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური ბერკეტები. დავგეგმოთ ისეთი ეკონომიკური სვლები, რომლებიც საინტერესო და მიმზიდველი იქნება, როგორც თვითონ მცირე ეთნოსების, ისე ეთნოკონფლიქტების წამქეზებელი ქვეყნებისთვის. ეს გახლავთ მსხვილი და უმსხვილესი ეკონომიკური პროექტები. აფხაზეთის რეგიონში, ვთქვათ, ენგურჰესის გადაიარაღებისა და მისი სიმძლავრის გაზრდა; ახალი ჰიდრო და თბოელექტროსადგურების, ციტრუსის გადამამუშავებელი მსხვილი ქარხნების ერთობლივი პროექტების რეალიზაცია და ა.შ. აქ შეიძლება მოვიზიდოთ უცხოური მსხვილი კაპიტალი, რომელიც დიდად არის დაინტერესებული იმ რეგიონის სტაბილურობით, სადაც ფული აქვს დაბანდებული. პრობლემის ეკონომიკური გზით დარეგულირება უნდა იქცეს მთავარ საქმედ ქართულ-ოსურ დაპირისპირებაშიც. „ეკონომიკური კონტაქტების ინტენსივობა უზრუნველყოფს ნაციონალური განსაკუთრებულობის (უპირატესობის) გრძნობის დაძლევას და ხელს უწყობს ეთნოსების დაახლოებას“ [8. 18].

2001 წელს მკვლევარი თ. თურმანიძე წერდა: „საბედნიეროდ, დღეისათვის ამა თუ იმ სახელ-მწიფოს ტერიტორიული ექსპანსია და დაპყრობილი ტერიტორიის დაკანონება გამორიცხულია, თუმცა მოსკოვი „სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფლების მიმართ, დაპირებას, ალბათ, არასოდეს დაიშურებს და მას დიდხანს გამოიყენებს საქართველოზე ზეგავლენის ბერკეტად“ [9. 72].

ჩვენდა სავალალოდ, ამ წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი არ ახდა, ხოლო მეორე ისევ ჩვენდა სავალალოდ - კი. დღეს სამაჩაბლო და მასზე ბევრად უფრო ვრცელი ტერიტორია ანექსირებულია. კრემლი კი ამ გარემოებას საქართველოზე ზეწოლის მიზნით კვლავ და კვლავ იყენებს.

გარდა ეკონომიკური გზების ძიებისა რაც, რა თქმა უნდა, ეკონომისტებმა უნდა გამონახონ, აუცილებელია იმ ბერკეტების მომარჯვება, რომლებიც არსებობს და რომელთაც თავიანთი ძალა არ დაუკარგავთ. ერთ-ერთი ასეთია, ქართული ეკლესიის შესაძლებლობა. საგულისხმოა, რომ „ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის კავშირი შენარჩუნდა 2008 წლის ომის შემდეგაც. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია არ დაემორჩილა მთავრობის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე და არ შეცვალა საქართველოს საპატრიარქოს კანონიკური საზღვრები. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია რჩება ყველაზე სანდო ინსტიტუტად საქართველოში თუ ის დაიწყებს ქართულ-რუსულ ურთიერთობისთვის ხელის შეწყობას ხალხი გაყვება მას“ [10. 264].

რუსულ მართლმადიდებლური ეკლესიას, როგორც თავის ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, ავტორიტეტი და შესაძლებლობები აქვს, ამიტომაც გვგონია, რომ აღნიშნული კუთხით ჩვენი ეკლესიის შესაძლებლობები არა თუ ამოწურულია, არამედ საერთოდ გამოუყენებელია.

## II. დასკვნა

ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე დგინდება მყარი კანონზომიერება:

ეთნოკონფლიქტი მით უფრო მეტი და მწვავეა, რაც უფრო სუსტია ამ რისკის მქონე ქვეყანა. ამიტომაც ნებისმიერი მეზობელი სახელმწიფო თუ იქ ტოტალიტარული პოლიტიკა ტარდება და დემოკრატიისგან შორს დგას, შეეცდება ამ პრობლემის სათავისოდ გამოყენებას. და, რაკი, საქართველო ეკონომიკურად სუსტია. მის ტერიტორიაზე არსებულ ეთნო პრობლემებს მასზე ზეწოლის იარაღად იყენებდნენ, იყენებენ და კვლავაც გამოიყენებენ ძლიერი არადემოკრატიული ქვეყნები.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვითარება ჩვენი ქვეყნის დასავლეთში, რამეთუ, აფხაზეთში რუსეთი ებრძოდა და კვლავაც ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას, მთლიანობას, ეროვნულ თვითმყოფადობას; რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ბერკეტის გამოყენების მიზანია ქვეყნის დემოკრატიზაციის შეფერხება, თავისუფალი და ცივილიზებული დასავლეთის წიაღში ჩვენი სამშობლოს დამკვიდრებისთვის ხელის შეშლა, ამ პოზიტიური ისტორიული პროცესის შეწყვეტა ან უკიდურესად შეფერხება.

აღნიშნული რისკის გასაწინააღმდეგებლად საჭიროა: ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება; დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა და გამყარება; ეთნო პრობლემურ რეგიონებში ერთობლივი მძლავრი საწარმოების ამოქმედება, სავაჭრო ცენტრების ფუნქციონირება და მსგავსი ერთობლივი ეკონომიკური პროექტების რეალიზება; ეთნოსების, ერებისა და ხალხების დაახლოების პროცესში ავტორიტეტიანი ინსტიტუტის - ეკლესიის ჩართვა.

**ლიტერატურა:**

1. ცერცვაძე კ., აშშ-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიის რეგიონში და საქართველო, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, #32, თბ., 2015.
2. ჯინჭარაძე პ., კორძახია ირ., ეთნოკონფლიქტების ადრეული გამოვლენის ემპირიული მოდელი, თბ., 1998.
3. დ. მაისურაძე, სამხრეთ კავკასიის ეთნოკონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თელავი, 2014.
4. კვესელავა ი., საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები, თბ., 2014.
5. ჩერვონაია ს., აფხაზეთი - 1192: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა, 1994.
6. ნადარეიშვილი თ., შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, თბ., 2000.
7. ამირგულაშვილი მ., ევროკავშირის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, #33, თბ., 2016.
8. ლეიაშვილი პ., ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე, თბ., 2002.
9. თურმანიძე თ., „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი, ჟურნალი „ახალი აზრი“, #1, თბ., 2001.
10. ამილახვარი ლ., რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და ქართული სახელმწიფოს თანამედროვე გამოწვევები, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, #33, თბ., 2016.

*Paata Shamugia, PhD student  
Georgian Technical University*

**ETHNIC CONFLICTS OF GEORGIA AND HISTORICAL ASPECTS  
OF THEIR ORIGIN**

**SUMMARY**

By the end of 20th century, after the collapse of the Soviet Union, Georgia gained independence. However, as soon as Georgia started to make its first independent steps and its cooperation with other countries, Russia started to re-operate its ethnoconflict levers.

With the support of Russia, Abkhazia and South Ossetia gained the status of independent states. Even though international community does not recognize their independence, the fact is still firm.

This article reviews the historical aspects which caused etno-nationalist conflicts in Georgia. The article is about pre-conflict period, ideological and information campaign from Russian side, analysis of the conflict, the role of Georgia's Western allies and their involvement in the conflict and conflict resolution.

**Keywords:** *ethnoconflict, the Soviet Union, independence, information campaign.*

## კონფორმულობა

მარიამ ლაგვილავა, დოქტორანტი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**რეზიუმე.** კონფორმიზმი თავისი არსით ძალიან ღრმა, რთული ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელიც დღემდე მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს.

ვფიქრობ, კონფორმიზმი ადაპტაციის ერთ-ერთი ძირითადი ტიპია, შესაბამისად, კონფორმული ქცევა სტაბილური სოციალურ-კულტურული გარემოს მახასიათებელია.

ჩემი აზრით, გამონაკლისის სახითაც კი არ არსებობს ადამიანი, რომელიც მუდმივად ინარჩუნებს ინდივიდუალობას. შეუძლებლად მიმაჩნია, ინდივიდმა თავის ნებას შეაგუოს საზოგადოება, იარსებოს ამ სამყაროში ისე, რომ იყოს წარმატებული, ბედნიერი, მისაღები და ამავდროულად იცხოვროს როგორც ნონკონფორმისტმა.

რთულია გაიგო მიზეზები, თუ რატომ იქცევიან ადამიანები კონფორმულად. ცალსახად იმის თქმა, რომ კონფორმიზმი კარგია ან ცუდი, ვფიქრობ, არ არის მართებული. თუმცა, მაღალი ხარისხით კონფორმულობა და ინდივიდუალობის სრულად უარყოფა, ალბათ, ნორმიდან გადახრას. კონფორმიზმის განმაპირობებელი უნივერსალური დებულება არ არსებობს. მის ხარისხს სოციალურ/კულტურულ/რელიგიურ ფაქტორებთან ერთად აუცილებლად განაპირობებს პიროვნულ/ინდივიდუალური თვისებები.

„ყოველი ფსიქოლოგიური მოვლენა დამოკიდებულია პიროვნების მდგომარეობაზე და ამავე დროს - გარემოებებზე, თუმცა მათი პირობითი მნიშვნელობა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავდება“ (კ. ლევინი).

**საკვანძო სიტყვები:** კონფორმიზმი, ფსიქოლოგიური ფენომენია, შფოთვა, თვითშეფასება, „კონფორმიზმი - ნონკონფორმიზმი“.

### I. შესავალი

კონფორმიზმი საზოგადოების არსებობის აუცილებელი თანმხლები სოციალურ – ფსიქოლოგიური ფენომენია. კონფორმულობის ამოხსნასა და გაშიფრვის მცდელობას დღემდე არ დაუკარგავს ინტერესი. კონფორმულობა სოციალური ქცევის ტიპია, რომელსაც მოვლენათა, ნორმატიული წესებისა და არსებული წესრიგის, მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების შემგუებლობა, საკუთარი პოზიციის უქონლობა, ნებისმიერი პატერნისა თუ სტერეოტიპის უპრინციპოდაუკრიტიკომილება ახასიათებს. პოლიტიკაში გულისხმობს შემგუებლობას არსებულ რეჟიმთან, გაბატონებულ შეხედულებებთან პასიურ შეგუებას; ადამიანი არაპრინციპულად მიჰყვება ნებისმიერ, ძალით თავს მოხვეულ შეხედულებებს. ხშირად კონფორმულობა ძლიერად აისახება ინდივიდის ქმედებებში და ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, აიძულოს ის იმოქმედოს საკუთარი პრინციპების, ეთიკისა და მორალის წინააღმდეგ.

კონფორმულობა (ლათ. conformis - მსგავსი) არ არის ერთმნიშვნელოვანი ცნება. ა. რებერი (2000) გამოყოფდა ამ ტერმინის გამოყენების სამ განსხვავებულ მოდელს. ა. პ. სოპიკოვმა (1969) აღწერა კონფორმულობის ცნებაში შემავალი პრობლემების 4 წრე.

**II. ძირითადი ნაწილი**

ამას გულისხმობენ, როცა ეს ავტორები პარადიგმის ცვლილების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ „ჩვენ კრიტიკულად უნდა შევაფასოთ ის, რაც ჩვეულებრივი ამბავი გვგონია; ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი წვდომით შევქმნათ განათლების სისტემა, დამყარებული განსხვავებულ პრინციპებზე. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ **ჩვენ უნდა დავცილდეთ განათლების ინდუსტრიულ მეტაფორას და ვიმოდრაოთ, სასოფლო-სამეურნეო ხაზით“; „ვფიქრობ, ინდუსტრიულზე უკეთესია სასოფლო-სამეურნეო ან ორგანული მეტაფორა. ახლა ამ იდეაზე ვმუშაობ ოკლაჰომის შტატში, სადაც ვცდილობ, განვაავითარო ეს იდეები მთელი შტატის მასშტაბით - წერს სერ კენ რობინსონი.**

იგი ლას-ვეგასიდან არც ისე შორეულ ადგილზე მოგვითხრობს, რომელსაც სიკვდილს ველი ჰქვია: „სიკვდილის ველი ამერიკის ყველაზე ცხელი ადგილია. იქ თითქმის არაფერი ხარობს, რადგან არასოდეს წვიმს. 2004 წლის ზამთარში, ამველზე რაღაც განსაკუთრებული მოხდა - იწვიმა. 7 დუიმამდე წვიმა მოვიდა და 2005 წლის გაზაფხულზე საოცარი მოვლენის მომსწრენი გავხდით – სიკვდილის ველის მთელი ფართობი გაზაფხულის ყვავილებით მოირთო.

ფოტოგრაფების, მეცნიერებისა და ბოტანიკოსების ჯგუფები მთელი ამერიკიდან ჩავიდნენ იქ, რათა ეს საოცრება საკუთარი თვალთ ენახათ, რადგან ასეთი რამ შესაძლოა მეტად აღარ მოხდეს. ამ მოვლენამ ყველას ანახა, რომ სიკვდილის ველი არ იყო მკვდარი, მას - ეძინა! მიწის ქვეშ უამრავი თესლი იყო, რომლებიც ზრდისთვის პირობებს ელოდნენ და მჯერა, რომ ასევეა



ადამიანებთანაც: თუ ჩვენს სკოლებში სწორ პირობებს და სწორ სტიმულებს შევქმნით, თუ ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს დავაფასებთ – დაიწყება ზრდა!

### **III. დასკვნა**

**დივერგენტულ აზროვნებათა წარმომადგენლების აზრით, ჩვენ თავი უნდა დავანებოთ ინდუსტრიულ პარადიგმას და ორგანულზე გადავერთოთ.** მგონია, რომ ეს შესაძლებელია. ჩვენ გვჭირდება ინსტიტუციების გააზრება ინდივიდუალურად და არა სისტემის ფარგლებში. მათში მხოლოდ დაწესებულებას კი არ უნდა ვაფასებდეთ, არამედ პატივს ვცემდეთ და ხელს ვუწყობდეთ მათში არსებულ სასიცოცხლო ძალებს, ორგანიზაციის ენერჯიას და ტრანსფორმაციულ პოტენციალს. სწორხაზოვნად კი არ მივუდგეთ, არამედ მივცეთ მრავალფეროვანი არჩევანის უფლება და გამოვიყენოთ იქ მყოფი ყველა ადამიანის მრავალგვარი შესაძლებლობები. ეს არის იდეა არა კონფორმიზმისა და დამორჩილების, არამედ მრავალფეროვნებისა და ინდივიდის მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ; ეს არის სიკვდილის ველი 2005 წლის გაზაფხულზე. ვფიქრობ, შესაძლოა ყველა ჩვენი სკოლა ასეთი გახდეს“..

დასასრულს, სერ კენ რობინსონი საზოგადოების ყველა წევრს მოუწოდებს - იმოძრავეთ!

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ფსიქოლოგიის საფუძვლები (ი. იმედაძის რედაქციით), „მწიგნობარი“, 2008.
2. ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, (რ. გაფრინდაშვილის რედაქციით), „ცტენიკური უნივერსიტეტი“, 2017.
3. ლატერალური აზროვნება, დე ბონო, [www.google.ge](http://www.google.ge)
4. როგორ მოვახდინოთ რევოლუცია სკოლებში, სერ კენ-რობინსონი, [www.ted.com](http://www.ted.com)

*Roza Gaprindashvili, Associated professor  
Georgian Technical University*

### **Psychology of “lateral” and “divergent” thinking against the traditional education system**

#### **Summary**

Talking of deficiencies of traditional education system is related with names of Edward de Bono and Sir Ken Robinson. According to their conception and ideas of their numerous like-minded persons traditional methods of thinking form in teenagers a habit of “template thinking” and hinder development of their creative thinking. “Lateral”, or else many-sided thinking implies awakening of ideas sleeping in the brain through asking a “provoking” questions, i.e. question may have more not one, but many answers! “Divergent thinking” of Sir Ken Robinson is the ability to come up with many possible answers for problem solution. Mankind is forced to develop this skill due to ecological and demographic crisis; contemporary education system demands to face the future with new rules of thinking and action.

**Keywords:** *traditional education system, traditional methods of thinking, creative thinking, ecological and demographic crisis.*



თავად ინტელექტის დეფინიციაზე უამრავი მეცნიერი დავობდა და საბოლოო პასუხზე შემოჯება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. დღესდღეობით მოწოდებულია საკმაოდ მრავალგვარი განმარტება, რომელნიც ერთმანეთს არ გამოორიცხავენ, თუმცა ვერც სრულყოფილებაზე დებენ თავს.

## **II. ძირითადი ნაწილი**

ინტელექტის ერთ-ერთი განსაზღვრების მიხედვით, ინტელექტი ძალზე ზოგადი, გონებრივი შესაძლებლობაა და სხვა კომპონენტებთან ერთად, იგი მოიცავს ლოგიკური მსჯელობის, აბსტრაქტული აზროვნების, რთული იდეების წვდომის, სწრაფად დასწავლისა და გამოცდილების მიღების უნარს.

ინტელექტი ეს არის აზროვნების უნარი, უფრო სწორად, რაციონალური აზროვნების შესაძლებლობა, რაღაც დოზით იგი შეესაბამება ჭკუას.

თავად ინტელექტი ინტეგრირებული ცნებაა, რომელიც მოიცავს შემდეგ სახესხვაობებს: სივრცობრივი, ვერბალური, მათემატიკური, პრაქტიკული და ემოციური.

გარკვეული დროის შემდეგ ვარაუდობენ რომ გამოიყოფა ინტელექტის 7-8 ნაირსახეობა, რომელიც მოიცავს პიროვნებათშორის ურთიერთობებს, თვითშემეცნებას, ლინგვისტიკას, მოტორულ და მუსიკალურ უნარებს.

ფსიქოდიანოსტიკაში, ზოგადად (უფრო დასავლურ და ამერიკულ ფსიქოდიანოსტიკაში), ჩამოყალიბდა ინტელექტის ფსიქომეტრული მოდელი, რომელიც ტრადიციულ მოდელად მიიჩნევა და ეყრდნობა შემდეგ დებულებებს:

1. დაშვებულია ერთიანი , ზოგადი ინტელექტის არსებობა და აღინიშნება, როგორც G.
2. ზოგად ინტელექტს გააჩნია ბიოლოგიური საფუძველი და შესატყვისად, მაღალი კორელაცია ახასიათებს მემკვიდრულობასთან (h) და სხვადასხვა ფსიქოფიზიოლოგიურ მაჩვენებელთან.
3. ინტელექტის ტესტები ზომავენ ბიოლოგიურ ინტელექტს.

ინტელექტის ფსიქომოტორული მოდელი მუდმივად დავითარდება და ზუსტდება მრავალრიცხოვანი კვლევებით.

1921 წელს 17 წამყვანი ამერიკელი ფსიქოლოგის მიერ სამი მნიშვნელოვანი საკითხი დაისვა:

1. რა არის ინტელექტი?
2. რამდენად კარგად შეიძლება გაიზომოს ინტელექტი ჯგუფური ტესტებით?
3. როგორი შეიძლება იყოს შემდგომი ნაბიჯი ინტელექტის შესწავლის სფეროში?

შედეგად კი ვერ იქნა მიღებული თუნდაც ორი, ერთნაირი პასუხი.

დღეისათვის ინტელექტის ცნების განსაზღვრის მცდელობისას გამოჰყოფენ შემდგომ მიდგომებს:

- ინტელექტის – ეს არის, რაც ინტელექტის ტესტებით იზომება;
- ინტელექტი – ეს არის სწავლების განზოგადებული უნარი;
- ინტელექტი - ეს არის აბსტრაქტული აზროვნების უნარი;
- ინტელექტი – ეს არის ის, რაც უზრუნველყოფს ადაპტაციის, ქცევის ეფექტურობას რთულ გარემოში;

ყველაზე მეტი მომხრე ინტელექტის ამ უკანასკნელ განსაზღვრებას აქვს. პიაჟესთვის

ინტელექტის არსი ორგანიზმის გარემოსთან სტრუქტურირებულ რთიერთობაში მდგომარეობს, მისი განვითარება კი უფრო ადეკვატურ ადაპტაციაში ვლინდება.

რუბინშტეინის მიხედვით, ინტელექტი განიხილება, როგორც პროცესი და არა შედეგი, როგორც დასწავლის უნარი, აბსტრაქტული აზროვნება და ა. შ.

ყველა მიდგომა, რომელიც ცდილობს განსაზღვროს, თუ რას წარმოადგენს ინტელექტი თავისთავადად, რთული თეორიული კონსტრუქციის შექმნის მცდელობას წარმოადგენს, რომელიც ერთობ განზოგადებულ ხასიათს ატარებს.

ამფორმულირების იქითკი, თავად ინტელექტის განსაზღვრა რაოდენობრივი მაჩვენებლების ფორმით ის კონცეპტია, რომელსაც უამრავი ადამიანი იყენებს თავიანთ საქმიანობაში.

ინტელექტის ტესტების მკაცრი კლასიფიკაცია, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. ამჟამად ფსიქოლოგიაში სფეროში ყველაზე გავრცელებული ტერმინებია – ინტელექტის ტესტები, გონებრივი ტესტები, სპეციალური უნარების საზომი ტესტები, ზოგადი ინტელექტის ტესტები ან ზოგადი უნარების ტესტები. ყველაზე ხშირად გამოყენებადია ცნება – კოგნიტური ტესტები.

ტერმინი – სოციალური ინტელექტი შემოთავაზებულ იქნა ე. თორნდაიკის მიერ 1920 წელს. მან ინტელექტის განსაზღვრაში სამი მხარე გამოყო:

- აბსტრაქტული ინტელექტი (აზრების, ფიქრების, იდეების გაგება და მათი მართვა)
- მექანიკური ინტელექტი (იგივეა, მაგრამ გამოიყენება კონკრეტულ ობიექტებთან მიმართებაში)
- სოციალური ინტელექტი (იგივეა, უბრალოდ ამ შემთხვევაში ადამიანებთან მიმართებაში გამოიყენება)

თორნდაიკის განსაზღვრებაში, სოციალური ინტელექტი წარმოადგენს გაგებისა და მართვის უნარს. ეს, ასევე გახლავთ ადამიანურ ურთიერთქმედებებში ბრძნულად მოქმედების უნარი.

ყველაზე ფართო განსაზღვრება წარმოადგინა ვერნონმა, რომელმაც მიიჩნია, რომ სოციალური ინტელექტის ცნება აუცილებლად გულისხმობს როგორც სხვა ადამიანებთან თანაარსებობის უნარს, ისე სოციალური პრობლემების დაძლევას, გარშემომყოფი ადამიანებისგან წამოსული სტიმულების აღქმის, ადამიანის პიროვნებისა და მის ცხოვრებაში მიმდინარე მდგომარეობების წვდომის შესაძლებლობას.

ოლპორტი სოციალურ ინტელექტს მიაწერდა ადამიანების მიერ სხვა ადამიანებზე შთაბეჭდილების ავტომატურად შექმნისა და მსჯელობის ჩამოყალიბების უნარს. ასევე კოგნიტური კონფიგურაციებით სხვა ადამიანების ქცევების პროგნოზირებას. მისი აზრით, სოციალური ინტელექტი ერთგვარი ნიჭია, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორობას პიროვნულ ურთიერთობებში.

პიროვნებათშორის ურთიერთობებში თანასწორობის საბოლოო პროდუქტი კი სოციალური ადაპტაციაა. ყველაზე ვიწრო გაგება სოციალური ინტელექტის ცნებისა ვექსლერს ეკუთვნის, რომელიც თვლიდა, რომ ინტელექტი სოციალური სიტუაციების გაგების უნარ-შესაძლებლობაა.

სტენბერგის პოზიციის თანახმად, სოციალური ინტელექტი არის ცოდნის დიდი რეპერტუარი, რომლის დახმარებითაც ადამიანი წყვეტს პრაქტიკულ პრობლემებს.

სოციალური ინტელექტის შესაფასებელი პირველი ტესტი 1928 წელს ჰანტის მიერ შექმნილი ჯორჯ ვაშინგტონის სოციალური ინტელექტის ტესტი იყო. მოგვიანებით სხვადასხვა თეორიულ კონცეფციაზე დაფუძნებული ინტელექტის ტესტი იქნება მოწოდებული ფსიქოლოგიაში.

„ემოციური ინტელექტის ცნება“ გარდნერის მიერ არის შემოტანილი 1983 წელს. გარდნერი ვარაუდობდა, რომ არსებობს ინტელექტის სხვადასხვა სახე და თითოეული მათგანი გარკვეულ კვალს ტოვებს ადამიანის ფუნქციონირებაზე.

წიგნი, რომელიც გამოიცა 1995 წელს გოლემანის ავტორობით – „ემოციური ინტელექტი“, უფროამკვიდრებს ამ ცნებას ფსიქოლოგიაში. ემოციური ინტელექტის შესაფასებელი მეთოდები, ინტელექტის ტრადიციული ტესტებისგან განსხვავებით, ზომავენ ემოციების ამოცნობის, მათი გაგების და მათი მართვის უნარს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ემოციური ინტელექტის გასაზომი ტესტები დღემდე კითხვის ნიშნებს ბადებენ მათ ავთენტურობაში.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ინტელექტს თავისებურებები გააჩნია, როგორც სქესთა შორის დონეზე, ასევე ასაკთან მიმართებაში. სხვადასხვა ასაკის ბავშვების კვლევამ აჩვენა, რომ განვითარების ადრეულ ეტაპებზე, დაახლოებით 7 წლამდე გოგონები თავიანთი ინტელექტუალური განვითარებით წინ უსწრებენ ბიჭებს, შემდგომში კი ეს სხვაობა ქრება და უკვე ზრდასრული ქალები და მამაკაცები არ განსხვავდებიან ინტელექტუალური განვითარების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით. ამავე დროს, არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, მამაკაცებს შორის უფრო მეტია მაღალი ინტელექტის მაჩვენებლის მქონე პირები, თუმცა ასევე გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებშიც მამაკაცები სჭარბობენ.

ფსიქომეტრული კვლევები აჩვენებენ, რომ ქალებს უფრო განვითარებული აქვთ ვერბალური ინტელექტი, მამაკაცებს კი მხედველობით-სივრცითი.

თუმცა ცხადია განვითარების დონე და ზოგადად, დასწავლის უნარი დიდ გავლენას ახდენს სუბიექტზე, იმაზე უფრო მეტად ვიდრე მისი სქესი.

მათემატიკურ აზროვნებაზე როცა მიდგება საუბარი ხშირად მამაკაცები სახელდებიან, ვიდრე ქალები. ამას ხსნიან მამაკაცებში მარცხენა (ლოგიკაზე პასუხისმგებელი) ჰემისფეროს აქტიურობით და ქალებში მარჯვენა (ფანტაზიებზე პასუხისმგებელი) ჰემისფეროს აქტიურობით.

1949 წელს იურისტმა ლანსელოტ ვეარმა თავის მეგობარ ადვოკატ როლანდ ბერილომთან ერთად ჩამოაყალიბა დახურული საზოგადოება სახელად „მენსა“ (სიტყვა მენსა ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „მაგიდა“). ამ საზოგადოებაში მიღების მთავარი კრიტერიუმი იყო ინტელექტის ტესტში მოსახლეობის 98%-ზე კარგი შედეგის ქონა. ეს საზოგადოება თანდათან ფართოვდებოდა და დღესდღეობით იგი 100 000 ზე მეტი ადამიანისგან შედგება, რომლებიც 50-ზე მეტი ქვეყნიდან გახლავთ.

ცნობილია ასევე ოცდაათამდე მსგავსი დახურული კლუბი. მათ კიდევ უფრო მეტად მკაცრი მიღების კრიტერიუმი აქვთ ინტელექტთან მიმართებაში. ყველაზე რთულად მოსახვედრი კლუბი გახლავთ „მეგა“, რომელიც ინტელექტის იმდენად მაღალ მაჩვენებელს ითხოვს, რომ ამ კლუბში შესაძლოა მილიონში ერთი ადამიანი შევიდეს.

### **III. დასკვნა**

მიმდინარე სტატიაში მეტ-ნაკლებად მიმოვიხილეთ ინტელექტის რაობა და მისი მნიშვნელობა დღევანდელობაში, თუმცა კი ფაქტი რჩება ფაქტად - ადამიანი მხოლოდ გონება არ გახლავთ და საკმაოდ კომპლექსური მექანიზმია, რომელიც არ ექვემდებარება გონებრივ

ალგორითმიზაციას და არც მის მიერ გაკეთებულ ქვევებს აქვთ მხოლოდ დირექტიული ახსნა. მიუხედავად ამისა, ინტელექტი, როგორც ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია ადამიანთა ბაზარზე.

**ლიტერატურა:**

1. რ. გაფრინდაშვილი, თ. ფანჯიკიძე, ს. ხიზანიშვილი - გამოყენებითი ფსიქოლოგია საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012 წელი.
2. მარინა ბალიაშვილი - სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი, 2010
3. ფილიპ ზიმბარდო, რიჩარდ გერიგი - ფსიქოლოგია და ცხოვრება თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
4. Роберт Солсо - Когнитивная психология Издательства Тривола, Либерея, 2002
5. Анатолий Батаршев - Тестирование: Основной инструментарий практического психолога Издательство «Дело», 2003
6. Джефф Хокинс, Сандра Блейкли - Об интеллекте Издательство Вильямс, 2016
7. Ролло Рис Мэй, Абрахам Харольд Маслоу - Экзистенциальная психология Институт общегуманитарных исследований, Инициатива, 2005
8. Hermann Haken - Principles of brain functioning Publisher: Springer, 2012
9. Jean Piaget - The Psychology of Intelligence, Publisher: Routledge, 2001

*Keti Telia, PhD student  
Georgian Technical University*


**Intelligence - the best-selling product**

**Summary**

The article tells the story of how the term "intelligence" arose in psychology and what it means. In the human bazaar intelligence is the most popular product. The article tells how this term attract attention and how it is settled down into our daily life. Cognitive psychology is one of the most common psychological schools. From the middle of the XIX century this school became the main part of psychology. What is intelligence? What includes the intellect and how it indicates the function of a man. In the article, you will read how the factor of intellect affects us and the quality of life. It is also in close connection with our employment. For a person to be socially oriented and have good contacts, he must have the appropriate skills, to which the intellect answers. What is IQ? (Intelligence Quotient). It happens that when we sit opposite the HR specialist, we are given a test to measure intelligence. If we have good results, high level of IQ, our chance to get a job grows.

The fact is that - we are appreciated for our cognitive capabilities. They greatly increase the price of our intellectual development.

**Keywords:** *psychology, human, cognitive psychology, intelligence.*



**მენეჯმენტი – მაკროსის უმაღლესი ეკონომიკური კატეგორია**

*გიორგი კიკაელიშვილი, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



**რეზიუმე.** საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმის სამეურნეო საქმიანობა მოითხოვს მუშაობის ისეთ სტილს, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალ შესაძლებლობათა მუდმივი ძიება, დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის სხვადასხვა წყაროდან რესურსების მოზიდვისა და გამოყენების ცოდნა, აქედან გამომდინარე წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ასეთ პირობებში სულ უფრო იზრდება მოთხოვნები ორგანიზაციის მართვისადმი, მენეჯმენტისადმი. მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს ფირმის საქმიანობის ორგანიზება ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს მუდმივი სწრაფვა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ, დასაბუთებული და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება და მისი კონტროლი. ტერმინი „მენეჯმენტი“ ინტერპრეტირდება არა როგორც მართვა ფართო გაგებით, არამედ როგორც ხელმძღვანელობა, ადმინისტრირება, საქმის ორგანიზება საკუთრივ მისი ეკონომიკური მართვა.

მენეჯმენტი, როგორც მართვის შემადგენელი ეკონომიკური კატეგორია, მიეკუთვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა რიცხვს, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოებისა და მომსახურების, ორგანიზაციის, მეთოდების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ადამიანურ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემა.

*საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, საბაზრო ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვის მეცნიერება.*

**I. შესავალი**

მართვა ზოგადი სახით - ეს არის მრავალფეროვანი ბუნების, ობიექტების, პროცესების, ურთიერთობების მართვა. იგი მოიცავს სოციუმის მართვას, ბუნების მართვას, ტექნიკისა და ტექნოლოგიების მართვას, პოლიტიკის მართვას. აღნიშნულის გათვალისწინებით მართვის უნივერსალური ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: მართვა - ეს არის ადამიანის, სოციალური ჯგუფების და საზოგადოებების გაცნობიერებული ზემოქმედება სხვადასხვა ობიექტზე და გარემომცველ სამყაროში მიმდინარე პროცესებზე, მათში მონაწილე ადამიანებზე და ადამიანებს შორის ურთიერთობებზე, რომელიც ხორციელდება პროცესებისათვის განსაზღვრული მიმართულების მისაცემად და სასურველი, გამიზნული რეზულტატის მისაღებად.

გამომდინარე იქიდან, თუ რა ობიექტისადმია მიმართული მმართველობითი ზემოქმედება, და ვინ ახდენს ამ ზემოქმედებას ანუ მართვას, გამოყოფენ ერთმანეთისაგან საზოგადოების, სახელმწიფოს, ეკონომიკის, სოციალური პროცესების, ორგანიზაციების, საწარმოო კოლექტივების და სხვა ტიპის მართვის სახეობებს.

## **II. ძირითადი ნაწილი**

ეკონომიკური ობიექტების, პროცესების, ურთიერთობების მართვას, როგორც სახელმწიფოს და საზოგადოების შემადგენელ ნაწილს, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ადამიანებზე, საწარმოო კოლექტივებზე და სოციალურ ჯგუფებზე ზემოქმედების მოხდენა მათი ინტერესების, მოქმედების მოტივების, ინდივიდუალური და სოციალური, ეკონომიკური ფსიქოლოგიის გათვალისწინებით;

საწარმო-ეკონომიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, ადამიანებზე, სოციალურ ჯგუფებზე, რეგიონების, სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე ისეთი მიმართულების მიცემა, რომელიც აუცილებელია მართვის განმახორციელებელი პირებისათვის და შეესაბამება მათ მიზნებს და განზრახულობებს;

ზეგავლენის მოხდენა ადამიანებზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას ეკონომიკურ საქმიანობაში ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების პროდუქტად გარდაქმნაში საზოგადოების სიცოცხლის უნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მართვა ზემოქმედებს რა ისეთ ძირეულ ეკონომიკურ პროცესებზე, როგორცაა, წარმოება, მიმოქცევა, მოხმარება, წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის , ისე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს. მართვის სფეროს ცნობილი სპეციალისტი პიტერ დრუკერი სამართლიანად ასაბუთებს, რომ „მართვა საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც არაორგანიზებულ ბრბოს გარდაქმნის ეფექტიან, მიზანმიმართულ და მწარმოებლურ ჯგუფად“.

ცნობილი ამერიკელი პროფესორი მ. მესკონი მართვას ახასიათებს როგორც „დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის პროცესს, რომელიც აუცილებელია მიზნების მიღწევისა და მისი განხორციელებისათვის. პროფესორი ლ. ი. ევენკო მართვას განსაძღვრავს, როგორც უნარს დასახული მიზნების მისაღწევად, შრომისა და ინტელექტის, ადამიანების ქცევის მოტივების , როგორც ფუნქციას, საქმიანობის სახეობას ადამიანების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე როგორც ადამიანური ცოდნის სფეროს, რომელიც ეხმარება ამ ფუნქციის განხორციელებაში. გამოყენებით

საქართველოში ეკონომიკის რეფორმირების დაწყებისთანავე ფართოდ დამკვიდრდა ტერმინი „მენეჯმენტი“, რომელიც უშუალო კავშირშია „მართვის“ ცნებასთან, შეიძლება ითქვას, რომ იგი მისი შემადგენელია. თუ კი „მართვაში“ ზოგადად ჩვენ ვგულისხმობთ საზოგადოების, სახელმწიფოს, საწარმოების, ფინანსების, პერსონალის და სხვათა მართვას, ანუ იგი მოიცავს ნებისმიერი ობიექტის და პროცესის – როგორც ეკონომიკური ისე არაეკონომიკური პროცესების მართვას, ტერმინი „მენეჯმენტი“ ინტერპრეტირდება არა როგორც მართვა ფართო გაგებით, არამედ როგორც ხელმძღვანელობა, ადმინისტრირება, საქმის ორგანიზება და საკუთრივ მისი ეკონომიკური მართვა. ამასთანავე მენეჯმენტი მიეკუთვნება ეკონომიკურ მრცნიერებათა რიცხვს;



იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოებისა და მომსახურების, ორგანიზაციის, მეთოდების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ადამიანურ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემა.

„მენეჯმენტი“ ვიწრო გაგებით - ეს ეკონომიკის მართვის ნაწილია, რომლის ზემოქმედება ვრცელდება ორგანიზაციების, სამეწარმეო სტრუქტურების, მათი პერსონალის, საწარმოო პროცესების, ბიზნესის ცალკეული სახეობის, ორგანიზაციის, კომპანიის, ფორმის ეკონომიკური პროექტების მართვაზე. უფრო ფართო მასშტაბით „მენეჯმენტი“ უნდა გავიგოთ, როგორც ეკონომიკური ობიექტების, პროცესების, ურთიერთობების მართვა ყველა დონეზე, ანუ როგორც ეკონომიკური მართვა ამ სიტყვის საერთო გაგებით. ასეთი მიდგომით ტერმინების – „მართვა“ და „მენეჯმენტი“- ცნებები ერთმანეთთან ახლოსაა, ამიტომ გარდაუვალია მართვასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში ორივე ცნების ხშირად გამოყენება.

ეკონომიკური ობიექტების, პროცესების, ურთიერთობების განხილვისას „მართვისა“ და „მენეჯმენტის“ მუდმივად შემხვედრ ცნებებთან ერთად, საკმაოდ ხშირად გამოიყენება ტერმინი „რეგულირება“.

საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური მიდგომის შესაბამისად ეკონომიკის სახელმწიფო მართვა შესაძლებელია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში ანუ სოციალიზმის დროს, ხოლო კაპიტალიზმის პირობებში, რომელიც ხასიათდება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობით, შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკის შეზღუდული მართვა სახელმწიფოს მხრიდან, რასაც ვუწოდებთ სახელმწიფო რეგულირებას.

კატეგორია „მართვა“ ატარებს უფრო ზოგად ხასიათს, ვიდრე „რეგულირება“ და ეს უკანასკნელი ითვლება მის შემადგენელ ნაწილად. სხვანაირად რომ ვთქვათ, „რეგულირება“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც „მართვის“ კერძო გამოვლინება. ამ შეხედულებიდან გამომდინარე რეგულირების როლს შეადგენს მართვის ფუნქციის ნაწილის შესრულება, ისეთების, როგორცაა, მიმდინარე ოპერატიული მართვა, კონტროლი, რომლებიც ავსებენ სტრატეგიულ მართვას.

„რეგულირების“ ცნებას უფრო შეესაბამება მისი, როგორც მართვის ობიექტის, გაგება. ეკონომიკური ობიექტები ფლობენ მართვის შიდა სისტემებს. მაგრამ ასეთ სისტემებს არ შეუძლიათ მართვის ფუნქციის მთელი კომპლექსის რეალიზება, ვინაიდან მათი მმართველობითი ზემოქმედებები გადახრილია საკუთარი ინტერესებისაკენ სხვა ობიექტის ინტერესების საზიანოდ. ამიტომ ასეთი ობიექტების თვითმართვა ივსება გარეგანი რეგულირებით იერარქიით უფრო მაღალი დონის ობიექტების მხრიდან. ასეთი რეგულირება ატარებს ნორმების, წესების, შეზღუდვების, აკრძალვების ხასიათს, რომელიც გამომდინარეობს უფრო მაღალი დონის მართვის ორგანოების მხრიდან კანონების, დებულებების, ინსტრუქციების ფორმით. ამგვარ პრინციპებზეა დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები ავსებენ და ამასთანავე ზღუდავენ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ კონკურენციისა და კორპორატიული მართვის არასასურველ შედეგებს.

მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების ამოცანაა წარმოების, მომსახურების მართვის კანონებისა და კანონზომიერებათა აღმოჩენა, კვლევა, მათი პრინციპების გამოვლენა, მოქმედების მექანიზმის შესწავლა და აქედან გამომდინარე, მენეჯმენტის სისტემები ყველაზე

ეფექტური სტრუქტურების და ორგანიზაციული ფორმების შემუშავებაა. მენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციის, მეთოდების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ადამიანურ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემა, რომელიც ოთხი ძირითადი ელემენტისაგან შედგება:

მენეჯმენტის თეორიისაგან, რომელიც ავლენს და შეისწავლის მართვის სფეროში მოქმედ კანონებს, კანონზომიერებებს, პრინციპებს, კატეგორიებსა და ცნებებს, ახდენს მათ სისტემატიზაციას;

მენეჯმენტის მეთოდებისგან, რომელიც შეისწავლის შემსრულებელთა ჯგუფებზე, მათ თითოეულ წევრებზე ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ადმინისტრაციულ ზემოქმედებათა ხერხებსა და მეთოდებს, მათი პრაქტიკული გამოყენების გზებს;

მენეჯმენტის ორგანიზაციისგან, რომელიც შეისწავლის მმართველობით ფუნქციებს, ადგენს ურთიერთდაქვემდებარების წესს, მართვის ორგანიზაციული ფორმებისა და მათი ქვედანაყოფის დებულებებს, თანამედროვე ინსტრუქციებს და ა.შ.;

მენეჯმენტის ტექნიკისა და ტექნოლოგიისგან, რომელიც სწავლობს მენეჯმენტის სისტემაში ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, მმართველობით გადაწყვეტილებათა გამომუშავებით, სისტემატური ანალიზის საქმეში შესაბამისი პროგრესული ტექნიკის, მათემატიკური მოდელების გამოყენების გზებს.

### **III. დასკვნა**

თანამედროვე მენეჯმენტის სისტემაში მართვის ობიექტად განიხილება ორგანიზაცია ან საწარმო, ხოლო მართვის პროცესები, როგორც მოვლენა, რომლებიც საწყისს იღებენ ადამიანიდან, მისი საჭიროებიდან და მიზნებიდან.

მენეჯმენტი ხასიათდება განვითარების განსაზღვრული ტენდენციებით, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს ორი თვალსაზრისით. ჯერ ერთი, ეს არის ობიექტური ტენდენციები, რომლებიც აფერხებენ ან აჩქარებენ განვითარებას, მეორე, მენეჯმენტი ხასიათდება მისი ცვლილების გარკვეული პოტენციალითა და დინამიკით, ამიტომ აუცილებელია ობიექტური ტენდენციების დროული გამოვლენა და მათი გამოყენება მართვის პროცესში. პოტენციალი განისაზღვრება გამოყენებული რესურსების შესაძლებლობითა და მოცულობით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმის სამეურნეო საქმიანობა მოითხოვს მუშაობის ისეთ სტილს, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალ შესაძლებლობათა მუდმივი ძიება, დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის სხვადასხვა წყაროდან რესურსების მოზიდვისა და გამოყენების ცოდნა, იმავდროულად წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ასეთ პირობებში სულ უფრო იზრდება მოთხოვნები ორგანიზაციის მართვისადმი, მენეჯმენტისადმი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ე. ბარათაშვილი, ლ. ქოქიაური, მენეჯმენტის პრინციპები, თბ., 2010;
2. ე. ბარათაშვილი, გ. იაშვილი, ა. აბრალავა, ნ. ფარესაშვილი, თ., იაშვილი, სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, 2013.

*Georgi Kikaleishvili, PhD student  
Georgian Technikal University*

## **Management - the constituent economic category of management**

### **Summery**

In the market economy, the firm's business activities require a style of work based on the continuing search of new possibilities, the ability to attract and use resources from different sources for solving the objectives, and thus increase the efficiency of production. In such conditions the requirement for management is increasing. The manager must ensure organizing the company's activities to satisfy the market demand, and it should be consistent with the continuation of the ability to increase efficiency, reasonable and optimal decision-making and control. The term "management" is interpreted not as in a broader sense of management, but as management, administration, and organizing the case itself as its own economic management. Management, as a component of economic management, belongs to the number of economic sciences, it can be considered as the knowledge system of production and service, organization, methods, techniques and technologies, the regulatory nature of human relations development.

**Keywords:** *Management, Market Economy, Organization, Management Science.*

# მეთოდოლოგია

## METHODOLOGY

### ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა

ელისაბედ ხახუტაშვილი, აკად. დოქტ. ასოც. პროფ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**რეზიუმე.** სტატიაში განხილულია ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა, ხარისხის მნიშვნელობა საქმიანობის ეფექტური წარმართვისათვის. ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა არა მარტო მატერიალური ბაზა, კვალიფიცირებული პერსონალი, არამედ ხარისხის საქმიანობის სწორი ორგანიზაცია, „ადამიანური ფაქტორის“ და ფსიქოლოგიის გათვალისწინება, სოციალური ფაქტორების და გარემოს პარამეტრების ზემოქმედება.

ხარისხის მართვა ეს ოპერატიული ხასიათის ტექნიკისა და საქმიანობის მეთოდებია, რომლებიც გამოიყენება ხარისხის მოთხოვნების შესასრულებლად.

ხარისხს, როგორც მენეჯმენტის ობიექტს ახასიათებს მენეჯმენტის ყველა შემადგენელი ნაწილი: დაგეგმვა, ანალიზი და კონტროლი.

როგორც სტატიაშია მოცემული, ხარისხის მართვა განიხილება, როგორც სისტემა, რომლის არქიტექტურის კონცეფცია გულისხმობს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას, ეფექტურობას, ეკონომიურობას, პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.

ხარისხის მართვის კონცეფცია ეს ციკლური პროცესია, რომლის არქიტექტურა მოიცავს მნიშვნელოვანი პროცესების სტანდარტიზაციას, წახალისების სისტემას. ხარისხის მართვის პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ „ხარისხის მარყუჟის“ სახით, სადაც დეფექტების აღმოსაფხვრელად მართვის ციკლი მეორდება უფრო მაღალ დონეზე, რის შედეგადაც ხარისხის მიღწევის შედეგად იგი გარდაიქმნება „ხარისხის სპირალად“. ხარისხის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა ფუნქციის შესრულება.

განხილულია აგრეთვე ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა ტელეკომუნიკაციის სფეროში (TL 9000), რომლის სტანდარტის მოთხოვნები მრავალდონიანი სტრუქტურისაა.

ამრიგად, ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა საფუძვლად დაედო ISO 9000 სტანდარტებს ტელეკომუნიკაციაში, რაც საწინდარია წარმატებული ბიზნესისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** კონცეფცია, სისტემის არსი, კომუნიკაცია, კონკურენტუნარიანობა, სტანდარტი, არქიტექტურა.

**I. შესავალი**

ხარისხი ეს პროდუქტის ან მომსახურების მახასიათებლის და თვისებების ერთობლიობაა, რომელიც განაპირობებს მის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოთხოვნა. ხარისხი ასახავს საქმიანობის ეფექტურობის ყველა მხარეს. ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭიროა არა მხოლოდ მატერიალური ბაზა, კვალიფიციური პერსონალი, არამედ ხარისხის საქმიანობის სწორი ორგანიზაცია და მართვა, რასაც ეძღვნება აღნიშნული სტატია.

**II. ძირითადი ნაწილი**

ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების სტაბილურობა შეუძლებელია სამუშაოთა გარკვეული წესის, სისტემის დანერგვის გარეშე, ორგანიზაციის წარმოება თანამედროვე დონეზე. ხარისხის მართვა ეს ოპერატიული ხასიათის ტექნიკისა და საქმიანობის მეთოდები და სახეებია, რომლებიც გამოიყენება ხარისხის მოთხოვნების შესასრულებლად.

ხარისხს, როგორც მენეჯმენტის ობიექტს ახასიათებს მენეჯმენტის ყველა შემადგენელი ნაწილი: დაგეგმვა, ანალიზი და კონტროლი.

ხარისხის გაუმჯობესება იწვევს „ჯაჭურ რეაქციას“, დანახარჯების შემცირება. ზრდის მწარმოებლობას, ინვესტირებული თანხების დაბრუნებას.

ხარისხის მართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების/მომსახურების სფეროში, რაც დაკავშირებულია ხარჯებთან, რომელიც ძალიან სწრაფი ტემპებით იზრდება. მომსახურება არ ეწინააღმდეგება პროდუქციის წარმოებას. მომსახურება ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებით, რისთვისაც საჭიროა დამატებითი ხარჯები დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ხარისხის მართვის ობიექტის შესწავლა კომპლექსურად უნდა წარიმართოს კომპლექსური მიზნების მისაღწევად, მართვის მეთოდების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლის საბოლოო მიზანია მომხმარებელი მუდმივად იყოს კმაყოფილი.

ხარისხის მართვა განიხილება როგორც სისტემა, კონცეფცია, რომლის არქიტექტურა გულისხმობს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის, ეფექტურობის და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. ეს კი შეუძლებელია იმ შემთხვევაში თუკი ხარისხის მართვის პრინციპები დანერგილი იქნება ორგანიზაციის ყველა განყოფილებაში და მენეჯმენტის ყველა დონეზე.

ხარისხის მართვის სისტემა არის კომპანიის ძალისხმევა, რომლის მიხედვითაც მისი თითოეული წევრი მუდმივად მიისწრაფვის მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულების გაუმჯობესებისკენ. ორგანიზაციას აქვს ჩამოყალიბებული მიზანი და მისი ყველა განყოფილება ურთიერთდაკავშირებულია მუშაობით მიისწრაფვის საერთო მიზნის მისაღწევად. ამავე დროს თითოეულ თანამშრომელს გათავისებული აქვს, რომ მისი მუშაობა გავლენას ახდენს ყველა სხვა მომუშავეზე და ამავე დროს თვითონაც განიცდიდეს დანარჩენების ზეგავლენას.

ხარისხის მართვის სისტემა უნივერსალურია და იგი შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერ ორგანიზაციაში მიუხედავად მისი მოღვაწეობის სფეროში.

**ხარისხის მართვის სისტემის არსი** საკმაოდ მარტივია და შეიძლება ასე გამოიხატოს: **თქვი რასაც აკეთებ; გააკეთე ის რაც თქვი; დაამტკიცე ეს; გააუმჯობესე იგი.**

მართალია კონცეფციის არსი საკმაოდ მარტივად გამოითქმის, მაგრამ ამ სისტემის

დანერგვა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პრობლემების გადაწყვეტის „სასწრაფო და ერთჯერადი საშუალება“. ეს არის მუდმივი პროცესი, რომლის დანერგვას მოაქვს შემდეგი უპირატესობანი.

1. მარტივი, სრულყოფილი დოკუმენტების (ინსტრუქციები, პროცედურები, და ა.შ.) შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს სტანდარტებთან შესაბამისობას და ხელს უწყობს ახალ თანამშრომლებს მარტივად და ნაკლებ დროში გაერკვნენ მათზე დაკისრებულ სამუშაოს;
2. ანგარიშგების დახვეწილი სისტემის შექმნა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს არასასურველი ტენდენციები და მათ აღმოსაფხვრელად დაინერგოს ეფექტური მაკორექტირებელი მოქმედებანი;
3. მიღწეული იქნას დასახული მიზნები;
4. გაუმჯობესდეს თანამშრომელთა თვითდაჯერებულობა და მოტივაცია;
5. დაინერგოს ეფექტური რისკის მართვის სისტემა;
6. გაიზარდოს პროდუქტებისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე;
7. შემუშავდეს საბუთბრუნვის ეფექტური სისტემა.

ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება ციკლური პროცესია, რომლის დანერგვისათვის გამოიყენება დემინგის ციკლი **დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე**. თავდაპირველად ხდება სიტუაციის გაანალიზება და გაუმჯობესების დაგეგმვა (დაგეგმვის ეტაპი.) შემდეგ ხორციელდება გაუმჯობესებული საცდელი ვარიანტის დანერგვა (შესრულების ეტაპი). შესაბამისი მონაცემების შეგროვება იმის დასადგენად თუ როგორ მუშაობს ახალი მიდგომა (შემოწმების ეტაპი). სასურველი შედეგის მიღების შემდეგ ხდება ამ ინიციატივის დანერგვა (დანერგვის ეტაპი). წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება ახალი ინიციატივის შემუშავება და სრული ციკლის გამეორება. ეს პროცესი საშუალებას იძლევა შემცირდეს ცდომილება და გადახრა სტანდარტისაგან.

ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურის დანერგვისას ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვანი პროცესების სტანდარტიზაცია და დაკუმენტირება, რაც მართვის სისტემის ძირეულ საკითხს წარმოადგენს. ხარისხის მართვის სისტემის დანერგვისას დიდი ყურადღება ექცევა წახალისების სისტემის შემუშავებას. აუცილებელია კომპანიაში მომხდარი ნებისმიერი პოზიტიური მიღწევის აღიარება და წახალისება.

ხარისხის მართვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს რვა პრინციპი. ესენია: მომხმარებელზე ორიენტირება; ლიდერობა; ხალხის ჩართულობა; პროცესული მიდგომა; მართვისადმისისტემურიმიდგომა; მუდმივი გაუმჯობესება; გადაწყვეტილებისადმი ფაქტობრივი მიდგომა; მომხმარებელთან ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულება. ყველა ეს მნიშვნელოვანი კონცეფცია აუცილებელია, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის, ეფექტურობის და პროდუქტიულობის გაუმჯობესებისათვის.

საწარმოში თანამედროვე ხარისხის მართვისთვის საჭიროა ჩატარდეს ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც თავის მხრივ მოითხოვენ სიახლეებს, სტრუქტურული და კულტურული დაბრკოლებების გადალახვას. ეს შესაძლებელია, როგორც საწარმოო, ასევე მმართველობითი პროცესების მოდელირების მეთოდებით, მათემატიკური სტატისტიკის ინსტრუმენტებით.

სტატისტიკური მეთოდებიდან აღსანიშნავია „ხარისხის კონტროლის შვიდი ინსტრუმენტი“, რომელშიც შედის **საკონტროლო ფურცელი, ჰისტოგრამა, გაზნევის დიაგრამა, განშრევების მეთოდი, პარეტოს დიაგრამა, მიზეზ-შედეგობრივი (ისიკავას) დიაგრამა, კონტროლის რუკები.**

ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა საფუძველია ISO 9000:2008 სტანდარტისა, რომელიც მიმართულია ხარისხის უზრუნველყოფისაკენ. მასში თავმოყრილია მსოფლიო პრაქტიკაში არსებული გამოცდილება „ხარისხის მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფისათვის“, მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი დაპროექტების, დამუშავების, წარმოების, მონტაჟის და მომსახურებისათვის.

ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა მუდმივ გაუმჯობესებას მოიცავს და ითვალისწინებს: მომხმარებლის მოთხოვნებს; მენეჯმენტის პასუხისმგებლობას; დაგეგმვას; რესურსების მართვას; შემოწმება გაზომვებით გაუმჯობესების ხარისხი; მოხდება პროდუქტის რეალიზაცია; პროდუქტის სერვისი. ყველაფერმა ამან უნდა გამოიწვიოს მომხმარებლის დაკმაყოფილება და მიზნების მიღწევა ხარისხის მართვაში.

მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის სისტემები ტელეკომუნიკაციის (TL 9000) სფეროში. 1996 წელს 50-ზე მეტმა კომპანიამ QuEST ფორუმზე (The Quality Excellence for Suppliers of Telecommunication Leadership) ტელეკომუნიკაციის მომსახურების პროვაიდერებმა, მათმა მიმწოდებლებმა და სუბპროვაიდერებმა გადაწყვიტეს მსოფლიო ტელეკომუნიკაციის ინდუსტრიისათვის შეემუშავებინათ მოთხოვნები ხარისხის სფეროში. ფორუმის მუშაობამ მისცა საშუალება შეექმნათ ერთიანი სტანდარტი მრავალი პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც წარმოიქმნა კომპანიების ურთიერთმუშაობის დროს, რათა აემაღლებინათ პროდუქციის და მომსახურების ხარისხი ტელეკომუნიკაციაში .

1998 წლის ივნისში შეიქმნა TL 9000 სტანდარტის პროექტი. ამჟამად QuEST ფორუმი ამზადებს ტელეკომუნიკაციის სფეროს წარდგენას ISO-ს 176 კომიტეტში.

TL 9000 ყველაზე ახალი წარმოებულია ISO 9000-დან, შემუშავებულია ფორუმის QuEST ასოციაციის მიერ. ამ სისტემის შემნის მიზეზი იყო ISO 9000 სტანდარტის გაფართოების აუცილებლობა ტელეკომუნიკაციის ინდუსტრიაში.

TL 9000 შეტანილია საიმედოების დამატებითი მოთხოვნები; პროგრამული უზრუნველყოფის მართვის სასიცოცხლო ციკლი; მომსახურების მართვის სფეროში მოთხოვნები (ისეთი საკითხებისა როგორც არის ინსტალაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (მომხმარებლის მიმწოდებელთან კავშირის ხანგრძლივობის უზრუნველყოფა).

TL 9000 სტანდარტის მოთხოვნები მრავალდონიანი სტრუქტურისაა, რომელშიც შედის MC ISO 9001:2000-ის ყველა ძირითადი განყოფილებები, აგრეთვე სპეციფიკური მოთხოვნები TL 9000 ტელეკომუნიკაციის CMK სფეროში.

მრავალდონიანი მოთხოვნები TL 9000-ისა აიხსნება იმ გარემოებით, რომ სტანდარტში შესულია როგორც საერთო სპეციფიკური მოთხოვნები, ასევე მოთხოვნები რომლებიც გამოიყენება მხოლოდ კერძო შემთხვევებში (მაგალითად, მხოლოდ ტელეკომუნიკაციის დანადგარების მწარმოებლებისათვის, ან მხოლოდ ტელეკომუნიკაციის მომსახურებისათვის). TL 9000-ის სპეციფიკური მოთხოვნები შეიძლება დაიყოს 6 ჯგუფად გავრცელების სფეროს მიხედვით (ამასთან ეს მოთხოვნები იდენტიფიცირდება შემდეგნაირად): 1. TL 9000-ის საერთო მოთხოვნები

CMK-ს მიმართ ტელეკომუნიკაციის სფეროში; 2. მოთხოვნები ვრცელდება CMK-ს მწარმოებელზე ტელეკომუნიკაციის დანადგარების და P/O-ზე. 3. მოთხოვნები ვრცელდება CMK-ს დანადგარების მწარმოებელზე და სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე; 4. მოთხოვნები მხოლოდ CMK მწარმოებლისათვის; 5. მოთხოვნა მხოლოდ CMK მწარმოებლისათვის P/O ტელეკომუნიკაციის დანადგარებისათვის; 6. მოთხოვნები მხოლოდ CMK-თვის, როცა ტელეკომუნიკაციისთვის მომსახურებაა.

### **III. დასკვნა**

ამრიგად, TL 9000 სტანდარტის წარმატებული დანერგვა აძლევს ორგანიზაციას კონკურენტუნარიანობას, უპირატესობას; რესურსების ოპტიმალური გამოყენება ამცირებს დანახარჯებს უხარისხო პროდუქციაზე და რეკლამებით უხარისხო მართვაზე; ჯარიმების შემცირება ზრდის გასაღების ბაზარს და გადის საერთაშორისო ბაზარზე; აღწევს ტენდერებში მონაწილეობის უპირატესობას.

ხარისხის მართვის სისტემის არქიტექტურა საფუძვლად დაედო ISO 9000 სტანდარტებს ტელეკომუნიკაციაში, რაც ხელს უწყობს ბიზნესის წარმატებას.

*Elisabed Khakhutashvili, Academician,  
Doctor, Associate Professor  
Georgian Technical University*

## **Architecture of Quality Management System**

### **Summary**

In the article is discussed architecture of quality management system, value of quality for affective management activities. For quality insurance is required not only material bases, qualified personnel, but also correct organization, considering human factor and psychology, impact of social factors and environmental parameters.

Quality Management is method of technique and activities having operative nature, which are used for performance of quality requirements.

The quality as object of management has all components of management such as planning, analysis and control.

As it is given in the article the quality management is considered as system, the concept of architecture of which implies improvement of competitiveness of organization, effectiveness, economy, productivity.

The quality management concept is cyclic process, the architecture of which includes standardization of important processes, incentive system. The quality management process may be imagine in the form of “quality loop”, in which for elimination of the defects the management cycle is repeated on higher level, due to which after obtaining quality it turns into “quality spiral”.

Thus ISO 9000 standards in telecommunication were based on architecture of quality management system, which is the prerequisite of successful business.

Is discussed architecture of quality management systems in telecommunication sphere (TL 9000), standard requirements of which have multi-level structure.

**Keywords:** *conception, sistem entity, comunication, competitiveness, standart, architecture.*





XXI საუკუნე – ცოდნისა და ტექნოლოგიების სინთეზი უსაზღვრო კვების სფეროში

მზია წულუკიძე, ტექნიკის დოქტორი  
დავით გამეზარდაშვილი, ქიმიის დოქტორი



**რაზიუმე.** ნაშრომში განხილულია: განვითარების თანამედროვე ეტაპზე საკვების მოპოვების ახალი სტრატეგიის საჭიროება; ცილების დეფიციტის ლიკვიდაციის გზები; სურსათის წარმოების ახალი გზების ძიება; კვების არატრადიციული წყაროების: «ხელოვნური საკვების», საკვების გენმოდირიგირებული წყაროების, უნარჩუნო ტექნოლოგიების შექმნა - ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, სამრეწველო დაბინძურებისაგან ჰაერისა და წყლის დაცვის, სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით; აგროსაწარმოო კომპლექსში ექსპერტების მიერ გამოვლენილი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების არსებითი კრიტიკული ტექნოლოგიები; ტექნოლოგიების რეალიზაციის სქემა.

საკვანძო სიტყვები: ახალი სტრატეგია, ცილების დეფიციტის ლიკვიდაცია, „ხელოვნური საკვები“, კრიტიკული ტექნოლოგიები.

**I. შესავალი**

კაცობრიობის ისტორიაში დგება პერიოდი, როდესაც ცივილიზაციის შემდგომი პროგრესი შეუძლებელია გადაადგილების თანამედროვე საშუალებების, მეტად დახვეწილი ინფორმაციის გარეშე და ა.შ. განვითარების თანამედროვე ეტაპზე წამოიჭრა საკვების მიღების ახალი სტრატეგიის მწვავე მოთხოვნილება.

ადამიანებისათვის კვების პრობლემა ათასწლეულების განმავლობაში ძირითადი იყო.

ადამიანთა ცივილიზაციის განვითარების საწყის ეტაპზე მოსახლეობის რიცხოვნება ნელა მატულობდა – სულ, 0,002%-ით წელიწადში.

ასწლეულების და ათასწლეულების შემდეგ პლანეტის მოსახლეობა თანდათან იზრდებოდა და დღეისათვის დედამიწაზე 6,4 მლდ. ადამიანი ცხოვრობს. კვების წყაროები და მისი მიღების პრინციპები კი იგივე დარჩა. საკვები და განსაკუთრებით ცილები უკვე არასაკმარისია. გაერო აცხადებს: „...ცილოვანი პრობლემა კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, დღეისათვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ცილების უკმარისობა, რომელიც უკვე მთელ მსოფლიოში

იგრძნობა. იგი უნდა გახდეს ცენტრალური ნაციონალური და საერთაშორისო პრობლემა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგნოზების თანახმად ეჭვგარეშეა, რომ ცილების უკმარისობა სულ უფრო სწრაფად გამწვავდება, ვიდრე არ იქნება მიღებული ეფექტური ზომები“. ცილის დეფიციტის ლიკვიდაციისათვის საკვების მსოფლიო წარმოება 20–25 წელიწადში უნდა გაიზარდოს დაახლოებით 3–ჯერ, რაც პრაქტიკულად არარეალურია.

გარდაუვალია საკვების მიღების ახალი პრინციპების შემუშავება, რათა დედამიწის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნას სურსათის საკმარისი რაოდენობით.

## **II. ძირითადი ნაწილი**

დღემდე, სასურსათო პროდუქციის მოცულობის ზრდის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოების გაზრდა, სახნავ-სათესი მიწების გაფართოება, მცენარეთა და შინაურ ცხოველთა სელექციის გაუმჯობესება და სხვა. თუმცა მათი ეფექტურობა არც ისე დიდია.

კაცობრიობისათვის ერთადერთი გამოსავალია საკვების მოპოვების ახალი სტრატეგია: მეცნიერულ პრინციპებზე დაფუძნებული სურსათის წარმოების ახალი გზების ძიება; კვების არატრადიციული წყაროების შექმნა, კერძოდ „ხელოვნური საკვები“.

დასახელება „ხელოვნური საკვები“ პირობითია. იგი შედგება იმავე კომპონენტებისაგან როგორც ბუნებრივია, მაგრამ იქმნება ხელოვნურ-ტექნოლოგიურ პირობებში, ლაბორატორიებში ან საწარმოში.

დღეისათვის ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების სინთეზი ათვისებულია. ყველაზე რთული პროცესია – ცილების, სასურსათო პროდუქციის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის სინთეზი.

არსებობს იმედი, რომ დროთა განმავლობაში მოხდება საკვებში გამოსადეგი ცილების სინთეზიც, თუმცა ეს პრობლემა დღეისათვის გადაწყვეტილი არ არის.

სინთეტიკური საკვების წარმოებაში ნედლეულად გამოყენებული ცილა გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. უპირველეს ყოვლისა იგი უნდა იყოს ადამიანის ორგანიზმისათვის უვნებელი და ამინომჟაური შემადგენლობის მიხედვით გააჩნდეს მაღალი ბიოლოგიური ღირებულება.

ხელოვნური გზით საკვების მიღების წყალობით ადამიანი აღარ იქნება დამოკიდებული კლიმატსა და წელიწადის დროზე. ხელოვნურად მიღებული საკვები შენახვისას ინარჩუნებს მის შემადგენლობასა და ბიოლოგიურ ღირსებებს.

დღეისათვის, შემუშავებულია ნატურალური ხორცის ცილოვანი ბოჭკოების ფუძეზე მიღებული ნატურალური ხორცპროდუქტების მსგავსი თვისებების სინთეტიკური ხორცისა ან ნაწარმის ანალოგების ტექნოლოგია.

ბიოლოგიური ღირებულებით ხელოვნური ხორცი პრაქტიკულად არ განსხვავდება ნატურალური საქონლის ხორცისგან.

ერთ-ერთი პირველი ხელოვნური პროდუქტი იყო შავი ხიზილალა, რომლის ამინომჟაური შემადგენლობა უახლოვდება ზოგიერთ საკვებ პროდუქტებს.

ხელოვნური მარცვლოვანი ხიზილალის შედარებითი ამინომჟაური შემადგენლობა მოცემულია ცხრილში.

ამინომჟავები	ხორცი	რძე	ხორბალი	ხელოვნური ხიზილალა
არგინინი	6,4	3,7	4,8	5,0
ვალინი	5,6	6,9	4,6	4,8
ჰისტიდინი	3,5	2,6	2,0	2,1
იზოლეიციანი	5,2	6,4	4,3	4,0
ლეიციანი	8,2	9,8	0,7	7,5
ლიზინი	8,8	7,8	2,7	6,0
მეთიონინი	2,5	2,5	1,5	2,2
ტრეონინი	4,4	4,6	2,9	3,7
ტრიფტოფანი	1,2	1,4	1,2	1,3
ფენილალანინი	4,1	4,9	4,9	4,0

ხელოვნურად მიღებული რძე და რძის პროდუქტები რიგ ქვეყნებში გამოიყენება ბავშვთა და დიეტურ კვებაში. ავადმყოფებისათვის ამზადებენ ნაღებს, კრემს, ყველს, ნაყინს, სადაც რძის ცხიმო შეცვლილია სოიოს, სიმინდის, მზესურსმზირის, ბამბის და სხვა მენარეული ზეთებით. აღნიშნულ პროდუქტებში აგრეთვე გამოყენებულია მცენარეული ცილები, პერსპექტიულია რძისა და ხაჭოს დამზადება სოიოს ფუძეზე.

ინგლისსა და ჰოლანდიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად დაიწყო ხელოვნური ბურღულების წარმოება, ზოგიერთ ქვეყნებში შემუშავებულია ბრინჯიდან კარტოფილის, ბრინჯის - მარცვლოვანებისა და რძის ნარჩენებისგან, კაზეინის მაკარონის და კენკრისგან ხელოვნური მამულადის მიღების მეთოდებიც კი.

აშშ-ში, სინთეტიკური ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების განვითარება, ამ პროდუქტების სკოლებში ფართოდ გამოყენების რეკომენდაცია სტიმულირებული იყო 1971 წ. კონგრესის გადაწყვეტილებით.

ხელოვნური საკვების შემუშავებისას გათვალისწინებულია ნატურალური პროდუქტებისათვის დამახასიათებელი გემო, ფერი, არომატი, სახე და კონსისტენცია, რაც მათ სამომხმარებლო თვისებებს ამაღლებს.

საკვები პროდუქციის მოცულობების ზრდის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს საკვების გენმოდიფიცირებული წყაროების გამოყენება სათანადო ბიო-და კვებითი უსაფრთხოების დაცვით. თუმცა ბრინჯსა და მარცვლოვან კულტურებს მსოფლიოში 400 მლნ ჰა ფართობი უკავიათ, ჩინეთში მავნებლებთან მდგრადი ბრინჯისა, ხოლო ავსტრალიაში ჰერბიციდებთან და მავნებლებთან მდგრადი ხორბლის ტრანსგენური სახეები უკვე გამოცდის პროცესში არიან.

ბიოტექნოლოგიის განვითარების სხვა პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს ფოროვანი პოლიმერების შიგნით მცენარეული უჯრედების იმობილიზაცია, რაც აუცილებელი შენაერთების ბიოსინთეზისა და მცენარეული კულტურების უჯრედების ტექნოლოგიის განვითარების შესაძლებლობას განაპირობებს. მათი ფართო ბიოლოგიური მრავალფეროვნება არეგულირებს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობაში ცილების, ამინომჟავების, ფერმენტების, ჰორმონების გამოყენების მოსაწვდომობას.

თუმცა, მოსახლეობის ცხოვრების დონე დამოკიდებულია მეცნიერებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე.

ნედლეულის მრავალფეროვნება და მისგან დამზადებული საკვები პროდუქცია განაპირობებს პრინციპიალურად ახალი ტექნოლოგიების, მანქანა-დანადგარების გამოყენების აუცილებლობას.

აგრეთვე უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნაც წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, სამრეწველო დაბინძურებისგან ჰაერისა და წყლის დაცვის, და შესაბამისად სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ძირითად გზას.

მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებებისა და ტექნოლოგიების შერჩევას შესაბამისი კრიტიკული ტექნოლოგიების კონკრეტიზაციის გარეშე პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია.

ექსპერტების მიერ რუსეთის აგროსაწარმოო კომპლექსში გამოვლენილია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შემდეგი ყველაზე არსებითი კრიტიკული ტექნოლოგიები:

- უჯრედის ბიოპოლიმერები;
- გენეტიკური ბანკები, გენომები;
- ბიოტექნოლოგიები ბიოინჟინერიის ფუძეზე;
- იმუნოკორექციის ტექნოლოგიები;
- ექსტრემალურ პირობებში ადამიანის დაცვისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემები;
- ბიოთავსებადი მასალები;
- ცილოვანი პრეპარატები მოცემული ფუნქციონალური თვისებებით;
- მცენარეთა და ცხოველთა ტრანსგენური ფორმები;
- მცენარეთა და ცხოველთა დაცვისა და კვების ბიოლოგიური საშუალებები;
- ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნოლოგიები;
- პროდუქციის შენახვის ტექნოლოგიები;
- სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამამუშავების ბიოტექნოლოგიური პროცესები.

ამ ტექნოლოგიების რეალიზაცია შემდეგი სქემის მიხედვით:

გარემო არე→სასოფლო სამეურნეო ნედლეული→სასურსათო პროდუქცია→ ადამიანის ჯანმრთელობა, - მოსახლეობის ხარისხიანი და უსაფრთხო საკვები პროდუქციით უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების საშუალებას იძლევა.

### **III. დასკვნა**

ამგვარად, XXI საუკუნე არის მაღალი კვებითი ღირებულებისა და გამიზნული მოქმედების ფუნქციონალური თვისებებით დაბალანსებული მაღალხარისხიანი უსაფრთხო პროდუქციის წარმოების კრიტიკული ტექნოლოგიების საუკუნე.

ლიტერატურა:

1. В.М.Позняковский, Экспертиза мяса и мясопродуктов. Качество и безопасность. Изд. Новосибирского Университета, 2009.
2. И.Э.Цапилова, Л.А.Маюрникова, В.М.Позняковский. Экспертиза продуктов переработки плодов и овощей. Качество и безопасность. Изд. Новосибирского Университета, 2009.
3. Л.В.Донченко, В.Д. Надыка. Безопасность пищевой продукции. М:Делипринт, 2007, 538 с.
4. Robert Paarlberg. Food politics everyone needs to know. Oxford University press, New – York, 2010, 325 p.

*Мзия Цулукидзе, Доктор техники  
Давид Гамезардашвили, Доктор химии*

**XXI век – синтез знаний технологий в области питания**

**Резюме**

В статье изложены: Потребность в новой стратегии добывания пищи на нынешнем этапе развития; Пути ликвидации дефицита белков; Новые пути производства продовольствия; нетрадиционные источники питания: «искусственная пища», генмодифицированные источники пищи, создание безотходных технологий-как одним из основных путей решения проблемы рационального использования природных ресурсов, охраны воздуха и воды от промышленных загрязнений и следовательно, безопасности пищевого сырья и продуктов питания; В приоритетном направлении развития науки и техники – в агропромышленном комплексе – выявленные экспертами наиболее существенные критические технологии; Схема реализации технологий.

**Ключевые слова:** Новая стратегия, ликвидация дефицита белков , «искусственная пища», критические технологии.

## გერონტოლოგიური კვება

მზია წულუკიძე, ტენიკის დოქტორი  
დავით გამეზარდაშვილი, ქიმიის დოქტორი



**რეზიუმე.** სტატიაში განხილულია: გერონტოლოგთა კონგრესის მიერ აღიარებული ადამიანთა ასაკობრივი ჯგუფების კლასიფიკაცია; ადამიანთა ჯანმრთელი, აქტიური ცხოვრების გახანგრძლივებისათვის რაციონალური გერონტოლოგიური კვების ორგანიზაცია; განვითარების ინდივიდუალური სიჩქარეების გამო ადამიანთა პოპულაციის დაბერების ჰეტეროქრონულობის გათვალისწინებით ჯგუფებად დაყოფა სიბერის ასაკში; ხანდაზმული ადამიანების სადღეღამისო მოთხოვნილება ცილებზე, ცხიმებზე, ნახშირწყლებზე; საკვები ნივთიერებების მოხმარების რეკომენდირებული ზოგადი ნორმები; სხვადასხვა საკვები ნივთიერებების დეფიციტის ლიკვიდაციის მიზნით საკვებში ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენება.

**საკვანძო სიტყვები:** ჯგუფებად დაყოფა, გენები, რაციონალური კვების ორგანიზაცია, მოხმარების სადღეღამისო ნორმები.

### I. შესავალი

გერონტოლოგთა კონგრესის მიერ აღიარებული ასაკობრივი კლასიფიკაციის შესაბამისად დედამიწის 50 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა შემდეგ ჯგუფებად იყოფა: 50–60 წელი – მოწიფული ასაკი, 61–74 – ხანდაზმული ასაკი, 75–89 მოხუცი, 90 წლის და მეტი – უხუცესი (მხცოვანი).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზებით განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის 65 წელზე უფროსი ასაკის პირების წილი 10–14%-ს შეადგენს, რომელიც 2020 წლისათვის ორჯერ მოიმატებს. კვება 52–55%-ით წარმოადგენს სიცოცხლის გახანგრძლივების დომინანტურ ფაქტორს.

შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელი, აქტიური ცხოვრების გახანგრძლივებისათვის, გარდაუვალია რაციონალური გერონტოლოგიური კვების ორგანიზაცია.

გერონტოლოგიური კვება – არის მოწიფული, ხანდაზმული და მოხუცებულთა ასაკის კვება.

კეთილხარისხოვანი და უსაფრთხო გერონტოლოგიური კვების პრობლემა დღეისათვის მეტად აქტუალურია მთელს მსოფლიოში.

### II. ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ ორგანიზმის ონტოგენეტიკური განვითარება ფუნქციონალურად დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან. მეცნიერთა აზრით არსებობენ დაბერების პროცესებზე პასუხისმგებელი გენები. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ადამიანთა ჯგუფები, როლმელთაც სიბერის ნიშნები ნაადრევად უვლინდებათ (თმის ცვენა, ნაადრევი ნაოჭები, კანის ცვალებადობა, „მოხუცებულთა ხმა“). დაჩქარებული სიბერე დასტურდება უჯრედების დონეზეც – ასეთი ხალხის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-40 წელია.

ადნიშნულის გათვალისწინებით, გერონტოლოგიური კვების პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ დაბერების პროცესის მარეგულირებელი, გენების მუშაობის დამცავი, ამ გენების მუტაციის რისკის შემაფერხებელი თვისებები.

განვითარების ინდივიდუალური სიჩქარეების გამო ადამიანთა პოპულაციის დაბერების ჰეტეროქრონულობა სიბერის ასაკში ხალხს ორ ჯგუფად ყოფს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბიოლოგიური ასაკით და ასაკობრივი პათოლოგიის გამოვლინებით.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთა ორგანიზმში შეინიშნება დაბერების ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც არ არის გართულებული თანმდევი დაავადებებით, ანუ ხანდაზმულები (60–74 წლის) და მოხუცები (75–90წ) რომლებიც პრაქტიკულად ჯანმრთელი ხალხია.

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან ადამიანები, რომელთათვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა დაავადების გართულებასთან დაკავშირებული სიბერის ნაადრევი დადგომა (შაქრიანი დიაბეტი, ათეროსკლეროზი, ოსტეოპოროზი და სხვა).

ამგვარად, გეროდიეტური კვების პროდუქტების შერჩევას აუცილებელია ორგანიზმის დაბერებისას ფიზიოლოგიური პროცესების თავისებურებების გათვალისწინება.

ცნობილია, რომ დაბერების პროცესში ცილების თვითგანახლების ინტენსიურობა ქვეითდება, რაც თეორიულად მათზე მოთხოვნის შემცირებას განსაზღვრავს. თუმცა ცილების არასაკმარისი მიღება ნივთიერებათა ცვლის ასაკობრივ ცვლილებებს ამძაფრებს უფრო მეტად, ვიდრე ახალგაზრდა ასაკში, რასაც ორგანიზმში ცილოვანი დეფიციტის გამოვლენამდე მივყავართ.

ხანდაზმული ქალისა და მამაკაცის სადღეღამისო მოთხოვნილება ცილებზე საშუალოდ 65–70 გ. შეადგენს, მოხუცებულობის ასაკისათვის – შესაბამისად 57–60გ. ამასთანავე ცხოველური წარმოშობის ცილები მათი საერთო რაოდენობის 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს. უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს ნაკლებციმიან რძისა და თევზის პროდუქტებს, აგრეთვე სხვა ზღვის პროდუქტებს. ამავე დროს იწვევს რა თირკმელებისა და ღვიძლის არასასურველ დატვირთვას, მოხუცებულ ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს ცილების ჭარბი მოხმარება. ხანდაზმული და მოხუცებული ასაკის ადამიანებისათვის კვების ზოგადი ენერგოტევადობის შემცირების აუცილებლობის გამო ცხიმებზე მოთხოვნილება დღე-ღამეში 76–85 გ-ს შეადგენს.

ორგანიზმის დაბერებისას იცვლება აგრეთვე ნახშირწყლებზე სადღეღამისო მოთხოვნილებაც. შეთვისებადი ნახშირწყლების რაოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო შეუთავსებადისა გაიზარდოს. ხანდაზმულ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პექტინური ნივთიერებანი, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის ნორმალიზაციის საშუალებას წარმოადგენენ.

ნახშირწყლების მოხმარების რეკომენდირებული ზოგადი სადღეღამისო რაოდენობა ხანდაზმული და მოხუცი ასაკის ადამიანებისათვის მოყვანილია ცხრილში.

ადამიანთა ასაკობრივი ჯგუფი	ნახშირწყლების რაოდენობა, გ
მამაკაცები 60 -74 წ	335
ქალები 60 -74 წ	305
მამაკაცები 75 წლის და მეტი	300
ქალები 75 წლის და მეტი	275

სიბერისას არც თუ იშვიათად შეინიშნება რკინადეფიციტური ანემიები. ცხოველური ცილებისა და კალციუმის არასაკმარისი რაოდენობით მოხმარების ფონზე მცირდება ძვლის ტვინისა და ერთროციტული რკინის მარაგი, იზრდება სიბერის ოსტეოპოროზის სიხშირე. ასაკთან ერთად, განსაკუთრებით 70 წლის შემდეგ, მადის, კუნთების ძალისა და ენერგეტიკული მოთხოვნების ცვლილებასთან ერთად შეინიშნება სხეულის მასის კლება, რაც ხანდაზმული და სიბერის ასაკის ხალხისთვის კვების რაციონში ადექვატური საკვები ნივთიერებებისა და ენერჯის კონტროლის აუცილებლობას განსაზღვრავს. გარდა ამისა, ჟანგვა-აღდგენითი პროცესების დაქვეითებასთან დაკავშირებით ორგანიზმში აუცილებელია ასკორბინის მჟავის გაზრდილი რაოდენობა 70-80 მგ. დღე-ღამეში.

### **III. დასკვნა**

დღეისათვის, მიკრონუტრიენტების დეფიციტის ლიკვიდაციის მიზნით ხანდაზმული მოსახლეობის კვების სტრუქტურის გაუმჯობესების მისაღწევად მეტად ეფექტური გზაა საკვებში ბიოლოგიურად აქტიური დანამატების და განსაკუთრებით ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების გამოყენება.

ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების რაციონალური თანაფარდობა ხანდაზმული, მოხუცებული და მხცოვანი ასაკის ადამიანებისათვის არის 1:0,8:3,5, ხოლო საშუალო ასაკის ადამიანებისათვის - 1:1:4.

### **ლიტერატურა:**

1. Касьянов Г.И., Запорожский А.А., Юдина С.В. Технология продуктов питания людей пожилого и преклонного возраста. - Ростов-на Дону: изд. центр «Март», 2001-192с.
2. Кальбом Ч., Кин М. Формула жизни. Соки = здоровье + долголетие. – М.: ЮНВЕС, 1995-352 с.
3. Донченко Л.В., Надыка В.Д. Безопасность пищевой продукции. М.: «Дели принт», 2007, 538 с.

*Мзия Цулукидзе, Доктор техники  
Давიდ Гамезარдашвили, Доктор химии*

### **Геронтологическое питание**

### **РЕЗЮМЕ**

В статье рассмотрены: Классификация возрастных групп населения, одобренная конгрессом геронтологов; Необходимость организации рационального геронтологического питания для увеличения продолжительности здоровой активной жизни человека; Разделение людей в старческом возрасте на группы по гетерохронности старения человеческой популяции из-за индивидуальных скоростей развития; Рекомендуемые общие суточные нормы потребления пищевых веществ; Применение биологически активных добавок в целях ликвидации дефицита пищевых веществ.

**Ключевые слова:** *Разделение по группам, гены, патология, организация рационального питания, точное потребление.*



# არქიტექტურა ARCHITECTURE

კულტურული მემკვიდრეობის კვლევის დაცვის და მისი მემკვიდრეობის  
ტერიტორიის არქიტექტურული განვითარების თავისებურების კვლევა  
იყალბოს აკადემიის მკვლევარის მკვლევარის

ნინო იმნაძე, პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიორგი კვიციანი, დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**რეზიუმე.** წინამდებარე ნაშრომის მიზანია არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის იყალბოს აკადემიის მიმდებარე განხორციელებული ახალი ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის კვლევა. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ძეგლის მიმდებარე აღმოცენებული ახალმა არქიტექტურულმა ჩარევამ ხელი შეუწყო ძეგლის სრულფასოვან აღქმას. მსგავსი დამოკიდებულება კონტექსტთან წარმოადგენს პროექტის მთავარ აზრს, რომელიც არქიტექტორს აძლევს შემოქმედებით თავიუფლებას რათა წარმოაჩინოს ადგილის ფარული თუ ცხადი ღირსებები.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა, რეგიონალიზმი, ჰარმონია, არქიტექტურა, კონტექსტი.

საქართველოში ტურისტული ინდუსტრია ხასიათდება მრავალფეროვნებით, რომელიც მიმართულია ადგილის სპეციფიკის გამოვლენაზე და ახალი ტურისტული მარშრუტების დაგეგმვაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს ყველანაირი პირობა ტურიზმის განვითარებისთვის, არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. აღნიშნული ავლენს პრობლემას და განსაზღვრავს თემის აქტუალობას, რომელშიც არქიტექტურა არის ის პრიორიტეტული მიმართულება, რომელზედაც დამოკიდებულია კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა: თანამედროვე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა, რათა ხაზი გაესვას ადგილის თვითმყოფადობას და მომხიბვლელობას; ღირებული არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვა; ახალი არქიტექტურის შექმნა, ისე, რომ არ დაირღვეს ვიზუალური აღქმის ჰარმონიულობა

ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და ლანდშაფტურ გარემოს შორის;

წინამდებარე ნაშრომის მიზანია კახეთის რეგიონში განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურის არქიტექტურის კვლევა. „კახეთის ისტორიული ძეგლების ტერიტორიული კონცენტრაცია, სახელმძღვანელო მეღვინეობის კერები, ბუნებრივი რესურსები, კულტურულ - ისტორიული მემკვიდრეობა და გეოგრაფიული მდებარეობა რეგიონში ტურიზმის განვითარების უდიდეს პოტენციალს განაპირობებს, შესაბამისად, ტურიზმს დიდწილად შეუწყობს ხელს მომსახურესფეროს განვითარება“ - აღნიშნულია 2014–2021 წლის კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში (გვ. 12; <http://gov.ge/> ) ამდენად კახეთის რეგიონში შესაძლებელია განვითარდეს ტურიზმის სხვადასხვა სფეროები მათ შორის კულტურული ტურიზმი, რომელიც გულისხმობს კულტურული - მემკვიდრეობის ძეგლების დათვალიერებას. კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში მოცემულია ტურიზმის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების (SWOT ) ანალიზი, რომელშიც სწორედ სუსტ მხარედ მიჩნეულია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებულობა.

ჯერ კიდევ 2011 წელს გადაწყდა კახეთის რეგიონში, იყალთოს სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ თანამედროვე ტურისტულ - სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის შექმნა.



იყალთოს სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ქალაქ თელავიდან დასავლეთით 7-8 კმ-ზე, სოფელ იყალთოს განაპირას. იყალთოს მონასტერი დაარსა ერთ-ერთმა ასურელმა განმანათლებელმა მამა ზენონმა VI საუკუნეში. კომპლექსიდან შემორჩენილია სამი ეკლესია: VIII-IX საუკუნეების ფერისცვალების ეკლესია «ღვთაება», რომელიც აშენებულია ძველი ეკლესიის ადგილზე, სადაც დაკრძალულია გადმოსვენებული ზენონი. იგი კახეთის ეკლესიებს შორის ერთ-ერთი ძველი გუმბათიანი ტაძარია. გეგმაზე აქვს ტოლმკლავა ჯვრის ფორმა. ეკლესიის მხატვრულად გაფორმებული ერთადერთი ნაწილი გუმბათის ყელია. მის სარკმლებს შემოვლებული აქვს დეკორატიული თაღები ფერადოვანი რელიეფური რომბებით. ტაძარს სამივე მხრიდან აქვს შესასვლელი თაღოვანი კარიბჭეებით. დასავლეთი კარიბჭის მეორე სართულზე მონასტრის წინამძღვრის ოთახია. მის ზევით კი დაშენებული სამრეკლო გვიანდელია (XIX ს). სამების მცირე ეკლესიაში, საფუძვლიანი გადაკეთების მიუხედავად, შემორჩენილია VI

საუკუნის გუმბათოვანი ტაძრის ნაწილები. ტაძრის ქვეშ საძვალეა განთავსებული, ხოლო ტაძრის შესასვლელის თავზე ჩასმულია რელიეფური ფილა წმინდა სამების გამოსახულებით. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე კი აგებულია ყველაწმინდის ერთნავიანი ეკლესია. ზემოთ აღნიშნული ეკლესიები მრავალჯერაა რესტავრირებული და ამჯერად მათი თავდაპირველი სახე ძლიერ შეცვლილია. სამივე ეკლესია, ისევე როგორც კახეთის ტაძართა უმრავლესობა, თეთრი ფერისაა და მწვანე მთების ფონზე შორიდანვე იპყრობს მნახველთა ყურადღებას. სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა შორის შემორჩენილია აკადემიისა და სატრაპეზოს შენობები.



გადმოცემის თანახმად, აღორძინების ეპოქაში გამოჩენილმა ქართველმა განმანათლებელმა, ფილოსოფოსმა და დავით აღმაშენებლის მასწავლებელმა არსენ იყალთოელმა XI-XII საუკუნეებში მონასტერთან დაარსა აკადემია, რომელიც გეგმით წაგრძელებული შენობაა და რიყის ქვითაა ნაშენი. ის იყო კახელი თავადის იზად ვაჩნაძის ვაჟი. მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა არა მარტო კახეთში, არამედ მთლიან საქართველოში. პირველი სართული ორი ოთახისგან შედგებოდა, რომლის ერთ-ერთი ოთახი სამეცნიერო შეკრებებისთვის იყო განკუთვნილი. იყალთოს აკადემიამ დიდხანს იარსება, მისი როლი დიდია საქართველოს საგანმანათლებლო საქმეში. ლეგენდის თანახმად აქვე სწავლობდა ქართული პოეზიის მამა - შოთა რუსთაველი.

საქართველოს აკადემიებში სილაბუსს შეადგენდა: ტრივიუმი (სამეული) - (გრამატიკის, რიტორიკის და დიალექტიკის) და აკვარიუმი (ოთხეული) - (მუსიკის, არითმეტიკის, გეომეტრიის და ასტრონომიის) ციკლები. აგრეთვე ისწავლებოდა თეოლოგია, ფილოსოფია და საეკლესიო გალობა. აღნიშნული თეორიული კურსების გარდა მოსწავლეები სწავლობდნენ ლითონის დამუშავებას, კერამიკულ წარმოებას, მევენახეობა-მეღვინეობას, ფარმაცოლოგიას და სხვას. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ აკადემიის შენობის ირგვლივ არსებობდა მრავალი სახელოსნო, მარანი, სამჭედლო, სამეურნეო ნაგებობანი და სხვა მრავალი სათავსოები. 1616 წელს შაჰ-აბასმა იყალთოს აკადემია გადაწვა და მან თავისი არსებობა შეწყვიტა. იყალთოს მონასტერი თავად მაყაშვილთა სამვალეს წარმოადგენდა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემწე მონასტრისა ყოფილა იოანე ომანის ძე მაყაშვილი. ბოდბელი მიტროპოლიტი და ძმისწული მისი - გაბრიელ ბერი, რომელიც XIX საუკუნეში იყალთოს მონასტრის წინამძღვარი იყო. XX საუკუნის დასაწყისში, ცნობილ ქველმოქმედს დიმიტრი (ტიტიკო) ივანეს ძე მაყაშვილს განუახლება და დაუმშვენებია სამივე ტაძარი. 1921 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს განმეორებით ანექსიის შემდეგ, იყალთოს მონასტერი დაკეტეს და აიკრძალა ღვთისმსახურება. 1965 წელს ე.წ. იყალთოს “სახალხო უნივერსიტეტის” ინიციატივით ღვთაების მონასტერში მუზეუმი გახსნეს. საეკლესიო ნივთებსა და წიგნებთან ერთად დაკარგულია მთავარი ტაძრის დიდი ზარიც. 1991 წელს, კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდგომ, იყალთოს მონასტრის ღვთაების და სამების ტაძრებში ღვთისმსახურება აღსდგა. 2007-2009 წლებში იყალთოს აკადემიას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები. ხოლო 2011 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იყალთოს აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილიყო თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურა. პროექტი შეასრულა არქიტექტურულმა კომპანია „გოდაკო“ არქიტექტორ გ. კვიციანიშვილის ხელმძღვანელობით. იყალთოს აკადემიის გარშემო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისთვის დაპროექტდა ავტომობილების სადგომი და მცირე მოცულობის ტურისტულ-საინფორმაციო ობიექტი. პროექტს წინ უძღვოდა ადგილის ისტორიული კვლევა და დასახული იქნა რამოდენიმე ამოცანა: ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრასტრუქტურისთვის ადგილის შერჩევისას ძეგლის პირველადობის დაცვა, ანუ ინფრასტრუქტურა ისე უნდა განთავსდეს, რომ ხელს არ უშლიდეს ძეგლის სრულფასოვან აღქმას. ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აკადემიის შესასვლელის მიმდებარედ არსებული ავტოსადგომის ტერიტორია დაწეულიყო 3,5 მეტრით, აკადემიასთან არსებული მისასვლელი გზის ნიშნულის შენარჩუნებით. ამ ქმედებით აღდგენილ იქნა ისტორიული სამართლიანობა, რადგან არსებული ავტოსადგომის ბაქანს, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში იქნა გაშენებული, შეეწირა წმინდა ნინოს სახელობის პატარა საყდარი. ასევე კომპლექსის ბორცვზე განლაგების სასურველობა. ამ ქმედებით მოხდა წმინდა ნინოს საყდარის გამოჩენა და მისი ისტორიული ღირებულების აღდგენა. ამდენად, ავტოსადგომის სიბრტყის დაწევამ ავტორებს მისცა საშუალება იყალთოს სამონასტრო კომპლექსი ვიზუალურად სრულფასოვნად წარმოჩენილიყო. გარდა ამისა მიწის დონის დაწევით, შესაძლებელი გახდა ავტოსადგომის სიბრტყეში აგებულიყო მცირე ზომის ნაგებობა ინტეგრირებული სამუზეუმო სივრცით და ტექნიკური დანიშნულების სათავსოებით.

წაგრძელებული სწორკუთხა მოცულობა, რომლის გადახურვა წარმოადგენს ტერასას, საიდანაც იშლება ხედები კავკასიონის მთებზე და ალავერდის მონასტერზე. ახალი ნაგებობის არქიტექტურა ლაკონური და მინიმალური არქიტექტურული ფორმებით გამოირჩევა, რამაც საშუალება მისცა ავტორებს ნაგებობა წარმოადგენილი ყოფილიყო როგორც ახალი საყრდენი კედლის გაგრძელება. ამდენად ნაგებობა არ დომინირებს ახლად წარმოქმნილ სივრცეში. რაც იყო ერთ ერთი აუცილებელი პირობა საპროექტო დავალების. ახალი შენობის და საყრდენი კედლის სამშენებლო მასალა ანალოგიურია იყალთოს აკადემიის მიმდებარე ნაგებობების მასალასთან, რომლის ავთენტურობა შენარჩუნებულია. ამდენად ახალი ნაგებობა ჩაეწერა იყალთოს აკადემიის არქიტექტურულ ანსამბლში. თუმცა ახლი ნაგებობა და საყრდენი კედელი, რამდენამდე მონუმენტურია. აღსანიშნავია, რომ პროექტით გათვალისწინებული იყო საყრდენი კედლების ნაწილობრივი შევსება მწვანე საფარით, რაც ახლად აგებული კედლების მონუმენტურობას შეარბილებდა, რომელიც სამწუხაროდ არ განხორციელდა.

ამრიგად, საქართველოში არსებული ყველაზე საინტერესო ღირშესანიშნაობები საჭიროებენ სათანადო დაცვას, იმისთვის, რომ დარჩნენ მეხსიერებაში. თუმცა, დაცვა არ გულისხმობს მათ მხოლოდ რესტავრაციას, არამედ ინტეგრაციას თანამედროვეობაში. გახდეს ხელმისაწვდომი და მიმზიდველი მნახველთათვის.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ იყალთოს აკადემიის მიმდებარედ დაპროექტებული ტურისტული ინფრასტრუქტურის არქიტექტურული გადაწყვეტა ხელს უწყობს მემკვიდრეობის დაცვას და ადგილობრივი არქიტექტურის წარმოჩენას. მსგავსი დამოკიდებულება კონტექსტთან წარმოადგენს ამ პროექტის მთავარ აზრს, რომელიც არქიტექტორს აძლევს შემოქმედებით თავიუფლებას რათა წარმოაჩინოს ადგილის ფარული თუ ცხადი ღირსებები.

*ნინო იმნაძე, პროფესორი  
გიორგი კვიციანიშვილი, დოქორანტი*

**Исследования особенности защиты памятника культурного наследия и развитие архитектуры его прилегающей территории на примере академии «Икалто»**

**Резюме**

Целью данной статьи является изучение архитектуры новой рекреационной инфраструктуры, который был реализован на прилегающей территории памятника культурного наследия академии “Икалто”. Анализ показал что новые архитектурные интервенции на прилегающей территории академии “Икалто” способствовал полному восприятию памятника. Архитектура реализованного проекта демонстрирует контекстуальные отношения к истории места. Контекст к истории места и отражение региональности в архитектуре является основной идеей проекта что дает автором проекта творческую свободу и выявить скрытые и очевидные особенности места.

**ключевые слова:** туризм, культурное наследия, контекст, гармония, архитектура, регионализм

*Nino Imnadze, Professor  
Doctoral student G. Kvitsinashvili*

Research the features of protection cultural heritage and develop architecture of the surround territory on the example of Ikalto academy

#### Summary

The purpose of this article is research the architecture of the new recreation infrastructure, which was implemented on the adjoining territory of the cultural heritage monument Ikalto. Analysis has shown that new architectural interventions to the area surrounding the monument have contributed to the perfection of the monument perception. The architecture of the realized project shows the contextual relation to the history of place. Context to the history of the place and reflection of regional architecture is the main idea of this project which allows the author of this project thinking creativity for identifies hidden and explicit features of the place.

**თანამედროვე მიღგომეპი საკულტო აკჰიტექტურაში –  
ახალი მეჩეთი ქალაქ დოჰაში**

*ვანდა მუჯირი, ასოცირებული პროფესორი,  
არქიტექტურის დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



**რეზიუმე.** ქალაქ დოჰაში ახალი მეჩეთის თანამედროვე არქიტექტურა გვთავაზობს ალტერნატივას, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე შემოქმედებითი და კრეატიული დიზაინისა და თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიების მიღწევა, სადაც ისლამურ სივრცეს შეუძლია იყოს თანამედროვე, პროგრესული და ინკლუზიური.

**საკვანძო სიტყვები:** მეჩეთი, კატარი, დოჰა, არქიტექტურა, ინოვაცია.

**I. შესავალი**

ინოვაციები, პროფესიონალიზმი, ტექნიკური პოტენციალი, ძლიერი კონცეფცია, საინტერესო ხედვა და მისია - ეს არის თანამედროვე არქიტექტურის განმასხვავებელი თავისებურებანი. სწორედ ყველა ეს თვისება ახასიათებს ახალ მეჩეთს დოჰაში, კატარში, პატარა არაბულ ქვეყანაში, რომელიც ღიაა სიახლისათვის და პროგრესისთვის, სადაც არსებობს კატარის კულტურის ფონდი, რომლის მთავარი მიზანია ცოდნისა და განათლების დანერგვა, კულტურული დონის ამაღლება საზოგადოებაში და ახალი გამოწვევების ღირსეულად მიღება.

**II. ძირითადი ნაწილი**

ახალი მეჩეთი დოჰაში 2015 წელს საზეიმოდ გაიხსნა და მაშინვე იქცა ქალაქის უნიკალურ და განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობად. ის აერთიანებს თავის თავში მეჩეთს და კატარის ჰამად



ბინ ხალიფის უნივერსიტეტის კოლეჯის (KFIS), ისლამის კვლევების ფაკულტეტს, რომელიც არის კატარის ფონდის (Katara Foundation) წევრი. შენობა მდებარეობს ქალაქის საგანმანათლებლო კამპუსში და დაპროექტებულია Mangera Yvars Architects-ის მიერ (ალი მანგერასა და ადა ივარეს ბრავო).

2015 წლის 4-6 ნოემბერს სინგაპურში, არქიტექტურის მსოფლიო ფესტივალზე (WAF) შენობამ გაიმარჯვა კატეგორიაში „რელიგია - დასრულებული შენობები“. მან მოიპოვა საყოველთაო აღიარება არქიტექტურული ინოვაციებისა და ორიგინალობისთვის. ჟიურის შეფასებით, ეს არის კულტურული გარღვევა,



სადაც დამკვეთის და არქიტექტორის ერთობლივი ძალისხმევით შედეგად შეიქმნა განსაკუთრებული შენობა, რომელიც შევიდა მსოფლიოს საუკეთესო შენობების სიაში.

ახალი მეჩეთი დოჰაში უფრო მეტია, ვიდრე შემოქმედებითი და კრეატიული დიზაინისა და თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიების მიღწევა, ის აერთიანებს ისლამის კვლევებსა და ღვთისმსახურებას. შენობა ასახავს QF-ის ხედვასა და მისიას, რომელიც დაფუძნებულია პროგრესული საზოგადოების შენების იდეაზე, სადაც კატარის კულტურა და მისი ისლამური და არაბული მემკვიდრეობა არის დაფასებული, შენარჩუნებული და დახვეწილი.

ეს შენობა არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მედრესეს ტრადიციული მოდელის თანამედროვედ ინტერპრეტირება, სადაც ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს წარსული გამოცდილება და თანამედროვე აზროვნება.



მეჩეთი ეყრდნობა ხუთ მასიურ კოლონას, რომელიც ისლამის ხუთ ბურჯს განასახიერებს და რომელზეც დატანილია ყურანის ხუთი ლექსი - ჰაჯი, მარხვა, ქველმოქმედება, ლოცვა და რწმენა. მეჩეთი განლაგებულია შენობის სამხრეთ ნაწილში, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა და ფაკულტეტის ოფისები კი შენობის შუაში, ხოლო დასავლეთიდან 90 მეტრის სიმაღლის მინარეთები აღმართულია ზეცისკენ მექის მიმართულებით.

ორმაგი ლენტები, რომლებიც ერთმანეთში იხლართება და ქმნიან შიდა სივრცის სტრუქტურას, ცოდნისა და სინათლის სიმბოლოს წარმოადგენენ. ეს იდეა გეგმაში გამოხატულია დაუსრულებელი სპირალის სახით, რაც ასევე ასახება მეჩეთისა და ფაკულტეტის შემაერთებელ გზებში.

შენობის კონცეფცია ემსახურება მუსულმანური განათლების ნეგატიური დამღის საპირწონედ სინათლისა და ცოდნის პროგრესული იდეის შემოტანას. ამასთან ერთად, პროექტი ითვალისწინებს სრულ გენდერულ თანასწორობას: იგი გათვლილია ქალებისა და მამაკაცების ერთობლივ სწავლებაზე სივრცეებში, რომლებიც თავისუფალია ყოველგვარი იერარქიისგან და აძლევს თანაბარ შესაძლებლობებს როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს.



მეჩეთის მთავარი სამლოცველო და ბაღები იტევენ 1800-ზე მეტ მორწმუნეს. შენობის გარე ფასადზე ამოტვიფრულია ლექსები ყურანიდან, ხოლო შიდა სივრცეში ასობით პატარა სარკმლიდან შემოდის მზის სხივები, რომლებიც მოციმციმე ვარსვლავიანი ცის ილუზიას ქმნიან. ინტერიერის გაფორმების მთავარი კონცეფციაა შუქ-ჩრდილის თამაში, ხოლო თეთრი და ნათელი ტონალობების პალიტრა სიწმინდისა და სიმშვიდის განსახიერებაა. მიმდებარე





ბაღებიდან შენობაში შეედინება წყლის 4 ნაკადი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს ღვინოს, რძეს, თაფლსა და წყალს.

ფაკულტეტი სიმბოლურად გამოყოფილია მეჩეთისგან კიბის ირგვლივ შემოხვეული ოთხდონიანი წყლის კასკადით, რომელიც წმინდა მეჩეთში მოხვედრამდე მოქმედებს, როგორც მედიტაციური სიმშვიდის სიმბოლო.

შენობის სტრუქტურა თავისთავად არის ძალიან მყარი. კრიპტე არის გრილი და

ჩრდილიანი, საკლასო ოთახებს აქვთ გრილი შიდა ეზოები, კერამიკის საფარი ამცირებს მზის მცხუნვარებას და ამავდროულად უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. დაშენების ორფაზიანი ფასადი იცვლის ფორმას შენობის გარშემო და არბილებს მზის რადიაციას. ისლამური ბაღი ქმნის მიკროკლიმატს, რომლის ხარჯზეც შესაძლებელი ხდება სასწავლო პროცესის შენობის გარეთ წარმოება წელიწადში თითქმის ხუთი თვის განმავლობაში. ადგილობრივი მცენარეები საჭიროებენ მცირე ოდენობის წყალს, რომლითაც მათ ამარაგებს მეჩეთში შემოსული ოთხი წყარო.



KFIS მალევე გახდა ცენტრი არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ მოიზიდა ფართო საზოგადოებაც, რამაც შესაძლებლობა მისცა შენობას დაემსხვრია კლასობრივი და სოციალური სტატუსი.

დოჰას მეჩეთი არის ნამდვილად ახალი კონცეფცია მლოცველებისთვის, განსაკუთრებით ისეთ სპეციფიურ რეგიონში, როგორიცაა არაბული ისლამური სამყარო. ის გახდა შთაგონების წყარო მსგავსი პროექტებისათვის დუბაიში და აღმოსავლეთის სხვა წარმატებულ ქალაქში. ამ პრობლემატურ სამყაროში, KFIS გვთავაზობს ალტერნატივას, სადაც ისლამურ სივრცესაც შეუძლია იყოს თანამედროვე, პროგრესული და ინკლუზიური.

*Ванда Муджири, доктор архитектуры,  
ассоциированный профессор  
Грузинского Технического Университета*

**Современный Подход к Культурной Архитектуре –  
Новая Мечеть в Городе Доха**

**Резюме**

Архитектура здания Новой Мечети в городе Доха, представляет собой нечто большее, чем результат творческого, креативного дизайна и современных технологий строительства и сооружений, это пример того, что исламское пространство может быть современным, прогрессивным и всеобъемлющим.

*Vanda Mujiri, Architecture PHD, Professor  
Georgian Technical University*

**Modern Approach to the Cult Architecture - New Mosque in the City of Doha**

**Summary**

Architecture of the New Mosque in Doha represents much more than the result of imaginative, creative design and state-of-the-art construction techniques and facilities, it demonstrates, that Islamic space can be contemporary, progressive and inclusive.

## ოსლამუჰი ხელოვნების მუზეუმი დოკაში

ვანდა მუჯირი, ასოცირებული პროფესორი,  
არქიტექტურის დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



**რეზიუმე.** ისლამური ხელოვნების მუზეუმი დოკაში არა მხოლოდ გარღვევაა სამუზეუმო არქიტექტურაში, არამედ კატარის კულტურული განვითარების კატალიზატორიც. ის იქცა განათლებისა და დიალოგის პლატფორმად და შეიტანა თავისი დიდი წვლილი მსოფლიო ხელოვნების თანამედროვე სამყაროში.

გამომდინარე მუზეუმის მისიიდან და მიზნებიდან, მის არქიტექტურაში მოხდა ისლამური კულტურისა და ტრადიციების სინთეზი თანამედროვე არქიტექტურულ ხედვასთან, დიზაინთან, ტექნოლოგიებსა და მასალებთან.

**საკვანძო სიტყვები :** დოკა, ისლამი, მუზეუმი, არქიტექტურა, დიზაინი, განათლება

### I. შესავალი

ისლამური ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს დოკაში, კატარის დედაქალაქში და არის არა მხოლოდ გარღვევა სამუზეუმო არქიტექტურაში, არამედ ამ ემირატის კულტურული განვითარების კატალიზატორიც. ის ოფიციალურად 2008 წლის 22 ნოემბერს გაიხსნა კატარის ემირის, შეიხ ჰამადის მიერ. მუზეუმის შენობა თავადაც ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს და არქიტექტურული ღირებულებითა თუ სანახაობრივი დატვირთვით არ ჩამოუვარდება მასში დაცულ კოლექციებს.

მუზეუმის მიზანია ოთხი კონტინენტის 7-19-ე საუკუნის ისლამური ხელოვნების შედევრების თავმოყრა, დემონსტრირება და შესწავლა. მუზეუმის გაღწევაში დაცულია ისლამური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები მსოფლიო კოლექციებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმში დაცულ ექსპონატებს კატართან არანაირი კავშირი არა აქვთ. ექსპონატების 90% ეკუთვნის ირანს, პაკისტანს, ინდოეთს, თურქეთს და საუდის არაბეთს. გამოფენა მიჩნეულია ისლამური არტეფაქტების ყველაზე სრულყოფილ კოლექციად მსოფლიოს მასშტაბით.



კატარის მუზეუმი აღიარებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული დანიშნულების ნაგებობა მთელს შუა აღმოსავლეთში და ლიდერობს თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურაში. მისი ავტორია ჩინური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი, პრიცკერის პრემიის ლაურეატი იო მინ პეი. პეის აღიარებით, ეს მუზეუმი არის ყველაზე რთული პროექტი მის ხანგრძლივ, ნაყოფიერ ბიოგრაფიაში, ისეთ პროექტებს შორის, როგორც არის ლუვრის პირამიდა პარიზში, ნაციონალური გალერეა ვაშინგტონში, კომპლექსი Raffles City სინგაპურში და ა.შ.

ამოცანის სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ პეის უნდა



მოეცვა ისლამური კულტურის მთელი მრავალფეროვნება, რისთვისაც მან იმოგზაურა ინდოეთში, ესპანეთში, სირიასა და ტუნისში. მან აღმოაჩინა, რომ კლიმატისა და კულტურის გავლენამ გამოიწვია ისლამური არქიტექტურის მრავალი ინტერპრეტაცია, თუმცა საბოლოოდ, მისი შთაგონების ძირითადი წყარო გახდა მე-13-ე საუკუნის, აჰმად იბნ ტულუნის მეჩეთი საბილი (განსაწმენდელი) კაიროში. „განსაწმენდლის“ ასკეტურობასა

და სიმარტივეში პეიმ, როგორც თავად ამბობს, იბოვა მკაცრი არქიტექტურული ფორმები, რომლებიც მზის შუქზე ცოცხლდება თავისი შუქ-ჩრდილებითა და ფერთა ტონალობებით. მისი აზრით „განსაწმენდლის“ არქიტექტურა გეომეტრიული პროგრესიის თითქმის კუბისტური გამოხატულებაა, რამაც გამოიწვია ისლამური დიზაინისა და არქიტექტურის საკვანძო ელემენტების აბსტრაქტული ხედვა.

არქიტექტორის მოთხოვნით მუზეუმი აშენდა სპარსეთის ყურეში, კატარის ტრადიციული ხის გემების ნავსადგურთან ახლოს, ხელოვნურ ნახევარკუნძულზე, რომელიც სპეციალურად ამ შენობისთვის შეიქმნა. ასეთი მდებარეობის შერჩევა განპირობებულია პეის სურვილით, რომ მუზეუმი მოწყვეტილი ყოფილიყო დოჰას სხვა განაშენიანებას. ნაგებობის აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადების გარშემო ხელოვნური პარკია გაშენებული, სამხრეთ ფასადის წინა მხარე კი ორი ხიდით უკავშირდება ნახევარკუნძულის ძირითად ნაწილს.

ქვიშისფერი უზარმაზარი ბლოკებით აგებული ისლამური ხელოვნების მუზეუმი პირდაპირ ზღვაშია აღმართული და 45000 კვადრატული მეტრის ფართობს იკავებს.

ტერიტორია, რომელზეც მუზეუმი განთავსებული აოცებს მნახველს თავისი გაფორმებით. მუზეუმის შესასვლელისკენ მივყავართ პალმების ფართო ალეას შადრევნებით, აუზებითა და ხელოვნური ჩანჩქერებით.



მუზეუმის მთავარი შენობა ხუთი სართულის, ცენტრალური გუმბათისა და მთავარი კოშკისგან შედგება, რომელიც ორ იარუსიან საგანმანათლებლო ფრთას ცენტრალური შიდა ეზოთი უკავშირდება.

შენობაში ცენტრალური ადგილი უზარმაზარ ატრიუმს უკავია, რომელიც აერთიანებს ინტერიერის ყველა გალერეას და დღის მანძილზე ბუნებრივი სინათლით ივსება.


ჭერი ბეტონის ჩამოსხმული კესონური გუმბათებისგან შედგება, რომლებიც პრეს ფორმებითაა მოპირკეთებული. ატრიუმის გუმბათის ზედა ნაწილში წრიული ფორმის რკინაბეტონის ოკულარია განლაგებული, რომელიც ირეკლავს სინათლეს. კონსტრუქციის



დადმასვლასთან ერთად იცვლება გუმბათის ფორმა - მისი პერიმეტრი რვაკუთხედიდან კვადრატად და საბ ოლოო ჯამში გარდაიქმნება ოთხ სამკუთხა საყრდენად კოლონებისათვის.


პეიმ გამოიყენა ქვიშისფერი კირქვა გარე ფასადებისთვის, რათა ხაზი გაესვა ფორმათა სიმკვეთრის და შუქჩრდილების ცვალებადობისთვის, სადაც უდაბნოს მზე დღის სხვადასხვა მონაკვეთში გადაწყვეტ როლს თამაშობს. ჩრდილოეთის მხარეს ხუთივე სართულის ფასადი შუშის გამჭვირვალე ფარდას წარმოადგენს, საიდანაც სპარსეთის ყურეზე საოცარი პანორამული ხედი იშლება. მუზეუმის დასავლეთ ფასადს კი, რომელიც წყლისკენაა მიმართული - ორი 30 მეტრი სიმაღლის ჩირაღდანი ამშვენებს, რომელიც ნავით მოსულ დამთვალიერებელს უნათებს გზას შესასვლელისკენ.

12 მეტრი დიამეტრის უზარმაზარი ჭადი მუზეუმის ინტერიერში მნიშვნელოვან აქცენტს ქმნის, ატრიუმის არქიტექტურის სრულფასოვან ელემენტს წარმოადგენს და ჰარმონიულად ერწყმის გალერეებისკენ მიმავალ კიბეს. ულამაზესი განათებული წრე დატვირთულია არაბული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი დეკორატიული სტილის ორნამენტით. ჭადი შექმნილია იო მინ პეის ესკიზების მიხედვით. მის შესაქმნელად კატარის ემირმა კონკურსიც კი გამოაცხადა, რომელშიც გერმანულმა ფირმამ „RSL Lichttechnik GmbH“ გაიმარჯვა. მის დამზადებას 13 თვე დასჭირდა.



შენობის კონსტრუქცია 2006 წელს თურქული კომპანიის „Baytur Construction“-მიერ არის აგებული, ინტერიერის საგალერეო სივრცეების დიზაინი „Wilmotte Associates“- ის ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო განათების პროექტი გადაწყვეტილია ამერიკული კომპანიის Fisher Marantz Stone Architectural Lighting Design (New York) მიერ.

პარიზიდან მოწვეულმა დიზაინერმა – ჟან-მიშელ უილმოტმა ინტერიერში მუქი ნაცრისფერი ქვა და ბრაზილიური ლამინირებული ხე გამოიყენა, რომელიც ისეა დამუშავებული, რომ მეტალს



დამსგავსებოდა და შეექმნა კონტრასტი მუზეუმის ნათელ ფერებში გადაწყვეტილ ქვის ფასადებთან.


სპეციალური ვიტრინები და განათების დიზაინიც „Wilmotte Associates“- ის ჯგუფს ეკუთვნის. გალერეები ჩაფიქრებულია, როგორც უზარმაზარი „შავი ყუთები“, ბუნებრივი განათების გარეშე, რათა ხაზი გაესვას ექსპონატების უტილიტარულ წარმომავლობას. შიდა სივრცეების გაფორმებისას დიზაინერი ისლამურ



არაბული გრაფიკისთვის დამახასიათებელ გეომეტრიულ ორნამენტებს იყენებს. მუზეუმში წარმოდგენილი ავეჯი ასევე შექმნილია პეის არქიტექტურული სტილის შთაგონებით. შენობაში გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები ძალიან ძვირფასია, თუმცა ინტერიერი გამოირჩევა ლაკონურობითა და თავშეკავებულობით.

ისლამური ხელოვნების მუზეუმში განათლებას ცენტრალურ ადგილი უკავია, რასაც ემსახურება მთავარი

შენობის აღმოსავლეთით განლაგებული საგანმანათლებლო ფრთა. იქ განთავსებულია სამკითხველო დარბაზი, სამუზეუმო ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, სახელოსნოები, ლაბორატორია, სასწავლო, ტექნიკური და სასაწყობე სათავსოები. სწორედ ამ სივრცეში ტარდება საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც ისლამური ხელოვნების ღრმა შეცნობას, განვითარებასა და აღიარებას ემსახურება.



მუზეუმი იქცა განათლებისა და დიალოგის პლატფორმად, მან შეიტანა თავისი დიდი წვლილი მსოფლიო ხელოვნების თანამედროვე სამყაროში.

*Vanda Mujiri, architecture PHD, professor  
Georgian Technical University*

### **Museum of Islamic Culture in the city of Doha Summary**

The Museum of Islamic Art in Doha is not only a breakthrough in museum architecture but also a catalyst for cultural development of Qatar. It has become a platform for education and dialogue and made a great contribution to the modern world of art.

Based on the museum's mission and objectives, in its architecture the Islamic culture and tradition has been synthesized with modern vision, design, technologies and materials.

**კეკელიძე, კობახიძე აკადემიკოსების სივრცის მხატვრული  
ობიექტების საფუძვლები**

*მაია დავითაია, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ირინა ზარიძე, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



**რეზიუმე.** სტატიაში საუბარია ხელოვნების ორი დარგის-არქიტექტურისა და კერამიკის სინთეზირების საკითხზე, რომელიც განაპირობებს არქიტექტურული სივრცის მხატვრულ ფორმირებას და წარმოადგენს მათ შინაარსობრივ ურთიერთკავშირს. ერთიანი ამოცანის გადაწყვეტაში ხელოვნებათა მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს მხატვრული საშუალებების რთული და მრავალმხრივი სისტემების წარმოქმნას, რითაც არქიტექტორებსა და მხატვრებს უხსნის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობებს. XX საუკუნის უახლესი ევროპული კულტურის კერამიკა როგორც დეკორატიული ასევე უტილიტარული ხელოვნების დარგი, დღესაც ითვლება უმნიშვნელოვანეს ფენომენად, და დღემდე არ დაუკარგავს თავისი ხარისხობრივი აქცენტი. განხილულია საქართველოში თიხისაგან გამომწვარი საშენი მასალის წარმოება და გამოყენება ძვ.წ.აღ. IV-III საუკუნეებიდან დღემდე.

**საკვანძო სიტყვები:** არქიტექტურული სივრცე, კერამიკა, სინთეზი, ტექნიკა, ტექნოლოგია.

**I. შესავალი**

საარსებო სივრცე, ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსების მართვისა და მათი რაციონალური (ესთეტიკური, მხატვრული) განკარგვის საშუალებით, ერის არსებობის, მისი განვითარების ერთ-ერთი პრინციპული წინაპირობაა. შემოქმედებითი პრაქტიკა აუცილებლობის ძალით განსაზღვრავს კონსტრუქციული სამუშაო პრინციპების უაღრესად კონკრეტულ ერთობას - ხელოვნებათა სინთეზს, რაც განუყოფლადაა დაკავშირებული გარემოსა და არქიტექტურული სივრცის მხატვრულ ფორმირებასთან; ხელოვნებათა სინთეზს, რომელიც არსებით და შინაარსობრივსინთეზსგულისხმობს. ხელოვნებათაშინაარსობრივიურთიერთდაკავშირება, მათი მეტაფიზიკური სინთეზირება მოგვცემს საშუალებას, სიმპტომატურად განვსაზღვროთ როგორც წარსულის პრობლემატური პროცესები, ასევე მომავლის ორიენტირები და თანამედროვეობის მოთხოვნები. არქიტექტურა სინთეტური დარგია და ტექნიკასა და ხელოვნებაში ცვლილება მასზე აუცილებლად აისახება.

ხელოვნების სინთეზის იდეა ისეთივე უძველესია, როგორც თავად ხელოვნება. ეს კულტურის გენეზისის საკმაოდ ვრცელი ისტორიაა, რომლის სათავეები ხელოვნების პირველად სინკრეტულ ბუნებაში დევს. ბუნებრივია, სინთეზი კი საკუთრივ ხელოვნების უმთავრესი „ენერგეტიკა“ ხდება.

ბევრი საუბარი არ არის საჭირო იმაზე, თუ როგორი დიდი სააზროვნო და ნათელი ემოციური შინაარსის არის ის იმპულსები, რომლებიც ხელოვნებას შემოაქვს ადამიანის ცხოვრება-

მოღვაწეობის სფეროში და განსაკუთრებულად აღმატებით ხარისხს აღწევს მაშინ, როდესაც საქმე ეხება არქიტექტურას, რაშიც უმველესი დროიდან ადამიანი ცდილობს კოსმიური კანონების შესაბამისად იმ ბუნებრივი წესრიგის შექმნას, რომელიც არსებითად და შინაარსობრივად გულისხმობს ღვთიურის, მაგიურის თუ სიმბოლურის სინთეზს, სადაც ყოფიერების შემეცნებისა და გაგების აღუწერელ და შეუსწავლელ მრავალსახეობას განვიცდით. ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა მეცნიერების, პოლიტიკურ შეხედულებათა, ესთეტიკის, სამართლისა და რელიგიის გვერდით. იგი ერთ-ერთი ფორმაა იმისა, თუ როგორ აისახება ყოფიერება ადამიანის ცნობიერებაში, რა სპეციფიკური წესით ცდილობს ადამიანი ამ გზით მიღებული ცნობიერების შინაარსის მოწესრიგებას, სინამდვილის ახსნას და მასზე ზემოქმედებას. ერის ფრომის გაგებით: „გონება უშუალოდ იხიბლება და ბუნებრივად მიილტვის ჭეშმარიტებისკენ, რომლის აღმოსაჩენად გონებას არანაირი ანალიტიკური ინსტრუმენტები და არავითარი მსჯელობა არ სჭირდება.“

დღევანდელი დღე მთელი დამაჯერებლობით გვიჩვენებს, რომ ურბანულ, ტექნიკით გაჯერებულ სამყაროში ხელოვნების როლი არ კლებულობს, არამედ იზრდება. ამიტომ როცა ხელოვანი გარემო ამოცანებიდან გამომდინარე ქმნის კომპოზიციას, მოჰყავს არქიტექტურულ რეალობასთან შესაბამისობაში, გაიაზრებს მოზაიკის რიტმულ, პლასტიკურ სტრუქტურას თუ რელიეფის ფუნქციას, ის ამით წყვეტს არა მხოლოდ თავის პროფესიონალურ ამოცანას, არამედ ასრულებს საზოგადოებრივ მისიას - ჰუმანურს ხდის ჩვენს გარე სამყაროს.

## **II. ძირითადი ნაწილი**

XX საუკუნის უახლეს ევროპულ კულტურაში კერამიკა როგორც დეკორატიული ასევე უტილიტარული ხელოვნების დარგი, დღესაც ითვლება უმნიშვნელოვანეს ფენომენად და დღემდე არ დაუკარგავს თავისი ხარისხობრივი აქცენტი. თანამედროვე მოვლენების გარდასახვა მასში ხდება ახალი კონცეფციით, ასევე დეკორატიული „დრამატურგის“ ახალ სახეში. ამ უკანასკნელში კი კოდირებულია თანამედროვე აზროვნების სტრუქტურა.

ერთიანი ამოცანის გადაწყვეტაში ხელოვნებათა მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს მხატვრული საშუალებების რთული და მრავალმხრივი სისტემების წარმოქმნას, რითაც არქიტექტორებსა და მხატვრებს უხსნის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსიური ურბანული განვითარების პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება არქიტექტურული სივრცის ორგანიზებაში დეკორატიული ხასიათის ნაწარმოების გამოყენება.

მონუმენტურ ხელოვნებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი ემოციური და სივრცული აქტივობა, გააჩნია მიზანშეწონილი განსაზღვრება; რაოდენობრივი ფაქტორის სიჭარბით იკარგება ხარისხი და ზემოქმედების ეფექტიანობა. დეკორატიული ხასიათის კომპოზიციები კი თანახმიერია თანამედროვე ნაგებობების მოცულობით-რიტმულ სტრუქტურებთან. მათი დახმარებით შესაძლებელია „ასპექტიზირებული“ არქიტექტურული სივრცის მხატვრულად გამდიდრება. გამდიდრება იმგვარი ნამუშევრებით, რომლებიც თითქოსდა ეძებენ კონტაქტს არქიტექტურასთან, უხვადაა არსებული დეკორატიული ხელოვნების მრავალი სახეობა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა კერამიკა.

მხატვრული კერამიკის კვლევის შედეგად წარმოიშვა აუცილებლობა არქიტექტურაში



მისი განხილვის, როგორც მხატვრულ-არქიტექტურული გამოსახვის ერთ-ერთი მეთოდი. ის მონაწილეობას იღებს ხელოვნებათა სინთეზის ახალი ფორმირების განვითარებაში, როგორც ესთეტიკური გარემოს ფორმირების ერთ-ერთი საშუალება.

უძველესი მასალის აღორძინება ხარისხობრივად ახალ საფეხურზე განპირობებულია მისი არაჩვეულებრივი პლასტიკური, ფერადოვანი და ფაქტურული თვისებებით. ის თავისთავად წარმოადგენს პლასტიკისა და ფერის ერთგვარ ნაერთს. მისი გამოყენება მიზანშეწონილია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. კერამიკული მასალები იაფია და მისი მაღალი მხატვრული და უტილიტარული ხარისხი კი ცხადი. ამავდროულად გამძლე და მდგრადი კერამიკული საფარი ყველაზე უკეთ პასუხობს თანამედროვე სანიტარულ და ჰიგიენურ მოთხოვნებს.

კერამიკა ასევე მიეკუთვნება პერსპექტიულ მასალათა რიცხვს, რომელსაც აქვს მრავალ-ფუნქციური გამოყენება ინტერიერშიც, როგორც: იატაკისა და კედლის მოსაპირკეთებელი მასალა; მონუმენტურ-დეკორატიული მოხატულობა კერამიკულ ფონზე; კერამიკული ქანდაკება - რელიეფი და მრგვალი ქანდაკება; ფიგურული და ორნამენტული რელიეფები; არქიტექტურული ორდერების დეტალები, რომლებსაც სამოქალაქო არქიტექტურაში აქვთ გამოყენების უმდიდრესი ისტორია.

თანამედროვე ინტერიერში ეს ყველაფერი იძენს ახალ ფუნქციურ აზრს და ღირებულებებს. კერამიკისათვის დამახასიათებელი გამომსახველი შესაძლებლობები ამდიდრებს ფორმათ-წარმოქმნის ახალ პრინციპებს.

არქიტექტურაში დეკორატიული კერამიკის დამზადებისას მხატვრული სახის გასამ-ლიერებლად იყო გამოყენებული განსაზღვრული ტექნიკები და ტექნოლოგიები. ტექნიკა - დეკორატიული კერამიკული ნაწარმის შექმნის პროცესია, ტექნოლოგია კი დეკორატიული კერამიკის არქიტექტურულ კომპოზიციაში ჩართვის უნარი. ტექნიკისა და ტექნოლოგიის სახეობები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, რომელთა შესაძლებლობების დიაპაზონი საკმაოდ გაფართოვდა XX საუკუნის პირველი ნახევრიდან.

დეკორატიული კერამიკა, როგორც არქიტექტურული სივრცის ორგანიზების ელემენტი, სარგებლობს მზარდი პოპულარობით მთელ მსოფლიოში. მისი გამოყენება არქიტექტურაში განპირობებულია ჟანრის, ფორმისა თუ ტექნიკის მრავალფეროვნებით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მასალამ შეიძლება შეიძინოს სრულიად მოულოდნელი საინტერესო ხარისხი, სხვა შემთხვევაში დაკარგოს თავისი სპეციფიკა. კერამიკის საშუალებით ხშირად წყდება დაზგური და მონუმენტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სახვითი ხასიათის რთული ამოცანები. კერამიკის დარგის მზარდმა გამოყენებამ, მისმა შეჭრამ მომიჯნავე სფეროებში, წარმოქმნა კორელაციური ზონების ფართო არეალი, ხელსაყრელი ნაწარმოების შექმნის ახალი სინთეტიკური ფორმები.

საინტერესო ისაა, რომ ხელოვნების თითქმის ყველა სახეობა სხვადასხვა ხვედრითი წონით ჩაეწერა არქიტექტურის იმანენტეიკაში. არქიტექტურისა და ზოგადად ხელოვნების შექმნა მხოლოდ მაღალი ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური განვითარების მქონე საზოგადოებას შეუძლია. ჩვენი საზოგადოება განვითარების გზაზეა. საუკუნეების მანძილზე საქართველომ მკაფიოდ გამოხატული ეროვნული თავისებურება შეიმუშავა და ეს თავისებურება არც არასდროს არ დაუკარგავს. აყვავების ეპოქაში ქართული ხელოვნება მუდამ იდგა მოწინავე

ქვეყნების მიერ დასახულ იდეურ-მხატვრულ ამოცანათა დონეზე, იგი თვითონ იყო ერთ-ერთი დამსახველი და ამომხსნელი ამ ამოცანების. ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, მით უფრო, შუა საუკუნეთა მანძილზე, ხუროთმოძღვრებას. ხუროთმოძღვრები მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ ესთეტიკურითაც. ისინი გულგრილად არ ეკიდებოდნენ ქვის ფერსა და ფაქტურას, არამედ საგანგებოდ არჩევდნენ მას. ფ. ნიუბის ფორმულირების თანახმად „ეს არის ტექნოლოგიების ესთეტიზაცია, რომელიც მეტად დამოკიდებულია მასზე წინასწარ მოცემულ არქიტექტურულ წარმოდგენაზე, ვიდრე მის ინჟინრულ რაციონალიზმზე“.

როდესაც ქართული ხუროთმოძღვრება ახალი იდეური და მხატვრული ამოცანების წინაშე დადგა, მას უკვე სავსებით შემუშავებული ჰქონდა ტექნიკური ხერხების არსენალი. ეს ეხება საშენ მასალათა გამოყენებას, დამუშავებას, ეხება კონსტრუქციებსაც. თითოეული მასალა ფლობს გარკვეულ ექსპლუატაციურ უპირატესობას, ასევე ხარვეზებს; მასალის სწორი, უშეცდომო არჩევანის გასაკეთებლად და მაქსიმალურად მისი სასარგებლო თვისებების გამოსაყენებლად, საჭიროა ამ თვისებებისა და გამოყენების სფეროების სიღრმისეული ცოდნა.

ისეთი უძველესი მასალა, როგორცაა კერამიკა, იკავებს მნიშვნელოვან ადგილს არა მხოლოდ მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

თიხისაგან გამომწვარი საშენი მასალის წარმოება და გამოყენება საქართველოში, აღმოჩენილი ძეგლებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებიდან არის ცნობილი. ნაპოვნია ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი, რითაც დასტურდება ცნობილი ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის (ძვ.წ.აღ. II - ახ.წ.აღ. II.) ცნობის სისწორეც, იბერიაში დახურული ნაგებობების შესახებ. იბერიაში კრამიტის წარმოება ძვ.წ.აღ. IV-III საუკუნეებში კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი და ამიტომ კრამიტის წარმოების ადრე დამწყებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ქართველ ტომებს უნდა მიეკუთვნოთ. საგანგებოდ დამზადებული, სხვადასხვა მოყვანილობისა და სიდიდის აგურები და საიზოლაციო კრამიტები ნებას გვაძლევენ ვივარაუდოთ ანტიკური ხანის საქართველოში სამშენებლო კერამიკული წარმოების მაღალ დონეზე. ადრეფეოდალური ხანის საქართველოში სამშენებლო კერამიკა გვიანანტიკურ ხანასთან შედარებით უფრო ფართოდ არის გამოყენებული. ზოგ შემთხვევაში იგი კვლავ მონაწილეობს სამარხების აგებულებაში, ისევე როგორც გვიანანტიკური ხანის სამაროვნებში. ნამოსახლართა გათხრებიდან ირკვევა, რომ რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობებში სამშენებლო კერამიკა იშვიათად თუ გამოიყენებოდა, რაც ნიშნავს, რომ აგური და კრამიტი ბევრად უფრო ძვირფას სამშენებლო მასალას წარმოადგენდა, როგორც საკმაოდ მაღალ დონეზე ხელოსნური ნაწარმი, ვიდრე რიყის ქვა და ალიზი.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში კრამიტი ძირითადად გამოიყენებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და საკულტო ნაგებობის დასაბურავად.

შუაფეოდალურ ხანაში სამშენებლო კერამიკის წარმოებასა და გამოყენებას უფრო ფართო მასშტაბი მიუღია წინა ხანასთან შედარებით. ჩვენში აგური საუკუნეთა მანძილზე დამხმარე მასალად იყო მიჩნეული და იგი არ კარნახობდა თავისთვის შესატყვის სახეს ხუროთმოძღვრებას, მაგრამ მისი სხვადასხვა სახით გამოყენებამ მაინც ტრადიცია შეუქმნა შუაფეოდალურ ხანაში მთლიანად აგურით ნაგები შესანიშნავი ტაძრების ხუროთმოძღვრებას. აგურს, როგორც საშენ

მასალას, კარგა ხანს მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. მხოლოდ ბევრად უფრო გვიან, XVI-XVIII სს-ში, დაიმკვიდრა მან საქართველოს ზოგიერთ ნაწილში მთავარი ადგილი.

XI-XII საუკუნეების საქართველოში ფართოდ გაშლილმა საეკლესიო და საერო მშენებლობამ დიდი მოთხოვნილება წაუყენა კერამიკულ წარმოებას: თუ მანამდე აგური მხოლოდ თაღების გადასაყვანად, ქვის სიმტკიცის გასაძლიერებლად და დროდადრო მოსასწორებლად იხმარებოდა, ახლა უკვე ზოგიერთი ტაძარი მთლიანად აგურით შენდება. ძვირფასი სასახლეებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში იჩენს თავს საგანგებო მოსაპირკეთებელი მასალა - შორენკეცები. იმდროინდელი ქართული სამეთუნეო წარმოების შესანიშნავ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა ფერით მოჭიქული, მოხდენილი და ტექნიკურად სრულყოფილი, ხშირად თეთრკეციანი (ფაიანსური) შორენკეცების მრავლად დამზადება. იმის მიხედვით, თუ შენობის რა ნაწილისთვის იყო განკუთვნილი, მზადდებოდა სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის შორენკეცები, რომლებიც თავიანთი ფერით და სიკრიალით უწყობდნენ ხელს შენობათა საერთო მხატვრული იერსახის სრულყოფას. ამას თან მოჰყვა აგრეთვე მოჭიქული კრამიტის გაჩენა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ნაგებობათა კერამიკული შემკულობა ცალკეული აქცენტების სახით არის წარმოდგენილი და მათი კედლების მთლიანი და ნაწილობრივი მორთვა მიღებული არ ყოფილა, შორენკეცებით შემკობის ტრადიცია აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არის შემოსული. გამოწვის მაღალი ხარისხი და ფერადი ჭიქურის ბრწყინვალეობა, კერამიკული წარმოების მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

### **III. დასკვნა**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ ხელოვნებაში შეიქმნა არქიტექტურისა და კერამიკის ისეთი შემოქმედებითი ტანდემი, რომელთა მონაპოვარი არა მხოლოდ მხატვრულ ფასეულობას წარმოადგენს, არამედ ისტორიულ ჭრილშიც ახალ პერსპექტივებს უსახავს ხელოვნების ამ დარგს. კერამიკის ხელოვნება დღეს უჩვეულო ტემპით ვითარდება. ის აქტიურად აღწევს მომიჯნავე სფეროებში და ავლენს არსებით ტენდენციებს. ფაქტობრივად, მდიდარი მასალა მოწმობს, რომ მისი გამოყენების სფერო მუდმივად ფართოვდება. შექმნილ ვითარებაში, კერამიკა, რომელიც ფუნქციონირებს არქიტექტურულ სივრცეში, შეუძლებელია განვიხილოდ ვიწროდ, მხოლოდ დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების პოზიციიდან. მისი გამოყენების გამოცდილება არქიტექტურული სივრცის ორგანიზებაში ითხოვს შესწავლას და ხელოვნებათა სინთეზის ასპექტში პრობლემების საფუძვლიან თეორიულ ანალიზს. დეკორატიული ხელოვნებისა და მისი ცალკე სახეობების როლის ანალიზს სივრცის ორგანიზებაში ექცევა არასაკმარისი ყურადღება და არ ყოფილა სათანადო კომპლექსური მიდგომა ამ გამოცდილების შესასწავლად.

**ლიტერატურა:**

1. ჯ. ჯღამაია, სტატია კრებულიდან “ქალაქები, სოფლები და საწარმოო კერები რუსთაველის ხანის საქართველოში”, 1969 წ.
2. ვ.ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ. 1974 წ.
3. С. В. БАЗАЗЬЯНЦ – ХУДОЖНИК, ПРОСТРАНСТВО, СРЕДА - Москва «Советский художник» 1983.
4. СИНТЕЗ ИСКУССТВ И АРХИТЕКТУРА ОБЩЕСТВЕННЫХ ЗДАНИЙ – Издательство «Советский Художник» 1974.

*Associate Professor Maia Davitaia,  
Irina Zaridze, PhD student*

**Ceramics as a tool for artistic organizing of architectural space**

**Summary**

In the article we talk about two art field-Synthesis of architecture and ceramics, which conditions artistic formality of architectural space and represents their interconnected content. In order to solve the main task closer cooperation with art helps create more complex and many-sided artistic means. This way it is easier for architects and painters to use their artistic capabilities. XX<sup>th</sup> century European culture ceramics as a decorative and utilitarian art form, even today it is still considered as an important phenomenon and still has not lost its qualitative focus. The production and use of day materials in Georgia from B.C. IV-III centuries till today.

**Key Words:** *Architecture, Space, Ceramics, Synthesis, Technique, Technology*

## პროფესორ ბორის იმნაძის ხსოვნის საღამო

2017 წლის 15 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, ასევე ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტმა მედიატექნოლოგიების ლაბორატორიაში ჩაატარეს ჟურნალ „განათლების“ რედაქტორის, რუსული ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრის პროფესორ ბორის იმნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. იქვე გაიმართა ბ. იმნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის „ბორის იმნაძე—სადღეგრძელოდ ჩამოქნილი სიცოცხლის ხიბლი“—პრეზენტაცია, რომლის ავტორია პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი, რომელსაც პროფესორ ბორის იმნაძესთან 30 წლის მეგობრობა აკავშირებდა. წიგნში ვრცლად არის გადმოცემული ბ. იმნაძის ცხოვრების გრძელი და საინტერესო გზა: წარმომავლობა, ფესვები, ბავშვობა, მოსწავლეობის, სტუდენტობის წლები, ასპირანტობის პერიოდი, მოღვაწეობა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, გაანალიზებული და შეფასებულია ბ. იმნაძის მეცნიერული წვლილი პედაგოგიკის პრობლემების კვლევაში, წარმოჩენილია მისი მეთოდის—„მაკორექტირებელი სწავლების“ კონცეფციის შინაარსი, გარკვეულია ამ კონცეფციის როლი და მნიშვნელობა რუსულის, როგორც მეორე ენის სწავლებაში.

აღსანიშნავია სამახსოვრო წიგნის ორიგინალური აგებულება. თხრობის ფორმად გამოყენებულია ავტორის ინტერვიუების პრაქტიკა ბორის იმნაძესთან, რაც წიგნს დიალოგურობის ნიშნით აღბეჭდავს. ამით კი მისი ადრესატი—ბორის იმნაძე იმავდროულად არის უპირველესი (და უმთავრესი) პერსონაჟი, რადგან წიგნის ავტორის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხებს იძლევა ბ. იმნაძე და თავად მოუთხრობს მკითხველს საკუთარი ცხოვრების საინტერესო ამბებს, შეხედულებებს ცხოვრებისეულ რეალობებზე, თავისი თანამედროვე თბილისის ყოფის, ტრადიციების ავ-კარგზე, რაც (განსაკუთრებით უკანასკნელი გარემოება) უაღრესად დიდი შემეცნებითი გარემოებით გამოირჩევა, რადგან უამრავი რამ სწორედ ბ. იმნაძის ხსოვნის წყალობით არის შემორჩენილი.

წიგნს ღირსებას მატებს ბ. იმნაძის ცხოვრება—მოღვაწეობის ამსახველი ფერადი ილუსტრაციები (ფოტოები). მთავარი კი ის არის, რომ წიგნით უკვდავყოფილია შესანიშნავი პიროვნება—მეცნიერი, პედაგოგი, მოღვაწე, მოქალაქე, მამულიშვილი და ჭეშმარიტი თბილისელი კაცი ბორის იმნაძე.

ბორის იმნაძის ხსოვნის საღამოზე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე, პროფესორები სანდრო ლაშხი, გელა ყიფიანი, ჟანეტა ვარძელაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, სტუ ადმინისტრაციის თანამშრომელი, ბატონი გივი სიბაშვილი, აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი ჩინგიზ ბედალოვი. საღამოს უძღვებოდა სტუ ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი. საღამოს ესწრებოდნენ ბორის იმნაძის მეუღლე პროფესორი ელისაბედ ხახუტაშვილი, ქალიშვილი— სტუ არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ნინო იმნაძე, ბორის იმნაძის მეგობრები, ახლობლები, სტუდენტები და პედაგოგები.

**თამარ ნიკოლაიშვილი**  
**ნინო ჩაბაკაური**

## **Вечер памяти профессора Бориса Имнадзе**

15 ноября 2017 года в Грузинском техническом университете, на факультете инженерной экономики, медиатехнологий и социальных наук, в лаборатории департамента грузинской филологии и медиатехнологий, был проведен вечер памяти редактора «Ганатлеба», руководителя образовательной программы «Русская журналистика», академика грузинской образовательной академии, члена президиума этой академии, профессора Бориса Имнадзе. Также была проведена презентация книги, посвященная памяти Бориса Имнадзе «Борис Имнадзе – прелесть жизни, сотворенная долговечностью», автор профессор Темур Джагоднишвили, с которым Имнадзе связывала тридцатилетняя дружба. В книге описан длинный и интересный путь Б. Имнадзе: корни, детство, годы учебы и студенчества, период аспирантуры, педагогически-научная деятельность в институте и в Грузинском техническом университете, проанализирован и оценен научный вклад Б. Имнадзе в исследование педагогической науки, представлено содержание концепции его метода - «Корректирующее обучение», обозначена роль и значение концепции для обучения русскому языку, как второму.

Оригинальна структура книги. Для изложения материала использована форма интервью с Борисом Имнадзе, что характеризует книгу по признаку диалогичности. Тем самым адресат книги – Борис Имнадзе – главный и единственный персонаж, так как на вопросы, заданные автором, отвечает Борис Имнадзе и одновременно сам же рассказывает интересные истории из своей жизни, свои взгляды на жизненные реалии, свое видение современного Тбилиси, традиции, что (особенно последнее обстоятельство) несет большую познавательную нагрузку, так как много чего, сохранено, именно, благодаря памяти Имнадзе.

Ценность книге придает иллюстративный материал (фотографии), отражающий жизнь и деятельность Бориса Имнадзе. Главное же то, что книга обессмертила прекрасного человека – ученого, педагога, общественного деятеля, гражданина, истинного тбилисца – Бориса Имнадзе.

На вечере памяти Бориса Имнадзе с интересными воспоминаниями выступили академик Нана Хазарадзе, профессора Сандро Лашхи, Гела Кипиани, Жанетта Вардзелашвили, Русудан Лордкипанидзе, сотрудник администрации университета, г-н Гиви Сибашвили, профессор Азербайджанского университета языков, член академии образовательных наук Грузии, профессор Чингиз Бедалов. Вечер вел глава департамента грузинской филологии и медиатехнологий, профессор Темур Джагоднишвили. На вечере присутствовали члены семьи Б. Имнадзе, его супруга- профессор Элизабед Хахуташвили и его дочь – декан архитектурного факультета, профессор Нино Имнадзе, друзья, родные, студенты и педагоги.

**Тамар Николаишвили**

**Нино Чабакаури**